

სოციალური დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, №3

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

პრომითი ღაჲაი

მოპილობის შეუძლებლობის მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	4
ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	29
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება	64
იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საფუძველი	80
დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება	97
იძულებითი განაცდურის ანაზღაურების აღსრულება	116
შტატების შემცირების საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	139

სსპა სოციალური ღაჲაი

დეენილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა	157; 174
--	----------

შრომითი დავები

მოპილობის შეუძლებლობის მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-216(კ-20)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ქმედების განხორციელების და-ვალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 17 მარტს ლ. ხ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის MOD 7 20 00001956 ბრძანების ბათილად ცნობა, „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის MOD 2 20 00002130 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელე ლ. ხ-ის სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ, თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ სამივლინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. ხ-ი 2017 წლის 22 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ...ში თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის MOD 42000000044 ბრძანებით, 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია, შედეგად – შემცირდა/გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის კატეგორია. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანება მიღებული იყო საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის გამოცემამდე არ გამოუკვლევიდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ვინაიდან „ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ ბრძანება გამოიცა „რეორგანიზაციის შესახებ“ დაუსაბუთებელი ბრძანების საფუძველზე, ასევე დაუსაბუთებელი იყო „გათავისუფლების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გათავისუფლების მიზეზად რეორგანიზაციის ფაქტის მითითება. მოსარჩელის განმარტებით, „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის MOD 2 20 00002130 ბრძანებით მოსარჩელე ვადაზე ადრე გამოიწვიეს სამუშაო მივლინებიდან. მოცემული ბრძანება, თავის მხრივ, იყო „გათავისუფლების შესახებ“ უკანონო ბრძანების თანმდევი სამართლებრივი შედეგი. გასაჩივრებული აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რის გამოც, სახეზე იყო მათი ბათილად გამოცხადების აბსოლუტური საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა სარჩელის დაუშვებლად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ლ. ხ-ის სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართვე-

ლოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის MOD72000001956 ბრძანება; ბათილად იქნა ცნობილი „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის MOD22000002130 ბრძანება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ხ-ი აღდგება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ...ში თავდაცვის ატაშეს თანამშემნის თანამდებობაზე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს (განაცდური) ანაზღაურება მოსარჩელის გათავისუფლების დღიდან, მისი სამსახურში აღდგენის დღემდე პერიოდში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა სამივლინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის განჩინება და 30 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება და 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველ პუნქტზე, 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, 110-ე მუხლის პირველი პუნქტზე. პალატამ აგრეთვე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე და საქალაქო სასამართლოს მსგავსად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელი იყო საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია (102.1 მუხ.). კანონი ერთი მხრივ ჩამოთვლიდა რეორგანიზაციის სახეებს/ფორმებს და, მეორე მხრივ იმპერატიულად აწესებდა, რა მიზნების არსებობისას იყო დასაშვები მისი განხორციელება. „საჯარო

სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, იმისათვის, რომ რეორგანიზაცია შეფასებულიყო კანონიერად, არ იყო საკმარისი მხოლოდ საშტატო ერთეულის შემცირების/გაუქმების ფაქტი, არამედ, აუცილებელი იყო რეორგანიზაციის განხორციელების კანონით გათვალისწინებული მიზნების არსებობა – რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი. მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ინტერესების არსებობის დადასტურების შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო რეორგანიზაცია რომელი ფორმით განხორციელდა. თუ სახეზე არ იყო კანონით გათვალისწინებული მიზნები, ასეთ ვითარებაში რელევანტური აღარ იყო რეორგანიზაციის ფორმაზე საუბარი, რამდენადაც პირველ ეტაპზე უნდა დასაბუთებულიყო რეორგანიზაციის აუცილებლობა – საჯარო ინტერესი, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო რეორგანიზაციის განხორციელებისას იბოჭებოდა კანონით გათვალისწინებული წინაპირობებით და, შესაბამისად, მხოლოდ სათანადო კანონისმიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეეძლო განხორციელება რეორგანიზაცია. პალატის მითითებით, სასამართლომ შეაფასა არა რეორგანიზაციის მიზანშეწონილობის საკითხი, არამედ ის, თუ რამდენად იყო დაცული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები რეორგანიზაციის განხორციელებისას. პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე, რომელიც ადგენდა აქტის დასაბუთების სტანდარტს. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა ჰქონდა, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება. პალატამ მიიჩნია, რომ 2020 წლის 20 იანვრის საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №MOD42000000044 დაუსაბუთებელი იყო, კერძოდ, ბრძანების გამოცემისას არ მოხდა გარემოებების არსებითი შესწავლა. პალატის მოსაზრებით, ბრძანება, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას, ვერ აკმაყოფილებდა ვერც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებს და ვერც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას რეორგანიზაციის წესსა და მის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. რეორგანიზაციის აქტი გამოიცა 2020 წლის 20 იანვარს, რომელიც არ შეიცავდა არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ დასაბუთებას. სამინისტროს ზოგადი მითითება – თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის 2020 წლის 1 მაისის

№392740 და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2020 წლის 21 აგვისტოს №7359659 წერილებზე, როგორც რეორგანიზაციის მოტივებზე, არ აკმაყოფილებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ აქტის დასაბუთების სტანდარტს. პალატამ გაიზიარა აპელირება საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე (საქმე №ბს-464-464(კ-18)), სადაც განმარტებული იყო, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავდა ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებდა საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავდა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საფუძვლად დაედო ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სზაკ-ის 96.1 და 96.2. მუხ.). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებული იყო, აქტის დასაბუთებაში მიეთითებინა იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

პალატამ მიიჩნია, რომ ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, კონკრეტულად რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა რეორგანიზაცია და ატაშეს თანაშემწის შტატის გაუქმება 2020 წლის 20 იანვრის საქართველოს თავდაცვის მინისტრის MOD2000000044 ბრძანებით, მაშინ როდესაც აღნიშნულ ფაქტს ერთი კვირით წინ უსწრებდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანება. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქმედება უნდა იყოს თანმიმდევრული, ობიექტური და გამჭვირვალე, რათა მხარეს გაუჩნდეს მუდმივობის და კანონიერების განცდა. კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ იყო უმნიშვნელოვანესი პრინციპი ადმინისტრაციული წარმოების დროს. რეორგანიზაცია არ უნდა იყოს დასაქმებულის სადამსჯელო ღონისძიება, არ უნდა ინვესტდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპების სრულ უგულვებელყოფას. პალატამ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო მოხელე დაუყოვნებლივ აღედგინა იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოხელე აღდგენილი უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავის თავში გულისხმობდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლებული იქნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართებულად დაევალა გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელე ლ. ხ-ი აღდგებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ...ში თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე და განმარტა, რომ სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლეოდა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რაც შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველ პუნქტს, კანონმდებელმა მიუთითა, რომ მოხელეს აუნაზღაურებოდა სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.

რაც შეეხება მოთხოვნას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე, პალატამ განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უშუალო ადრესატს წარმოადგენდა მოსარჩელე ლ. ხ-ი, ხოლო სამართლებრივი მოწესრიგების საგანს წარმოადგენდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება და სამუშაო მივლინების ვადა-

ზე ადრე შეწყვეტა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი პერიოდის განაცდური ხელფასისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. საკითხზე მსჯელობის ფარგლებში, საქმის განმხილველმა სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტებით მოსარჩელეს მიაღდა პირდაპირი და უშუალო ზიანი და ცალსახად არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები. რაც შეეხება რეორგანიზაციის ბრძანების გაუსაჩივრებლობას, პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბრძანებით განისაზღვრა, რომ 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელებულიყო რეორგანიზაცია შტატების შესაძლო შემცირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეორგანიზაციის ბრძანების ადრესატს არ წარმოადგენდა მოსარჩელე. ამასთან, რეორგანიზაციის ბრძანება იყო ზოგადი ხასიათის და არა იმპერატიული სახით ჩამოყალიბებული და შეუძლებელი იყო იგი შეფასებულიყო, როგორც მოსარჩელისათვის პირდაპირი და უშუალო ინდივიდუალური ზიანის მიმყენებელი. რეორგანიზაციის აქტს არ გამოუწვევია მოსარჩელის კანონიერი უფლების ან კანონიერი ინტერესისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება და უფლების უკანონო შეზღუდვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. სასამართლომ იმსჯელა თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანების კანონიერებისა და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე. სასამართლოს განმარტებით, თავდაცვის მინისტრის №4 20 00000044 ბრძანება იყო დაუსაბუთებელი და უკანონო, ხოლო მის საფუძველზე გამოცემული სადავოდ გამხდარი აქტები ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას. კასატორის მითითებით, მოსარჩელის მიერ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანება რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ სადავო არაა. ამდენად, სასამართლოს მიერ მითითებული აქტი უნდა შეფასებუ-

ლიყო, როგორც მტკიცებულება და დადგენილიყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა ან არარსებობა. სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანების კანონიერებაზე და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე, რამეთუ ასეთი მოთხოვნით სარჩელი აღძრული არ ყოფილა. მეტიც, სასამართლომ არ გამოიჯნა, სარჩელის მოთხოვნის ობიექტი, საგანი მისი ფაქტობრივი საფუძვლებისგან, რის გამოც იმსჯელა არა დავის საგნის, არამედ სამინისტროს მიერ გამოცხადებული რეორგანიზაციის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დავა უნდა გადაეწყვიტა სარჩელის ფარგლებში მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, დავის საგანს, რითაც დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.09.2014 წლის განჩინება №ბს-298-29 5(კ-14) საქმეზე და 22.12.2015 წლის განჩინება №ბს-497-490(კ-15) საქმეზე). სასამართლოს უნდა შეეფასებინა მხოლოდ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებების კანონიერება როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კუთხით და არ უნდა გასცდენოდა სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, კერძოდ, უნდა გამოეყენებინა: 1) ფორმალური კუთხით – სადავო 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებები იყო თუ არა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გამოცემული, მათი გამოცემის დროს იყო თუ არა დაცული ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები: წარმოების ფორმა, წარმოების დაწყების საფუძვლები, კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების აკრძალვა და ა.შ.; 2) მატერიალური კუთხით – სადავო 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული იყო თუ არა კანონიერების პრინციპი, უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველი. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება, თანაზომიერების და კონკრეტულობის პრინციპი და ა.შ. თუმცა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება სადავო აქტების მიმართ აღნიშნულს არ მოიცავს და განჩინებაში საუბარია მხოლოდ 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანების კანონიერებასა და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე მაშინ, როდესაც ეს აქტი სადავო არ ყოფილა. კასატორის მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია თითქოს სამინისტროს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რა

კანონიერ მიზანს ემსახურებოდა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია. თავდაცვის სამინისტროში ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით მიმდინარეობს რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესებს და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას. პარალელურად ორმხრივ ფორმატში საქართველოსა და აშშ-ის თავდაცვის უწყებებს შორის მიმდინარეობს თავდაცვის მიმოხილვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება. ორივე ხაზით მუშაობის პროცესში მხარეთა ერთ-ერთ სადისკუსიო მიმართულებას წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატის რაციონალური, ეფექტიანი და შედეგებზე გათვლილი სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბება. შეხვედრების და დისკუსიების შედეგად შეჯერებულ იქნა თავდაცვის ატაშატის პოლიტიკა, შემუშავებულ იქნა ოპტიმალური და ეფექტური სტრუქტურა და განისაზღვრა სტრუქტურული განვითარების გეგმა. ერთ-ერთ ასპექტს რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის თვალსაზრისით, წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატებში ატაშეს თანაშემწის (სამოქალაქო სამტატო ერთეულის) გაუქმება, რათა თავდაცვის ატაშეების აპარატების საქმიანობის ეფექტიანი, ხოლო თავდაცვის ატაშატების აპარატების სამტატო კატეგორიების ერთიან სტანდარტში მოქცევის მიზნით გათვალისწინებული ყოფილიყო მსოფლიოში არსებული პატარა ქვეყნების სტანდარტები და საუკეთესო გამოცდილება, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსახურების მოწყობის სტანდარტი. გარდა აღნიშნულისა, თავდაცვის სფეროში ქვეყნებს (თავდაცვის სამინისტროებს) შორის ურთიერთობების დარეგულირების და თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესების მქონე ქვეყნებში თავდაცვის ატაშეს აპარატის ინსტიტუტის არსებობა, ხოლო ფუნქციური დანიშნულება თავდაცვის ატაშეს მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულების ხელშეწყობაში მდგომარეობს და ამ კუთხით განსაკუთრებულად მოითხოვს სამხედრო საქმის ცოდნას. ასევე ქვეყნებს შორის სამხედრო ხასიათის ურთიერთობებში, კონფერენციებში ჩართულობასა და მონაწილეობას. სამტატო ერთეულების რაოდენობა კი დამოკიდებულია როგორც თავდაცვის სფეროში შესაბამის ქვეყანასთან (თავდაცვის სამინისტროებს) ორმხრივი ურთიერთობების დინამიკაზე, მოცულობაზე, პირდაპირი კომუნიკაციის არსებულ მექანიზმზე, ასევე – საბიუჯეტო ასიგნებებზე. ყოველივე ზემო აღნიშნული კი წარმოადგენდა საფუძველს, რომ თავდაცვის სამინისტროში მითითებული მიმართულებით განხორციე-

ლეზულიყო რეორგანიზაცია. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროში 2019 წლიდან დაიწყო თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის და მის სამტატო სტრუქტურაში შემავალი თავდაცვის ატაშეს აპარატების რეფორმირების პროცესი, კერძოდ: 1. თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის №47 ბრძანებით თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის სამტატო თანამდებობა გადაკეთდა სამხედრო თანამდებობად, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლდა ამ ქვედანაყოფის ყოფილი უფროსი (სამოქალაქო პირი), ხოლო უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სამხედრო ნოდების მქონე მოსამსახურე; ...ში, აგრეთვე ...ში თავდაცვის ატაშეს აპარატის სამტატო განრიგში, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №155 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება – შეიკვეცა თავდაცვის ატაშეს აპარატის სამტატო ერთეულების რაოდენობა. საბიუჯეტო თანხების ოპტიმალურად და რაციონალურად გადანაწილების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეების რესურსების საკმარისობის ფაქტორის და თავდაცვის ატაშეების გასამხედროების მიდგომის გათვალისწინებით, გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანამდებობის სამტატო სამოქალაქო თანამდებობები. აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმის შედეგად, თავდაცვის ატაშეების აპარატების საქმიანობის ეფექტიანი, ხოლო, მეორე მხრივ, თავდაცვის ატაშეების აპარატების სამტატო კატეგორიების ერთიან სტანდარტში მოქცევის მიზნით, თავდაცვის ატაშეს აპარატის ყველა სამოქალაქო სამტატო თანამდებობა ჩამოყალიბდა სამხედრო თანამდებობების სახით, რითაც მიღწეულ იქნა დაგეგმილი რეფორმის მიზანი. ამდენად, სასამართლოს არგუმენტაცია, რომ სამინისტროს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, საფუძველს მოკლებულია. უფრო მეტიც, სასამართლო უსაფუძვლოდ შევიდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხილვის ფარგლებში და განიხილა რეორგანიზაციის მიზანშეწონილობა მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მოწყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, სამტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება. ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს. საკადრო ოპტიმიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო მიზანშეწონილობის პირობებში მოქ-

მედებს. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეიჭრას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში და საჯარო მმართველობის განმახორციელებელ სუბიექტს თავად განუსაზღვროს თანამდებობათა არსებობა-არარსებობის საჭიროება, ვინაიდან საკადრო საჭიროებების შეფასებისა და აღნიშნულის შედეგად საკადრო საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით. ამდენად, განსაზღვრა იმისა, კონკრეტულად რომელი შტატის/შტატების არსებობაა საჭირო და საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს სრული, ეფექტური და მაქსიმალურად ეკონომიური ფუნქციონირებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობის არსებობის პირობებში, რეორგანიზაციის საფუძველზე საკადრო ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულების შესაბამისად წარიმართება, თავად ადმინისტრაციული ორგანოა ექსკლუზიურად კომპეტენტური განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი შტატის დამატება/გაუქმება ან რომელ შტატთა გაერთიანება უნეყოფს ხელს საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებას (უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინება (საქმე ბს-1102-1096(კ-17)) და 2020 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე ბს-179(2კ-19)). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როგორც საქალაქო სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტრო დაავალდებულა მოსარჩელე აღადგინოს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებულ საშტატო ერთეულზე მაშინ, როდესაც არც რეორგანიზაციის (2020 წლის 20 იანვრის № 4 20 00000044 ბრძანება) და არც ახალი საშტატო ერთეულების დამტკიცების შესახებ 2020 წლის 13 თებერვლის №7 20 00000155 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ყველა თანამდებობა, მათ შორის ლ. ხ-ის მიერ დაკავებული თანამდებობა, გაუქმებული არ არის და დღემდე ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას. მნიშვნელოვანია ის არგუმენტიც, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების მეტი დასაბუთებულობისთვის მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-464-464(კ-18) განჩინებაზე და რატომღაც გვერდს უვლის თავდაცვის სამინისტროს მიერ მითითებულ უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინებას (საქმე ბს-1102-1096(კ-17)) და 2020 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებას (საქმე ბს-179(2კ-19)), რომლებიც თითქმის იდენტურ დავებზეა მიღებული.

კასატორის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ლ. ხ-ი 2020 წლის 20 იანვრის №53977 წერილით გაფრთხილებულ

იქნა 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. ამასთან, ლ. ხ-ს 2020 წლის 20 იანვარს სამსახურებრივ მეილზე გადაეგზავნა მითითებული შეტყობინება, სადაც განემარტა, რომ გაცნობოდა გაფრთხილებას და ჩაბარების დასტური ხელმოწერისა და თარიღის მითითებით გადაეგზავნა თავდაცვის სამინისტროში (აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმდა შესაბამისი ოქმი №1 21.01.2020 წ.). თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის № 4 20 00000044 ბრძანების გამოცემის დღიდან თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებების გამოცემის დღის ჩათვლით მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია რეორგანიზაცია და რეორგანიზაციის შედეგად იმ შტატის შემცირების ფაქტი, რომელზეც იყო დანიშნული. ლ. ხ-ის შრომითი უფლებების დაცვის მიზნით, 2020 წლის 22 იანვრის №65104 წერილით რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროს და ეცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თავდაცვის ატაშეს თანამშემნის ...ში ტოლფასი ან/და დაბალი თანამდებობა, კომპეტენციითა და გათვალისწინებით არ მოიპოვებოდა და ბიუროს ეთხოვა საჯარო სამსახურის სისტემაში არსებული სხვა საჯარო დაწესებულების შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თანამდებობების რანგის, კატეგორიისა და სამუშაო აღწერების მიხედვით, რათა სამინისტროს განეხორციელებინა გარე მობილობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები. 2020 წლის 30 იანვრის №1771 წერილით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს IV რანგის II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, პროტოკოლის სამმართველოს სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის შესახებ, თუმცა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მითითებულმა სამინისტრომ უარი განაცხადა ლ. ხ-ის გარე მობილობით თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, რადგან პროტოკოლის სამმართველოს მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული იყო კონკურსი და იმ დროისათვის მიმდინარეობდა უკვე კონკურსის მეორე ეტაპი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 21 თებერვლის №190182 წერილით საჯარო სამსახურის ბიუროს ეცნობა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების. კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უარი განაცხადა

გარე მობილობის დაკმაყოფილების თაობაზე და გამოხატა მზად-ყოფნა, ლ. ხ-ის თანხმობის შემთხვევაში, მისი პირადი განცხადების საფუძველზე ჩაერიცხა მოხელეთა რეზერვში 2020 წლის 12 მარტიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის №2523 ბრძანებით ლ. ხ-ი, მისი თანხმობის საფუძველზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათვლით, პირადი განცხადების საფუძველზე, ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №1956 ბრძანებით ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, შესაბამისად, „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 და 2¹ პუნქტების თანახმად, სამინისტროს ხელმძღვანელობის გადამწყვეტილებით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის და გამოწვევის თაობაზე ლ. ხ-ს მიეცა 20 (ოცი) დღიანი ვადა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით მას 2020 წლის 11 მარტიდან შეუწყდა სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია. ამასთან, რეორგანიზაციის შედეგად მოხელის გათავისუფლების საფუძველია იმ თანამდებობის გაუქმების შედეგად დასაქმების ადგილის ფაქტობრივი არარსებობა, რომელზეც მოხელე დასაქმებული იყო რეორგანიზაციის განხორციელებამდე. ამდენად, სამინისტროს მიერ დაცული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეორგანიზაციის (შტატების შემცირების) გამო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურები – კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული რე-

ორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული შტატი, რაც გახდა მოსარჩელის მიმართ მობილობის პროცედურების დაწყების საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად და საკუთარი განაცხადის საფუძველზე ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელის მიმართ განხორციელა ყველა ის სამართლებრივი შესაძლებლობა, რაც შეიძლება მოყვეს რეორგანიზაციის შედეგად არსებული შტატის გაუქმებას, რომელზეც მოხელე იყო დასაქმებული.

მოსარჩელის თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით, კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინებით შექმნილი სამართლებრივი შედეგი ქმნის გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, კერძოდ, ხსენებულ დავაში მოსარჩელის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს სამსახურში გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო უთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, მოხელის იმავე თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, თუმცა სასამართლო მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ არა მხოლოდ თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში, არამედ მთელ სამინისტროს სისტემაში ფაქტობრივად აღარ არსებობს მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა, აგრეთვე, მისი ტოლფასი თანამდებობა როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე ფაქტობრივად. უფრო მეტიც, მობილობა მოსარჩელის მიმართ ერთხელ უკვე განხორციელებულია და ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო, მისივე განცხადებით ჩაირიცხულია რეზერვში.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას სამიველინებო თანხების ნაწილში, რადგან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 34-ე პუნქტის თანახმად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ანაზღაუ-

რებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით. რაც შეეხება, თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სარჩელის დაუშვებლობის კუთხით, ასევე დაუსაბუთებელია, რადგან როგორც თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის 4 20 00000044 ბრძანება, ისე თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის № 7 20 00000155 ბრძანება პირდაპირ და უშუალო შემხებლობაშია მოსარჩელესთან, თუმცა არც ერთი აქტი მის მიერ გასაჩივრებული არაა და დღემდე იურიდიული ძალის მქონეა.

კასატორის მითითებით, სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ თითქოს რეორგანიზაციის შედეგად მხოლოდ მოსარჩელე ლ. ხ-ის საშტატო ერთეული იქნა გაუქმებული. თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 21 იანვრის №47 ბრძანებით თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის საშტატო თანამდებობა გადაკეთდა სამხედრო თანამდებობად, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლდა ამ ქვედანაყოფის ყოფილი უფროსი (სამოქალაქო პირი), ხოლო უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურე; ამასთან, ...ში, აგრეთვე ...ში თავდაცვის ატაშეს აპარატის საშტატო განრიგში, თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 თებერვლის №155 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება – შეიკვეცა თავდაცვის ატაშეს აპარატის საშტატო ერთეულების რაოდენობა და თავდაცვის ატაშატების გასამხედროების მიდგომის გათვალისწინებით, გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის საშტატო სამოქალაქო თანამდებობები.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემის ნაწილში, არასწორად იქნა დადგენილი ფაქტი – მოსარჩელის საშტატო ერთეულის თითქოს და საჭიროების არსებობის თაობაზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემა განპირობებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაამტკიცოს პროფესიული საჯარო მოხელისთვის განკუთვნილი თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ საშტატო ერთეული (საიდანაც მოსარჩელე გათავისუფლდა) თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემის დროს არსებობდა, თავდაცვის მინისტრი მოქმედებდა ზემოთ მითითებული კანონისმიერი ვალდებულების შესრულების მოცე-

მულობაში, მიუხედავად იმისა, რომ პარალელურ რეჟიმში თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა განსახორციელებელი რეორგანიზაციისათვის სათანადო მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლა. მეტი დამაჯერებლობისათვის, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არსებობს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №იМО7 20 00000155 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანამემნის ყველა თანამდებობა, მათ შორის ლ. ხ-ის მიერ დაკავებული თანამდებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ საკასაციო შესაგებლით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს არათუ არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, არამედ სასამართლომ სრულფასოვანი და კვალიფიციური სასამართლო კონტროლის განხორციელების შედეგად დაადგინა ზედმინევითი სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება ამომწურავად არის დასაბუთებული. სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს და სადავო აქტს. მხარის მოსაზრებით, სახეზე იყო სზაკ-ის 60¹ მუხლით გათვალისწინებული სადავო აქტების ბათილად ცნობის აბსოლუტური საფუძვლები. თავდაცვის სამინისტროს კაცია არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის არცერთ წანამძღვარს, შესაბამისად, არ არსებობდა მის განსახილველად დაშვების პროცესუალური საფუძვლები. მოწინააღმდეგე მხარემ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №420 00000044 ბრძანების კანონიერებასა და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე, რამეთუ ასეთი მოთხოვნით სარჩელი აღძრული არ ყოფილა და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო გვერდს ვერ აუვლიდა რეორგანიზაციის ბრძანების კანონიერებაზე მსჯელობას. დავის საგანს წარმოადგენდა „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ ბრძანების ბათილად ცნობა, ამდენად, სასამართლომ

რეორგანიზაციის აქტზე იმსჯელა, როგორც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რაც აუცილებელი იყო კანონიერი და სამართლიანი განწყვეტისთვის.

მონინალმდეგე მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და აშშ-ის თავდაცვის უწყებებს შორის თავდაცვის მიმოხილვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებდა წერილობით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ვალდებულებისგან. განსახილველ შემთხვევაში, თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 20 იანვრის №MOD 420 00000044 ბრძანება, წარმოადგენდა წერილობით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. თუმცა ბრძანების შინაარსის ზოგადი გაცნობაც ცხადყოფდა, რომ იგი არ შეიცავდა ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც დაადასტურებდა რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობას, რეორგანიზაციის საჯარო მიზნებსა და ინტერესებს. რეორგანიზაციის კანონიერ მიზნად და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებად ვერ მიიჩნეოდა ის გარემოებები, რომლებიც არ ყოფილა მითითებული რეორგანიზაციის ბრძანებაში.

ლ. ხ-ის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია რეორგანიზაციის მიზანშეწონილობაზე, არამედ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რეორგანიზაციის კანონით განსაზღვრულ წესსა და იმ საკანონმდებლო სტანდარტზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ადმინისტრაციული ორგანო რეორგანიზაციის განხორციელებისას, სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული წინაპირობები თუ რა დროს არის შესაძლებელი რეორგანიზაცია, კერძოდ, როდესაც არსებობს: 1. საჯარო-სამსახურებრივი ინტერესი 2. ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი. შესაბამისად, სასამართლო არ შეჭრილა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში. სასამართლომ არა თუ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის საშტატო ერთეულის საჭიროების არსებობა, არამედ, ყურადღება გაამახვილა თავდაცვის სამინისტროს არასტაბილურ, არათანმიმდევრულ მმართველობით ღონისძიებებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №71700003813 ბრძანებით ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ...ში თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე 12 (თორმეტი) თვის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №91800001096 ბრძანებით ლ. ხ-ი როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ იქნა ...ში, ქ. ...ში 3 წლის ვადით, 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით. მოსარჩელე ლ. ხ-ი 2018 წლის 18 დეკემბრის საქართველოს თავდაცვის მინისტრის №41800004278 ბრძანებით 2018 წლის 16 დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე ...ში და თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვრა 1200 ევრო.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №42000000044 ბრძანებით 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №72000053977 აქტით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლ. ხ-ი გააფრთხილა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების გამო, 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. „საქარ-

თველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის MOD 91900000762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის MOD72000000155 ბრძანებით, ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი. „ლ. ხ-ის დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის MOD 7 20 00001956 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ...ში ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელე ლ. ხ-ს მიეცა 20-დღიანი ვადა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით როტაციის წესით შეუწყდა სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე, 2020 წლის 11 მარტიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანებით ლ. ხ-ი პირადი განცხადების საფუძველზე 2 წლის ვადით, 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათვლით, ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა 3 თვის თანამდებობრივი სარგო.

წინამდებარე დავის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანს „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის MOD 7 20 00001956 ბრძანებისა და „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის MOD 2 20 00002130 ბრძანების კანონიერება წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, უდავო გარემოებაა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეს და მასზე ვრცელდებოდა დასახელებული კანონის მოქმედება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო

შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია. სადავო აქტებში ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 110-ე მუხლის პირველი პუნქტი. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადგენად უნდა შეფასდეს დაწესებულების რეორგანიზაციის გამო მოსარჩელის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულის შემცირების ფაქტი რეორგანიზაციის მიზნებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთგზის განიმარტა, რომ საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როდესაც ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს მსგავსი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმებია დადგენილი. რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას (სუსგ 08.12.2015წ, №ბზ-449-442(კ-15)).

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ რეორგანიზაციამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ...ში შედგებოდა ორი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე და მეოთხე რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – თავდაცვის ატაშეს თანაშემწე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის MOD72000000155 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის MOD 91900000762 ბრძანებაში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი. განახლებული საშტატო ნუსხის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ...ში შედგებოდა ერთი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე. ამასთან, ხსენებულ თანამდებობაზე საშტატო კატეგორიად მიეთითა „ბრიგადის

გენერალი“. ამდენად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ რეორგანიზაციის შემდგომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა აღარ არსებობდა. საგულისხმოა, რომ არც თავად მოსარჩელე და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ლ. ხ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის მსგავსი (ფუნქციური დატვირთვით) სამტატო ერთეული არ შექმნილა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი ზომები მობილობის განსახორციელებლად, თუმცა შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა ვერ იქნა მოძიებული. ამდენად, სააპელაციო პალატამ ვერ გააქარწყლა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომ სახეზე იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 110-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა. ამავე კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო რეორგანიზაციის განხორციელებისას იბოჭება კანონით გათვალისწინებული წინაპირობებით და, შესაბამისად, მხოლოდ სათანადო კანონისმიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეუძლია განახორციელოს რეორგანიზაცია. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლომ შეაფასა არა რეორგანიზაციის მიზანშეწონილობის საკითხი, არამედ ის, თუ რამდენად იყო დაცული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები რეორგანიზაციის განხორციელებისას, თუმცა საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატა სადავო განჩინებაში ვერ ასაბუთებს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრე-

ტულად რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული თავდაცვის სამინისტროს მიერ. გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია რამდენად ექცეოდა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის დეფინიციაში, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი შტატების შემცირებას, მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობის შექმნას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკითხების შეფასება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების ერთ-ერთ მთავარ ნინაპირობას წარმოადგენდა. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული წარმოების გამართვის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთებულობის საკითხებზე, თუმცა არ მიუთითებს კონკრეტულად კანონმდებლობის რომელ მოთხოვნათა უგულებელყოფით იქნა გამოცემული სადავო აქტები. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია და არ შეუდარებია რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხები მათი იდენტიურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, კონკრეტულად რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა რეორგანიზაცია და ატარებს თანაშემწის სამოქალაქო შტატის გაუქმება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მოწყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება, ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს (სუსგ 12.04.2018წ. №ბს-1102-1096(კ-17)). ამდენად, სასამართლო კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოში რეორგანიზაციის ჩატარების პირობებში სასამართლო ვერ იმსჯელებს კონკრეტული საშტატო ერთეულის გაუქმების ან დამატების საჭიროებაზე, არამედ ამ პროცესში სასამართლო ამოწმებს აქვს თუ არა ადგილი საშტატო ერთეულების მხოლოდ ფორმალურ ცვლილებას და მოხელის გათავისუფლების მოტივით ორგანოს მიერ ხელოვნური პროცედურების

განხორციელებას, მოხელეთა თანასწორუფლებიანობის შეზღუდვას, გადაწყვეტილების მიღების პროცედურული საკითხების დარღვევას და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხებზე სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, რაც დაუსაბუთებელს ხდის მიღებულ გადაწყვეტილებას.

სადავო განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მითითებულ გარემოებებზე, რომლის თანახმად, თავდაცვის სამინისტროში ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით მიმდინარეობდა რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მოიცავდა თავდაცვის ატაშატის რაციონალური, ეფექტიანი და შედეგებზე გათვლილი სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. დისკუსიების შედეგად შეჯერებულ იქნა თავდაცვის ატაშატის პოლიტიკა, შემუშავებულ იქნა ოპტიმალური და ეფექტური სტრუქტურა და განისაზღვრა სტრუქტურული განვითარების გეგმა. ერთ-ერთ ასპექტს, რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის თვალსაზრისით, წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატებში ატაშეს თანაშემნის (სამოქალაქო სამშატო ერთეულის) გაუქმება. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ რეორგანიზაციის კანონიერად შესაფასებლად, საკმარისი არ არის მხოლოდ სამშატო ერთეულის შემცირების/გაუქმების ფაქტი, არამედ აუცილებელია რეორგანიზაციის განხორციელების კანონით გათვალისწინებული მიზნების არსებობა – რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი, თუმცა პალატა ვერ მიუთითებს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე კონკრეტულად კიდევ რა სახის მტკიცებულებებით უნდა დაესაბუთებინა ადმინისტრაციულ ორგანოს რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი. ამ კუთხით სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი დებულებების მითითებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სამოქალაქო თანამდებობები, ხოლო თავდაცვის ატაშეს თანამდებობაზე განისაზღვრა სამშატო კატეგორია – „ბრიგადის გენერალი“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხიც სააპელაციო პალატის მსჯელობის მიღმა დარჩა. საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით (რო-

მელიც ძალაში დარჩა სააპელაციო პალატის სადავო განჩინებით) თავდაცვის სამინისტროს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ხ-ი აღდგებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ...ში თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. ამავე დროს, ქვედა ინსტანციის სასამართლოები არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ მითითებული საშტატო ერთეული (ან/და ფუნქციონალური დატვირთვით მისი ტოლფასი საშტატო ერთეული) აღარ არსებობს. ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისთვისაც, გასაჩივრებული განჩინება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოცემული ეტაპისთვის გასულია მოსარჩელის მივლინების ვადა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომლის თანახმად, რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ 2020 წლის 20 იანვრის № 4 20 00000044 ბრძანებაზე მსჯელობისას სასამართლო გასცდა დავის საგანს. პალატა აღნიშნავს, რომ როდესაც დავის საგანს რეორგანიზაციის საფუძვლით მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია თუ არა რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ აქტი, სასამართლო მოკლებული არ არის შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული აქტის კანონმესაბამისობაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსჯელობა უნდა შეეხოს არა მიზანშეწონილობის, არამედ მხოლოდ კანონიერების საკითხებს. საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის კონკრეტულ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, შეაფასოს როგორც ძველი, ისე ახალი საშტატო ნუსხა, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი საშტატო ერთეულის არსებობის საკითხი და აღნიშნულის შედეგად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მსჯელობებზე მითითებით, არ არსებობდა სარჩელის დაუშვებლად ცნობის კანონისმიერი წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-

ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში) გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის აუცილებელი ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტოლფას თანამდებოებაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-103(2კ-22)

6 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 13 სექტემბერს თ. გ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე 1987 წლიდან მუშაობდა საავტომობილო გზების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2018 წლის 15 აგვისტოს ჩაბარდა №3/278 ბრძანება გათავისუფლების შესახებ, დათარიღებული – 08.07.2018წ. არსებულ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა წერილობითი პასუხი მიეღო მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა მიიღო წერილი და დოკუმენტაცია იმის თაობაზე, რომ გათავისუფლება განხორციელებულიყო კანონის შესაბამისად, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმება და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 29.1 მუხლსა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლებზე. მოსარჩელის განმარტებით, სამსახურმა არ შეისწავლა ის მდგომარეობა, რომ არსებულ სტრუქტურაში მუშაობდა დაახლოებით 31 წელი, იყო მარტოხელა და ჰქონდა რიგი საბანკო ვალდებულებები, ფაქტობრივად სახელმწიფოს (სამსახურის) მიერ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან გაგზავნილი მასალებით ირკვევა, რომ არსებული საკადრო ცვლილე-

ბეზით განხორციელდა მხოლოდ სამსახურის სახელწოდების ცვლილება, მოხდა მე-2 კატეგორიის თანამშრომლების დათხოვა დაკავებული თანამდებობიდან და ახალი თანამშრომლების დანიშვნა, მიღება.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის მოსარჩელე – თ. გ-ის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე თ. გ-ის სასარგებლოდ, მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით მიუღებელი იძულებითი განაცდურის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებისა და დისკრიმინაციული მოპყრობის და არასათანადოდ მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში 10 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანება თ. გ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; სარჩელი სხვა მოთხოვნების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 მაისის №119 ბრძანებით გამოცხადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რის შემდეგაც მიღებული იქნებოდა დეპარტამენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა, აგრეთვე, დეპარტამენტის შტატების გადაადგილების ან/და შემცირების განხორციელე-

ბა. ზემოაღნიშნული ბრძანების თაობაზე 2018 წლის 8 მაისს ეცნობა მოსარჩელე – თ. გ-ის, რომელმაც ხელმოწერით დაადასტურა აღნიშნული ფაქტი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 ივნისის №145 ბრძანებით დეპარტამენტის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები განისაზღვრა დანართის შესაბამისად. ბრძანებაზე დართული დანართის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, რეორგანიზაციის პროცესში გასატარებელ ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენდა დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად მიჩნეული იქნა, რომ გაუქმებულიყო საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახური და ...ი, ხოლო მათ ბაზაზე შექმნილიყო ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი – ...ი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა 3 სტრუქტურული ქვედანაყოფი: დაგეგმარებისა და ექსპლუატაციის სამმართველო, განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამმართველო და ...ო. საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურსა (16 სამტატო ერთეულით) და ...ში (10 სამტატო ერთეულით) ერთობლივად გათვალისწინებული 26 სამტატო ერთეული შემცირდა და ...ში განისაზღვრა 18 შტატი. საბოლოოდ კი დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 189 სამტატო ერთეულით. შესაბამისად, დეპარტამენტის არსებული სამტატო რიცხოვნობა 226 შემცირდა 37 სამტატო ერთეულით.

რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 4 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებით განისაზღვრა თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სია, მათ შორის 21-ე ნომრად მითითებული იქნა თ. გ-ი, რომლის გათავისუფლების საფუძველად მითითებული იქნა ის გარემოება, რომ უქმდებოდა ...ი და შესაბამისად, ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2.). დეპარტამენტის ახალ სამტატო ნუსხაში თ. გ-ის კომპეტენციისა და იერარქიული რანგის/კატეგორიის (3.2.) გათვალისწინებით არ იყო გათვალისწინებული მისი თანამდებობის ტოლფასი, მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (3.2.) ან/და დაბალი თანამდებობა. ამასთან, ...ში განსაზღვრულ ...ოში, რომელშიც გადატანილი იქნა ...ის ამოცანების ნაწილი, გათ-

ვალისწინებული იყო ორი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2.), რომელზეც შეირჩა კანდიდატურა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 4 ივლისის №6642-2-01 წერილით თ. გ-ი გაფრთხილებული იქნა „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 8 მაისის №119 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული რეორგანიზაციის გამო, შტატების შემცირების შედეგად, დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. ასევე ეცნობა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შიდა მობილობის განსახორციელებლად, დასაქმების თხოვნით მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტს, სსიპ ანაკლიის ღრმანწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს, სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრს, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. მოძიების შედეგად გაირკვა, რომ სამინისტროსა და მის სისტემაში იერარქიულად ტოლფას ან დაბალ თანამდებობაზე მისი გადაყვანა შეუძლებელი იყო.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ დეპარტამენტმა 2018 წლის 16 ივლისის №2-01/8251 წერილით მიმართა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს, რათა მათ მოეძიათ თ. გ-ის კომპეტენციის შესაბამისი საჯარო სამსახურის სისტემაში არსებული ვაკანტური თანამდებობები. სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემიდან, თბილისის მასშტაბით, მოძიებული იქნა პროფესიული საჯარო მოხელის შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც დეპარტამენტმა თ. გ-ის დასაქმების მიზნით მიმართა შემდეგ უწყებებს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედ-

ველობის დეპარტამენტს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას. ზემოაღნიშნულმა დაწესებულებებმა აცნობეს დეპარტამენტს, რომ ვერ განახორციელებდნენ თ. გ-ის მიმართ მობილობის პროცედურას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანებით, რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 4 ივლისის წინადადების №2 ოქმისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 4 ივლისის №6642-2-01 გაფრთხილების წერილის გათვალისწინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 110-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №94/ო ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – თ. გ-ი, 2018 წლის 8 აგვისტოდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 2018 წლის 8 აგვისტოდან ჩარიცხული იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა კომპენსაცია სამი თვის ბოლო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ...ის ძირი-

თად ამოცანებზე; ასევე მიუთითა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“-„ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ...ის ...ოს ამოცანებსა და კომპეტენციაზე.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის №10/ო ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დანართის შესაბამისად, დეპარტამენტში შემავალ ...ში (სულ 10 საშტატო ერთეულით) გათვალისწინებული იყო მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული (1 400 ლარის ანაზღაურებით), ასევე 5 საშტატო ერთეული (1 200 ლარის ანაზღაურებით), ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №94/ო ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დანართის შესაბამისად, დეპარტამენტში გათვალისწინებული იქნა ..., რომლის შემადგენლობაში არსებულ ...ში (სულ 6 საშტატო ერთეულით) განისაზღვრა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული (1 200 ლარის ანაზღაურებით).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მე-12 თავით დადგენილია სამსახურიდან განთავისუფლების პირობები. აღნიშნული კანონის 108-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილი იქნეს იმავე ან სხვა საჯარო

დანესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ხოლო ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ნაცვლად შეიქმნა ახალი ..., მასში შემავალი ...ოთი, რომელსაც გადაეცა ...ისათვის დადგენილი ამოცანების ნაწილობრივ შესრულება-განხორციელების ფუნქცია.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოში განხორციელებულ რეორგანიზაციის შედეგად ადგილი ჰქონდა სტრუქტურული ერთეულის – სამსახურის დასახელების ცვლილებას (...ის ნაცვლად შეიქმნა ...ო) და სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების გადატანას ახალ სამმართველოში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად გატარებული რეორგანიზაციისა, ადმინისტრაციულ ორგანოში რეალურად შენარჩუნებული იქნა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა 2 სამშატო ერთეულით. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოსათვის გაუგებარი იყო, თუ რა გარემოებების მხედველობაში მიღებით განხორციელდა მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლება და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არსებულ 2 სამშატო ერთეულზე კონკრეტულ პირთა შერჩევა-დანიშვნა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტზე, მე-5 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 53-ე მუხლის პირველ და მე-5 ნაწილებზე, 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განსახილველ შემთხვევაში მიიჩნია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანება მიღებული იქნა სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხე მხარის მიერ არ არის გამოკვლეული გარემოებები მოსარჩელის პიროვნების, დამსახურების, კვალიფიკაციის შესახებ, ასევე, თუ რატომ მიენიჭათ უპირატესობა სხვა კანდიდატებს ადმი-

ნისტრაციული ორგანოს მიერ და თ. გ-ი რატომ არ დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა მოპასუხე მხარემ აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის დროს კონკრეტული პირისათვის უპირატესობის მინიჭებისას, რადგან რეორგანიზაციამდე არსებულ ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს, მათი კვალიფიკაციის და სამსახურებრივი დამსახურების გათვალისწინებით და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, თანაბარი უფლება ჰქონდა დანიშნულიყო რეორგანიზაციის შედეგად განსაზღვრულ ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე.

იმ პირობებში, როდესაც სადავო საკითხის გადანაცვების გარეშე ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გარემოებების გამოკვლევის და შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ამ მომენტისთვის სასამართლო ვერ იმსჯელებდა მოსარჩელის მოთხოვნაზე მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, მოსარჩელის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, ასევე, მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის დისკრიმინაციული მოპყრობის და არასათანადოდ მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების – 10 000 ლარის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, 363³ მუხლზე და აღნიშნა, რომ პირის ვარაუდი დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებსა და ფაქტებს, რასაც იგი წარუდგენს სასამართლოს და სათანადოდ დაასაბუთებს ამგვარი ფაქტის არსებობას. მოპასუხე ვალდებულია ამტკიცოს ის გარემოება, რომ ადგილი არ ჰქონია დისკრიმინაციულ მოპყრობას, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი იქნება შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არის წარმოდგენილი, რის გამოც სასამართლომ მი-

იჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის არსებობა ვერ დადასტურდა სასამართლოში საქმის განხილვისას.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მოპასუხის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობიდან და დასტურდებო-დეს მოსარჩელის მიერ წარდგენილი კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით, სახეზე არ იყო. შესაბამისად, დამდგარი ზიანის არსებობა საქმეში არსებული მტკიცებულებებით საერთოდ ვერ იქნა დადასტურებული. აქედან გამომდინარე კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა თ. გ-ის მიმართ განსხვავებული მოპყრობა – დისკრიმინაცია და შესაბამისად, ზიანის მიყენების ფაქტი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა – დისკრიმინაციული მოპყრობის და არასათანადოდ მოპყრობის და-დასტურების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების – 10 000 ლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკ-მაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩე-ლის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სა-ქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება სამსა-ხურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უა-რის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-იმ, რო-მელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამსახურში აღდგენა და იძულებითი გა-ნაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს რეგიონუ-ლი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტო-მობილო გზების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყო-ფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვე-

ტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №პ/278 ბრძანება; დანარჩენ ნაწილში თ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში განხორციელებულ რეორგანიზაციის შედეგად ადგილი ჰქონდა სტრუქტურული ერთეულის – სამსახურის დასახელების ცვლილებას (...ის ნაცვლად შეიქმნა ...ო) და სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების გადატანას ახალ სამმართველოში. მიუხედავად გატარებული რეორგანიზაციისა, ადმინისტრაციულ ორგანოში რეალურად შენარჩუნებული იქნა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა 2 სამტატო ერთეულით. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუგებარი იყო, თუ რა გარემოებების მხედველობაში მიღებით განხორციელდა მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლება და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არსებულ 2 სამტატო ერთეულზე კონკრეტულ პირთა შერჩევა-დანიშვნა. სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხე მხარის მიერ არ იქნა გამოკვლეული მოსარჩელის პიროვნების, დამსახურების, კვალიფიკაციის შესახებ, ასევე, თუ რატომ მიენიჭათ უპირატესობა სხვა კანდიდატებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და თ. გ-ი რატომ არ დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა მოპასუხე მხარემ აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის დროს კონკრეტული პირისათვის უპირატესობის მინიჭებისას, რადგან რეორგანიზაციამდე არსებულ ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს, მათი კვალიფიკაციის და სამსახურებრივი დამსახურების გათვალისწინებით და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, თანაბარი უფლება ჰქონდა დანიშნულიყო რეორგანიზაციის შედეგად განსაზღვრულ ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. პალატამ მიუთითა, რომ სწორედ აღნიშნული გარემოებების გამოკვლევა დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილზე რომელიც ადგენს, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განაყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დანესებულება

ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

პალატამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონმა საჯარო სამსახურის სტაბილურობა განამტკიცა არა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის კუთხით, არამედ კანონით დადგენილი წესით დანიშნული მოხელის მიერ თანამდებობის შენარჩუნების კუთხითაც. ამჟამად მოქმედმა კანონმა, განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისგან, გამორიცხა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენისას სადავო თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესით დანიშნული პირის გათავისუფლება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობაზე. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ამგვარი საფუძველი გათვალისწინებული არ არის დღეს მოქმედი კანონით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლი აღდგენს და განსაზღვრავს უკანონოდ გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს იმავე თანამდებობაზე პირის აღდგენას. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მო-

იაზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. ამდენად, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენის პროცედურა სისტემურად აგებულია იმგვარად, რომ კანონით დადგენილი წესით დანიშნულ მოხელეს არ შეეხოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, რაც უზრუნველყოფდა მოსამსახურის სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, როგორც საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის შესრულებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი, რაც ნამდვილად წარმოადგენდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველს, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულია კანონით დადგენილი წესით დანიშნული მოხელის მიერ თანამდებობის შენარჩუნების საკითხი, მიზანშეუწონელი იყო სადავო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის სააპელაციო ინსტანციით განხილვისას დადგინ-

და, რომ ...ში არ არსებობდა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მისი ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა, სადაც თ. გ-ი ითხოვდა აღდგენას. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო თ. გ-ის ...ში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მის ტოლფას ვაკანტურ თანამდებობაზე აღდგენა.

რაც შეეხება აპელანტ თ. გ-ის მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლითაც დადგენილია, რომ მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განმარტა, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე პირდაპირ პროპორციულად არის დაკავშირებული მოხელის სამსახურში აღდგენასთან. რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეუძლებელი იყო თ. გ-ის სამსახურში აღდგენა, შესაბამისად, პალატა ვერ იმსჯელებდა თ. გ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავდა აპელანტის, როგორც საჯარო მოხელის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენების შესაძლებლობას, რასთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 განჩინებაში (საქმე №ბს-234-234(2კ-18)) განვითარებულ მსჯელობაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ კანონმდებლის ნებას წარმოადგენს აღნიშნული დანაწესით არა უფლებამოსილებათა გამიჯვნა საჯარო დაწესებულებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის, არამედ, თავად საჯარო დაწესებულებისათვის დამატებითი მექანიზმებისა და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რითაც იგი შეძლებს, თავადვე უზრუნველყოს უკანონოდ გათავისუფლებულ პირთა უფლებებში აღდგენა და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული უკანონო-

ნო გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების ეფექტური აღმოფხვრა, რისი განხორციელების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონისმიერად ეკისრება (მოხელის რეზერვში ჩარიცხვა, კომპენსაციის მიცემა და სხვა) (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაზე №ბს-1061(კ-19)).

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №პ/278 ბრძანება და თ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, რეორგანიზაციის ფარგლებში გაუქმდა თანამდებობა – ...ის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. შესწავლილ იქნა დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ მოხელეთა სამუშაო აღწერილობები, მათი ფუნქციები და კადრების აღრიცხვის ფურცლები ...ში განსაზღვრულ ...ში, რომელშიც იქნა გადატანილი ...ის ამოცანების ნაწილი, გათვალისწინებული იყო/არის ორი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2), რომელზეც შეირჩა სხვა კანდიდატურები (მათი კომპეტენციის, სამუშაო გამოცდილების, უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის გათვალისწინებით) და ვინაიდან დეპარტამენტის ახალ საშტატო ნუსხაში თ. გ-ის კომპეტენციისა და მისი თანამდებობის იერარქიული რანგის/კატეგორიის (3.2) გათვალისწინებით, არ იყო გათვალისწინებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (3.2) ტოლფასი ან/და უფრო დაბალი თანამდებობა, თ. გ-ი 2018 წლის 4 ივლისის დეპარტამენტის №6642-2-01 წერილით გაფრთხილებულ იქნა რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირების შედეგად, დაკავებული თანამ-

დებობიდან შესაძლო განთავისუფლების შესახებ და მის მიმართ განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები. კერძოდ, დაიწყო მობილობის პროცესი და ვინაიდან აღნიშნულის ფარგლებში ვერ განხორციელდა მოხელის დასაქმება, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 8 აგვისტოს №3/278 ბრძანებით იგი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში, რაზედაც დეპარტამენტის 2018 წლის 16 აგვისტოს №2-01/9563 წერილით ეცნობა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია როგორც საკუთარ გადაწყვეტილებაში მოყვანილ გარემოებებთან, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილთან, რომელსაც იზიარებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დეპარტამენტს არ აქვს დავალებული რაიმე მოქმედების განხორციელება, არამედ მიღებული აქვს მხოლოდ ბრძანების ბათილად ცნობის გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს რაიმე მოქმედება, თუმცა გაუგებარია, მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობით რა სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს მხარეებისთვის. ერთი მხრივ – სადავო ბრძანება გაუქმებულია, ხოლო მეორე მხრივ – მოხელე ვერ აღდგება მოთხოვნილ თანამდებობაზე და შესაბამისად, ვერ მიიღებს განაცდურს, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს თანამდებობაზე აღდგენის თანმდევ შედეგს, რასაც ასევე განმარტავს სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში.

ამასთან, კასატორის მტკიცებით, 3.2 და 3.1 რანგის მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობები განსხვავებულია და აღნიშნული თანამდებობები არ წარმოადგენს ტოლფასს. ამასთან, კასატორის მითითებით, მოსარჩელეს რეორგანიზაციის შემდგომ 3.2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტისთვის საჭირო კვალიფიკაცია არ გააჩნდა, ხოლო 3.2 კატეგორიის სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ პირებს გააჩნდათ როგორც კვალიფიკაცია, ასევე უნარები (მათ შორის ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემების შექმნის ცოდნა და უნარი და უცხო ენის ცოდნა, რაც პრიორიტეტულია სამმართველოს საქმიანობისთვის დონორებთან ურთიერთობის კუთხით).

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მოხელე არ იყო უკანონოდ გათავისუფლებული თანამდებობიდან, ხოლო დეპარტამენტის მიერ განხორციელებულია მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის, გაცემულ იქნა კომპენსაცია

და განხორციელდა მოხელის რეზერვში ჩარიცხვა შიდა და გარე მობილობის განხორციელების შეუძლებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გიმა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

კასატორის – თ. გ-ის მითითებით, მისი განთავისუფლების ბრძანება გამოტანილია 2018 წლის 8 აგვისტოს, რა დროიდანაც იგი ფაქტობრივად უკანონოდ განთავისუფლებულად ითვლება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მას ჰქონდა საბანკო ვალდებულებები და დარჩა შემოსავლის გარეშე. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა მისი სამსახურში აღდგენისა და განაცდურის საკითხზე და დაეკმაყოფილებინა. კასატორის განმარტებით, ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებს მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში აქვს ადგილი, შესაბამისად, მისი მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე უნდა დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

კასატორის განმარტებით, იგი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა ისეთ პირობებში, როდესაც არსებითად არ შეცვლილა იმ სამმართველოს ფუნქციები, რომელშიც იგი მუშაობდა, არსებითად არ შეცვლილა იმ საშტატო ერთეულებისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ფორმალურად, მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულების ნაცვლად განისაზღვრა და იგივე საშტატო ერთეულები, არსებითად იმავე ფუნქციებით არის დატვირთული, რაც მის მიერ დაკავებულ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულს ევალებოდა. საშტატო ერთეულებს შორის ფუნქციურ დატვირთვისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის არსებითი განსხვავების გარეშე, მათი რანგირება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათი განაცდლება არ უნდა ჩაითვალოს საშტატო ერთეულების შემცირებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-

ნა მიღებული თ. გ-ისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ივნისის განჩინებით თ. გ-ისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლებზე და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელით მოთხოვნილია თ. გ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის თ. გ-ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე მიუღებელი იძულებითი განაცდურის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებისა და დისკრიმინაციული მოპყრობის და არასათანადოდ მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების დავალება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება თ. გ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; სარჩელი სხვა მოთხოვნების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით კი ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და დანარჩენ ნაწილში თ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასატორი – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სადავოდ ხდის სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში; ხოლო თ. გ-ი როგორც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სადავოდ ხდის მხოლოდ სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მსჯელობს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში.

განსახილველი დავის ფარგლებში კასატორი – თ. გ-ი სადავოდ ხდის მისი შრომითი უფლებების დარღვევას და მიუთითებს, რომ იგი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა ისეთ პირობებში, როდესაც არსებითად არ შეცვლილა იმ სამმართველოს ფუნქციები, რომელშიც იგი მუშაობდა, არსებითად არ შეცვლილა იმ საშტატო ერთეულებისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ფორმალურად, მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულების ნაცვლად განისაზღვრა და იგივე საშტატო ერთეულები, არსებითად იმავე ფუნქციებით არის დატვირთული, რაც მოსარჩელის მიერ დაკავებულ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულს ევალებოდა. თავისმხრივ კასატორის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიუთითებით, ...ში განსაზღვრულ ...ში, რომელშიც იქნა გადატანილი ...ის ამოცანების ნაწილი, გათვალისწინებული იყო/არის ორი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2), რომელზეც შეირჩა სხვა კანდიდატურები მათი კომპეტენციის, სამუშაო გამოცდილების, უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის გათვალისწინებით; ხოლო თ. გ-ის მიმართ დეპარტამენტის მიერ განხორციელებულია მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის, გაცემულ იქნა კომპენსაცია და განხორციელდა მოხელის რეზერვში ჩარიცხვა შიდა და გარე მობილობის განხორციელების შეუძლებლობის გამო. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასევე სადავოდ ხდის მისი აღსრულების კუთხით, კერძოდ, კასატორისთვის გაუგებარია მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობით რა სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს მხარეებისთვის. ხოლო თ. გ-ი მიიჩნევს, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის პირობებში სასამართლოს ასევე უნდა დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნები სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. შესა-

ბამისად, განსახილველი დავის გადაწყვეტის მიზნით თავდაპირველად უნდა შეფასდეს თ. გ-ის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის მართებულობა, ხოლო აღნიშნულის დადგენის შემდგომ – სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონმა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას, საჯარო სამსახურის სტაბილურობისა და მოხელეთა უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად შემოიტანა მობილობის ინსტიტუტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 105.1 მუხლიც მოხელის რეზერვში ჩარიცხვას იმ შემთხვევაში ადგენს, როდესაც მოხელის მობილობა ვერ განხორციელდა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი“, რომელმაც განსაზღვრა საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი და პირობები, მობილობის პროცესში ჩართული სუბიექტების უფლებამოსილების განხორციელების საკითხები. ეს წესი ასევე არეგულირებს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისა და მოხელის რეზერვთან დაკავშირებულ საკითხებს (პირველი მუხ.). დასახელებულმა მობილობის წესმა მობილობის მიზნები დაუკავშირა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელ პროფესიულ საჯარო მოხელეთა დასაქმების უზრუნველყოფას, საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრებისა და საჯარო

რო სამსახურის სტაბილურობის შენარჩუნებას (მე-2 მუხ.). მობილობის წესის მე-12 მუხლით განერილია მობილობის პროცედურები; ხოლო მე-13 მუხლი ეხება მოხელეთა რეზერვს, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.4 მუხლისა და 105.1 მუხლის მსგავსად, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას მობილობის შეუძლებლობას უკავშირებს. სადავო მობილობის განხორციელების დროს მოქმედი რედაქციით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-13 მუხლი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე, 105-ე მუხლები პირდაპირ და არაორაზროვნად მიუთითებს მობილობის პროცესში მოხელის რეზერვში ჩარიცხვის შესაძლებლობას მხოლოდ მის მიმართ მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ დახვეწისა და არსებული ბუნდოვანებების აღმოფხვრის მიზნით, მობილობის პროცედურების განსაზღვრულობისა და სიცხადის თვალსაზრისით, მობილობის წესში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის №315 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა და ნათლად განისაზღვრა რიგი საკითხები.

მობილობის წესში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია მე-12 მუხლის ახლად ჩამოყალიბებული რედაქცია, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელი მოხელის მობილობა განახორციელოს იმავე საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანხმობის არარსებობისას – სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა საჯარო დაწესებულებაში ვერ განხორციელდა პირის მობილობა ტოლფას თანამდებობაზე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოხელის მობილობა განახორციელოს იმავე საჯარო დაწესებულებაში დაბალ თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანხმობის არარსებობისას – სხვა საჯარო დაწესებულებაში დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ხოლო აღნიშნული წესის მე-13 მუხლი მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას კვლავ მობილობის შეუძლებლობას უკავშირებს.

„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესში“ განხორციელებულმა ცვლილებებმა ცხადყო კანონმდებლის ნება მობილო-

ბის წესის განხორციელების პროცესში, დააზუსტა და ხაზი გაუსვა მობილობის მიზნებსა და არსს. თუმცა, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ასევე ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული რედაქციით ცალსახაა მობილობის უმთავრესი პრინციპი – გასათავისუფლებელი მოხელისთვის ტოლფასი თანამდებობის მოძიება და შეთავაზება, დასახელებული „წესით“ განსაზღვრული მობილობის პროცედურის სათანადო განხორციელება და მოხელის რეზერვში ჩარიცხვა მხოლოდ მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამდენად, მობილობის მიზნებისა და არსის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას, თავდაპირველად ხდება მოხელისთვის ტოლფასი თანამდებობის მოძიება და შეთავაზება, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლითა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-12 მუხლით დადგენილი წესით მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება მოხელის რეზერვში ჩარიცხვა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 მაისის №119 ბრძანებით გამოცხადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რომლის შესახებაც თ. გ-ის ეცნობა 2018 წლის 8 მაისს.

რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ გაუქმებულიყო საავტომობილო გზების ადმინისტრირების და ...ები, ხოლო მათ ბაზაზე შექმნილიყო ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი – ...ი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი: დაგეგმარებისა და ექსპლუატაციის სამმართველო, განვითარების პარტნიორობთან ურთიერთობის სამმართველო და ...ო. საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურსა (16 საშტატო ერთეულით) და ...ში (10 საშტატო ერთეულით) ერთობლივად გათვალისწინებული 26 საშტატო ერთეული შემცირდა და ...ში განისაზღვრა 18 შტატი. საბოლოოდ კი, დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 189 საშტატო ერთეულით, შესაბამისად, დეპარტამენტის არსებული საშტატო რიცხოვნობა – 226, შემცირდა 37 საშტატო ერთეულით.

ამასთან, რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 4 ივლისის მიღებული გადაწყვეტილებით განისაზღვრა თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სია, მათ შორის, 21-ე ნომრად მითითებული იქნა – თ. გ-ი, საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ უქმდებოდა ...ი და შესაბამისად, ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2.). დეპარტამენტის ახალ საშტატო ნუსხაში თ. გ-ის კომპეტენციისა და იერარქიული რანგის/კატეგორიის (3.2.) გათვალისწინებით არ იყო მისი თანამდებობის ტოლფასი, მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (3.2.) ან/და დაბალი თანამდებობა. ...ში განსაზღვრულ ...ოში, რომელშიც გადატანილი იქნა ...ის ამოცანების ნაწილი, გათვალისწინებული იყო ორი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (3.2.), რომელზეც შეირჩა კანდიდატურა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 4 ივლისის №6642-2-01 წერილით თ. გ-ი გაფრთხილებულ იქნა შტატების შემცირების შედეგად, დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 8 აგვისტოს №პ/278 ბრძანებით, რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა 2018 წლის 4 ივლისის წინადადების №2 ოქმისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის 4 ივლისის №6642-2-01 გაფრთხილების წერილის გათვალისწინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 110-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №94/ო ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – თ. გ-ი 2018 წლის 8 აგვისტოდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდე-

ბობიდან, 2018 წლის 8 აგვისტოდან ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა კომპენსაცია სამი თვის ბოლო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ამდენად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შემცირდა დეპარტამენტის არსებული საშტატო რიცხოვნობა, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს დღის წესრიგში დადგა მობილობის წესის განხორციელება, რისი სათანადოობა და კანონთან შესაბამისობაც სადავოდ არის ქცეული მოცემული სამართალურთიერთობის ფარგლებში.

დადგენილია, რომ რეორგანიზაციის განხორციელებამდე მოსარჩელე თ. გ-ი იკავებდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას. წარმოდგენილი სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე პრეტენზიას გამოთქვამს რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და აღნიშნავს, რომ დასახელებული საშტატო ერთეული არსებითად იმავე ფუნქციებით არის დატვირთული, რაც მის მიერ დაკავებულ მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულს ევალებოდა, რასაც არ იზიარებს ადმინისტრაციული ორგანო და მიუთითებს, რომ მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე შეიძლება სხვა კანდიდატურები მათი კომპეტენციის, სამუშაო გამოცდილების, უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს განხორციელებულ რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ არსებულ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულებებზე, ასევე დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხებზე.

კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენდა – ...ი, ხოლო მე-11 მუხლის მე-2 პუნ-

ქტის თანახმად, ...ის ძირითადი ამოცანები იყო: ა) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოძრაობის ორგანიზაციის ცვლილებისა და სატრანსპორტო ნაკადის გადართვის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება; ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საინფორმაციო ჯგუფის მეშვეობით, დეპარტამენტის დაკვეთით საგზაო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციების და სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის მიღება გზებზე არსებული ავტოსატრანსპორტო მოძრაობის რეჟიმების შესახებ; გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის დეტალური დამუშავებისა და ამ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა დაინტერესებული უწყებებისათვის და მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქეებისათვის; დ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე განვითარებული სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შესახებ, დეპარტამენტის დაკვეთით საგზაო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და აღნიშნულ სამუშაოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ, დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის დამუშავება, დეპარტამენტის ხელმძღვანელობისა და დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის მიწოდება; ე) დეპარტამენტის სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, დეპარტამენტის დაკვეთით საგზაო სამუშაოების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან და აღნიშნულ სამუშაოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირი და ინფორმაციის მოძიება/მიღება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის სისტემატიური მიწოდება, აგრეთვე, მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა; ვ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო სამუშაოების ვიდეოკონტროლის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის, დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და დაინტერესებული პირებისათვის; ზ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ვიდეოკონტროლის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის დამუშავება; თ) დეპარტამენტის შიდა კომპიუტერ-

რული ქსელით უზრუნველყოფა; ი) დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; კ) დეპარტამენტის სატელეფონო ქსელის და ქვესადგურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; ლ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი შესყიდვის განხორციელების მიზნით, ტექნიკური პირობების მომზადების ხელშეწყობა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის მიწოდება; მ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობა; ნ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შესული კორექსონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის პროექტის მომზადება; ო) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც არ შედიოდა დეპარტამენტის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციაში და მიეკუთვნებოდა დეპარტამენტის საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს; პ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს – ...ი, რომლის შემადგენლობაში მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შედის: ა) დაგეგმარებისა და ექსპლუატაციის სამმართველო; ბ) განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამმართველო; გ) ...ო. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „რ“-„ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ამოცანებს ასრულებს ...ის ...ო, ხოლო „ყ“-„ნ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ამოცანებს ...ის ყველა სამმართველო ასრულებს კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, ...ის ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციას მიეკუთვნება: რ) კომპეტენციის ფარგლებში, საავტომობილო გზების მოძრაობის ორგანიზაციის ცვლილებისა და სატრანსპორტო ნაკადის გადართვის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება; ს) კომპეტენციის ფარგლებში, საინფორმაციო ჯგუფის მეშვეობით, დეპარტამენტის დაკვეთით საგზაო და ნაპირდაცვის/ნაპირაღდგენის სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციების (შემდგომში – მშენებელი) და შესა-

ბამის სამუშაოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანიზაციების (შემდგომში – ზედამხედველი) მიერ დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის მიღება გზებზე არსებული ავტოსატრანსპორტო მოძრაობის რეჟიმების შესახებ; ტ) დეპარტამენტის სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან (ერთეულებთან), მშენებელთან და ზედამხედველთან მუდმივი კავშირი და ინფორმაციის მოძიება/მიღება საავტომობილო გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის სისტემატური მინოდება, აგრეთვე, მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა; უ) კომპეტენციის ფარგლებში, საინფორმაციო ჯგუფის მეშვეობით, საავტომობილო გზებზე განთავსებული ცვლადი და ტექსტური საინფორმაციო ნიშნების მართვა დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან (ერთეულთან) და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობის გზით; ფ) საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და გადაადგილების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საავტომობილო გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საავტომობილო გზის მომხმარებელთათვის გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი მობილური აპლიკაციების შემუშავება, შემუშავებულ აპლიკაციებში საგზაო რეჟიმის ასახვა და საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, აპლიკაციის განვითარების ტექნიკური ჯგუფისათვის წინადადებების წარდგენა; ქ) საავტომობილო გზების მომხმარებლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, მომსახურების სისტემის მართვა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა; ლ) ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემისა (ITS) და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემების შექმნის, განვითარებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი წინადადებების მომზადება, ინფორმაციების დამუშავება და სისტემაში ასახვა, აღნიშნული სისტემების მართვა და განვითარება; ყ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი შესყიდვის განხორციელების მიზნით, ტექნიკური დავალების მომზადების ხელშეწყობა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის (ერთეულისათვის) მინოდება; შ) კომპეტენციის ფარგლებში, საავტომობილო გზების დარგში შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობა; ჩ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობა; ც) კომპეტენციის ფარგლებში, სამ-

სახურში შესული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის პროექტის მომზადება; d) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც არ შედის დეპარტამენტის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) კომპეტენციაში და მიეკუთვნება დეპარტამენტის საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს; ნ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის №10/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად. აღნიშნული დანართით დეპარტამენტში შემავალ ...ში (სულ 10 საშტატო ერთეულით) გათვალისწინებული იყო მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული (1 400 ლარის ანაზღაურებით), ასევე 5 საშტატო ერთეული (1 200 ლარის ანაზღაურებით). ზემოაღნიშნულ ბრძანებაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 2 აპრილს №40/ო ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით ...ში მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა უცვლელად იქნა დატოვებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №94/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად. აღნიშნული დანართის მიხედვით, დეპარტამენტში გათვალისწინებული იქნა ...ი, რომლის შემადგენლობაში არსებულ ...ოში (სულ 6 საშტატო ერთეულით) განისაზღვრა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული (1 200 ლარის ანაზღაურებით).

რეორგანიზაციამდე არსებული ...ისა და რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ...ის ...ოს დასახელებული დებულებებით განსაზღვრული ფუნქციები თავისი არსით უმეტესწილად მსგავსია. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ადგილი ჰქონდა სტრუქტურული ერთეულის – სამსახურის დასახელებისა და დაქვემდებარ-

რების ცვლილებას – ...ის ნაცვლად შეიქმნა ...ო, ...ის დაქვემდებარებაში, ხოლო სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები გადატანილ იქნა ახალ სამმართველოში. თუმცა, მიუხედავად გატარებული რეორგანიზაციისა, ...ის ...ოში რეალურად შენარჩუნებული იქნა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა 2 საშტატო ერთეულით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი – ...ი შექმნილია სწორედ გაუქმებული საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურისა და ...ის ბაზაზე, რომელშიც გათვალისწინებულია 3 სტრუქტურული ქვედანაყოფი: დაგეგმარებისა და ექსპლუატაციის სამმართველო, განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამმართველო და ...ო.

სადავო მობილობის განხორციელებისას კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ტოლფასი თანამდებობის დეფინიციას. ტოლფასი თანამდებობის შეფასებას ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები განსაზღვრავდა. ტოლფასი ყოველთვის იდენტურს არ გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გართულებოდა ტოლფასი თანამდებობის რეალური მოძიება ახლად შექმნილ, რეორგანიზაციას დაქვემდებარებულ დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესში“ განხორციელებული ცვლილებებით ერთიანი მიდგომების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა ტოლფასი თანამდებობის დეფინიცია, რომლის თანახმად, ტოლფასი თანამდებობა წარმოადგენს იმავე რანგისა და კატეგორიის თანამდებობას, რომლის სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იდენტურია ან უმეტესწილად მსგავსია (მობილობის წესის 3.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი).

განხორციელებული ცვლილებებით გამყარდა დასკვნა მოცემულ შემთხვევაში ტოლფასი თანამდებობის შეფასების თაობაზე. საქმეში არსებული მასალების, ასევე ზემოაღნიშნული დებულებების შედარებისა და შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ადგილი ჰქონდა სტრუქტურული ერთეულის დასახელებისა და დაქვემდებარების ცვლილებას – ...ის ნაცვლად შეიქმნა ...ო, ხოლო თავად სამსახურის ფუნქციების, მიზნებისა და დანიშნულების თვისობრივი და არსებითი ხასიათის ცვლილებას, ადგილი არ ჰქონია. უმეტესწილად მსგავსია ძირითად უფლებათა წრე.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს – თ. გ-ის რეორგანიზაციამდე ეკავა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, რომლის ტოლფას – უმეტესწილად მსგავს თანამდე-

ბობას რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოში მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა წარმოადგენდა, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა მობილობის პროცესი განეხორციელებინა კანონის დაცვით, მისი არსისა და მიზნების გათვალისწინებით და ტოლფასი თანამდებობის არსებობისას, მისი შეთავაზება განეხორციელებინა თ. გ-ისათვის.

მართალია, საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შიდა მობილობის განსახორციელებლად, თ. გ-ის დასაქმების თხოვნით მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მის სისტემაში არსებულ ორგანოებს, ხოლო გარე მობილობის განსახორციელებლად – სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს, თუმცა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დაადასტურა, რომ თ. გ-ისთვის შეთავაზებულ იქნა მისი თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მოთხოვნა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქმის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს, რომ ახლად შექმნილ სამმართველოს დაემატა ფუნქციები და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე შეირჩა სხვა კანდიდატურები მათი კომპეტენციისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით, თუმცა ტოლფას პოზიციაზე მოსარჩელე თ. გ-ის არასათანადოობა არ დადგენილა მობილობის პროცედურის განხორციელებისას. ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებს რა გარემოებების მხედველობაში მიღებით განხორციელდა მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა, ხოლო ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არსებულ 2 საშტატო ერთეულზე კონკრეტულ პირთა შერჩევა-დანიშვნა. რეორგანიზაციამდე არსებულ ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს, მათი კვალიფიკაციის და სამსახურებრივი დამსახურების გათვალისწინებით და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, თანაბარი უფლება ჰქონდა დანიშნულიყო რეორგანიზაციის შედეგად განსაზღვრულ ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი

სპეციალისტის თანამდებობაზე.

ამდენად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაარღვია მობილობის წესი, როდესაც თ. გ-ის არ შესთავაზა ტოლფასი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, ხოლო მობილობის შეუძლებლობის მოტივით თ. გ-ი ჩაირიცხა რეზერვში და მიეცა სამი თვის კომპენსაცია. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მობილობის წესის შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უპირველესყოვლისა უნდა უზრუნველყოს რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი თანამდებობის გამოყენება მობილობის მიზნებისათვის, რა დროსაც მობილობის განხორციელების პროცესში კონკრეტულ თანამდებობაზე სათანადო კანდიდატურის შერჩევისას თავდაპირველად ის მოხელეები ერთვებიან მობილობის პროცესში, რომელთა შემცირებული შტატების ტოლფას თანამდებობას წარმოადგენს დასაკავებელი პოზიცია.

ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ თ. გ-ის მიმართ მობილობის პროცედურა განხორციელდა არასათანადოდ. მოხელის რეზერვში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.4, 105.1 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში კი მობილობის პროცედურა კანონით დადგენილი წესით არ განხორციელბულა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განწყვეტილება თ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არსებითად სწორია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, სადავო ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში, იმ გარემოებაზე დაფუძნებით, რომ ...ოში არ არსებობდა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მისი ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა სამსახურში აღდგენის ნაწილში, რასაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლი აღგენს და განსაზღვრავს უკანონოდ გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის აღდგენას. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ

გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მართებულად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლზე, თუმცა აღნიშნულ ნაწილში დავა არასწორად გადაწყვიტა. ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის დროს ...ოში არ არსებობდა მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მისი ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა, არ გამორიცხავდა თ. გ-ის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით დადგენილი პროცედურის განხორციელებას. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის აღდგენას და არა 118-ე მუხლით დადგენილი პროცედურის განხორციელების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც, თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. ამასთან, სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის ამგვარად გადაწყვეტით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის ...ოში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაშიც, თ. გ-ის წაერთვა შესაძლებლობა საჯარო დაწესებულებას მიემართა ბიუროსთვის საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით, ხოლო სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მიეღო განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია 6 თვის განმავლობაში.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითება მასზედ, რომ – „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონმა საჯარო სამსახურის სტაბილურობა განამტკიცა არა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებრივი მდგომარეობის აღ-

დგენის კუთხით, არამედ კანონით დადგენილი წესით დანიშნული მოხელის მიერ თანამდებობის შენარჩუნების კუთხითაც – მოხმობილია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის №ბს-139(4კ-19) გადაწყვეტილება), სადაც საკასაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონზე დაყრდნობით დაუშვებლად მიიჩნია არაეკანტურ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენა, კონკურსის წესით დანიშნული საჯარო მოხელის გათავისუფლება, თუმცა არ გამორიცხულა ასეთ შემთხვევაში 118-ე მუხლით დადგენილი პროცედურის განხორციელება. საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენის პროცედურა სისტემურად აგებულია იმგვარად, რომ კანონით დადგენილი წესით დანიშნულ მოხელეს არ შეეხოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგები.

ყოველივე აღნიშნულისა და საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, თ. გ-ი ექვემდებარება სამსახურში აღდგენას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, თ. გ-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით დადგენილი წესით აღდგენილ უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე, რამეთუ რეორგანიზაციამდე იგი სწორედ აღნიშნულ პოზიციას იკავებდა.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მიხედვით, თ. გ-ის უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდურის მისი გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე.

საკასაციო სასამართლო იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ დამატებით განმარტავს, რომ პირის სამსახურში აღდგენის შეუძლებლობისა და მისი მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის პირობებშიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-5 პუნქტი დამსაქმებელ ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს იძულებითი განაცდურისა და კომპენსაციის ანაზღაურებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებზე, რომლის თანახმად, სამართლებრივი სახელმწი-

ფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების არცერთი უკანონო ქმედება. აუცილებელია, არსებობდეს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში პირი შეძლებს უფლებებში აღდგენას და მიყენებული მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს მიიღებს და მოწყვლადი გახდება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენის მიმართ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში (საქართველოს კონსტიტუციის ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი) ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, გათავისუფლებისას დაირღვა თუ არა მატერიალური თუ საპროცესო ნორმების მოთხოვნები, უკანონობა უკავშირდება გათავისუფლების საფუძვლის უკანონობას თუ გათავისუფლების პროცედურის მარეგულირებელი ნორმების უხეშ დარღვევას. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს, გარდა მისი მართლზომიერად, კანონიერ საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევისა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). შესაბამისად, ის ანაზღაურება, რომელსაც მოხელე ვერ იღებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, წარმოადგენს ზარალს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს

მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებიდან სასამართლოს დავალების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი აღდგენის საკითხის განხილვის მომენტამდე, როგორც წესი, დროის გარკვეული პერიოდი გადის. შესაძლებელია, ამ დროში ფაქტობრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალოს და უსაფუძვლოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელი გახადოს. სამსახურში აღდგენის ფაქტი შესაძლოა, უსაფუძვლოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში არ დადგეს და არსებობდეს შემთხვევები, როდესაც დადგინდება, რომ პირი უსაფუძვლოდ განთავისუფლდა, თუმცა რიგი ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია მისი სამსახურში აღდგენა. განსახილველ შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სამსახურში აღდგენის შეუძლებლობისა და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის პირობებშიც, მოსარჩელე უზრუნველყოფილია იძულებითი განაცდურისა და კომპენსაციის მიღების უფლებით.

რაც შეეხება მოცემულ შემთხვევაში თ. გ-ისთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თ. გ-ი აღდგენილ იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე, თ. გ-ის უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური მისი გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. თ. გ-ი აღდგენილ იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე;
6. თ. გ-ის აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური მისი გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
7. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის
გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება**

**გადანყვებითება
საქართველოს სახელით**

№ბს-691(კ-21)

24 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ი-მა 2020 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართა ...ის რაი-
ონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ...ის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა ...ის მუნიციპალი-
ტეტის მერის ... წლის ...ს №... ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუ-
ხისათვის თ. ი-ის სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი აქტის გა-
მოცემისა და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური
თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების დავალება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი ... წლის ...ს დაინიშნა ...ის მუ-
ნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობაზე და მას შემდეგ, მისი მუ-
შაობის განმავლობაში, ადგილი არ ჰქონია მის მიმართ რაიმე სახის
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას, ხოლო მი-
სი თანამდებობიდან გათავისუფლების დროისათვის მისთვის „...ის
მუნიციპალიტეტის მერის ...ისა და მერის მოადგილისთვის ფუნ-
ქციათა განაწილების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ... წლის
15 აპრილის №331/ს ბრძანებით განსაზღვრული საკურატორო
სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობის შედეგად
2020 წლის ბიუჯეტით რეგიონში განსახორციელებელი პროექტე-
ბის ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტე-
ბის საკასო შესრულების მიხედვით, ...ის მუნიციპალიტეტი საქარ-
თველოს 57 მუნიციპალიტეტს შორის ლიდერთა ათეულში რეიტინ-
გით მეოთხე ადგილს, ხოლო ...ა-მ...ის რეგიონში პირველ ადგილს
იკავებდა. თ. ი-ი სარჩელში აღნიშნავდა, რომ 2020 წლის 21 აგვის-
ტოს თავის სამუშაო ოთახში, ...ის მუნიციპალიტეტის მერმა – თ. მ-

მა თ. ი-ს გააცნო მის მიერ შემუშავებული სქემა და შესთავაზა მას დაეტოვებინა თანამდებობა, გადასულიყო სხვა თანამდებობაზე, ხოლო მერის მოვალეობას შეასრულებდა თ. მ-ის მიერ მოყვანილი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისის წაგების შემთხვევაში დანიშნავდა მერის მოადგილის პოზიციაზე. ამავდროულად, ნდობით აღჭურვილი პირი მალევე გადადგებოდა თანამდებობიდან და ისევ თ. მ-ი განახორციელებდა მერის უფლებამოსილებას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ თ. მ-ი აპირებდა კენჭისყრას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში. მოსარჩელის განმარტებით, ზემოხსენებულ საუბარს თათბირზე მოწვეული მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. თ. ი-ის მხრიდან შეთავაზებაზე უარის მიღების შემდეგ, თ. მ-ი აღნიშნული პირებისა და ასევე სხვა პირების მეშვეობით კვლავ სთავაზობდა მის წინადადებაზე თანხმობას და მოსაფიქრებლად აძლევდა გონივრულ ვადას. მოსარჩელის განმარტებით, თ. მ-ი თავის გადაწყვეტილებას თ. ი-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით ამართლებდა იმით, რომ თუკი თ. ი-ი მერის ...ის პოზიციიდან შეასრულებდა მერის მოვალეობას, მასზე ზეწოლას განახორციელებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და არ მისცემდნენ შემდგომში თანამდებობის დატოვების გზით თ. მ-ის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მისთვის ადგილის დათმობის შესაძლებლობას. 2020 წლის ...ს თ. მ-მა, მას შემდეგ, რაც მოსარჩელისგან საბოლოოდ მიიღო უარი მისი სხვა თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შესაბამის სამსახურს დაავალა მოემზადებინა ბრძანება თ. ი-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ბრძანება მიღებული იყო დასაბუთების გარეშე, პოლიტიკური თანამდებობის პირის – მერის პირადი კეთილდღეობის მიზნით.

2020 წლის 16 ნოემბერს თ. ი-მა განცხადებით მიმართა ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლსა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხისათვის ...ის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნის აკრძალვა.

...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, თ. ი-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვე-

ტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოპასუხე ...ის მუნიციპალიტეტის მერიას აეკრძალა ...ის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნა. აღნიშნული განჩინება საჩივრით გასაჩივრდა ...ის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 იანვრის განჩინებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინება. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია საჩივრის ავტორის აპელირება იმ გარემოებასთან მიმართებით, რომ სასარჩელო მოთხოვნასა და უზრუნველყოფის ღონისძიებას შორის არ არსებობდა კავშირი, რადგან თ. ი-ის მოთხოვნას წარმოადგენდა ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობაზე აღდგენა, რაც არ გამორიცხავდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ...ის მუნიციპალიტეტის მოადგილის თანამდებობაზე, რამდენადაც მოადგილის თანამდებობა მათ შორის მოიცავდა ...ის თანამდებობას, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარში წარმოდგენილი არ იყო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლები, რაც განაპირობებდა საჩივრის უარყოფასა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვებას.

...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ...ის მუნიციპალიტეტის მერის ... წლის ... №... ბრძანება, თ. ი-ი აღდგენილ იქნა ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობაზე და ...ის მუნიციპალიტეტის მერიას თ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება, თვეში 1500 ლარის ოდენობით, ... წლის ...დან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე.

სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეული და სათანადოდ შეფასებული არ ყოფილა ის ძირითადი ფაქტობრივი გარემოება, რაც გახდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. ამასთან სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იგ-

ნორირებული იყო საქმიანობის მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით წარმართვის აუცილებლობა, რაც ითვალისწინებდა უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილ ფარგლებში, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა უფლებას კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელებინა რაიმე მოქმედება. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტით დაირღვა მოსარჩელის კანონიერი უფლებები და შეიზღუდა მისი ინტერესები. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება, ე.ი. სათანადო წესების დაცვით გადაწყვეტილების მიღება, დიდწილად განაპირობებდა აქტის კანონიერებას და დასაბუთებულობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტი არ შეიცავდა რაიმე მითითებას ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ...ის რაიონული სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი კუთხით დასაბუთების ვალდებულების თაობაზე გამორიცხავდა აქტის გასაჩივრებისას შემდეგ სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, ვინაიდან სწორედ საკითხის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, დადგენილი გარემოებებისათვის სამართლის ნორმის შეფარდება უნდა განაპირობებდეს აქტის სამართლებრივ შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტის კანონიერების შემოწმებისას ადმინისტრაციული ორგანოს ასეთივე წარმატებით შეძლო მიეთითებინა ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება გაემართლებინა მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ამგვარი სამომავლო ინტერპრეტაციების თავიდან არიდებას ემსახურებოდა მიღებული გადაწყვეტილების არა მომავალ დროში, არამედ, მიღებისას საკითხის გადაწყვეტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება.

...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე ისე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, რომ მას არ მისცა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი მოსაზრება მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოებისას მიეცემოდა შესაძლებლობა გაექარწყლებინა ...ის მუნიციპალიტეტის მერის არგუმენტები, წარედგინა მათთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო მხოლოდ

ამ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოეცა შესაბამისი დასაბუთებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ...ის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით ყურადღება გაამახვილა აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გათავისუფლების მთავარ საფუძვლად მითითებულ არგუმენტზე, რომლის თანახმად, მერის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება მერის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე, 58-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე და რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება მერის უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებში უპირობოდ უნდა მომხდარიყო და რომ ზემოხსენებული კანონის 59-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებდა დასაბუთებას, რაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა იმ საფუძველით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი მერის არჩევამდე ასრულებდა მერის პირველი მოადგილე, თუ მერის პირველი მოადგილე თანამდებობაზე დანიშნული არ არის – მერის მოადგილე, ხოლო თუ მერს ორი ან ორზე მეტი მოადგილე ჰყავს – მერის უზუცესი მოადგილე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის არგუმენტები ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებული მუხლით დადგენილ რეგულაციას, იმდენად, რამდენადაც იგი პირდაპირ უთითებდა მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში პირველი მოადგილით ან მოადგილით მერის დროებით ჩანაცვლების თაობაზე. მითითებული ნორმის საპირისპირო განმარტების შემთხვევაში, იქმნებოდა ისეთი ვითარება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო რჩებოდა მაღალი რანგის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების გარეშე, რაც მეტი ალბა-

თობით შეაფერხებდა ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებას, რაც თავისთავად საფრთხეს შეუქმნიდა მის სტაბილურობასა და გადაწყვეტილებაუნარიანობას. სააპელაციო პალატამ ამ მხრივ ყურადსაღებად მიიჩნია თავად აპელანტის კრიტიკული მიდგომა მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სასამართლოს მიერ ...ის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ...ის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნის აკრძალვასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ...ის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კასატორის წარმომადგენელი არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მერს უფლებამოსილება აქვს, თავისი შეხედულებით, ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეარჩიოს პირი და დანიშნოს მოადგილე. ასევე მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს მერი. მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილზე და მიიჩნევს, რომ სადავო აქტი არ საჭიროებდა დასაბუთებას, ვინაიდან დაინტერესებული მხარისთვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც იყო გამოცემული სადავო აქტი.

კასატორი აღნიშნავს, რომ მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით და აღნიშნული კანონის შესაბამისად მიღებული საკრებულოს დადგენილებით. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება კი არ არეგულირებს განსხვავებულად აღნიშნულ საკითხს. მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილებები არ არის ერთი და იგივე. აღნიშნულ უფლებამოსილებებს ანაწილებს მერი თავისი ბრძანებით, რომელიც რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 57-ე მუხლის მესამე პუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ასევე უფლებამოსილებების ცვლილებასთან დაკავშირებითაც გამოსცემს ბრძანებას, რომელიც რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მუხლი კი ითვალისწინებს იმას, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილე-

ბის ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სააპელაციო სასამართლოს უნდა განესხვავებინა პოლიტიკური თანამდებობა ბიუროკრატიული ადმინისტრაციისაგან. ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა საჯარო მმართველობის განმახორციელებელი და პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი პირების გამიჯვნა, ერთი მხრივ თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს და მეორე მხრივ, თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება და მათი არჩევისას ადმინისტრაციული ორგანო არ ხელმძღვანელობს კონკრეტული პირის შერჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ მერი წარმოადგენს გადანაცვეტილების მიმღებ სუბიექტს. სწორედ ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი საკუთარი ამომრჩევლის მიერ მიწოდებული მანდატის შესრულებაზე, ხოლო მისი ...ე წარმოადგენს იმ პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი, კანონით ვიწროდ განერილი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში ეხმარება და შესაძლებელს ხდის მერის ამოცანათა პრაქტიკულ რეალიზაციას. მერს დანიშვნა-განთავისუფლებაზე მინიჭებული აქვს ფართო დისკრეტია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად (რომლებიც არ ვრცელდებოდა მერიის თანამდებობის პირებზე), მხოლოდ მის უშუალო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა განსხვავებით სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად ...ის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოწინააღმდეგის თ. ი-ის დანიშვნა მოხდა მერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, რაზეც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის გათვალისწინებით მოცემულ თანამდებობაზე არ ვრცელდება ამ კანონის სხვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რომელიც თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებას და სხვა სამართლებრივი პროცედურების განხორციელებას არეგულირებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს შრომის კოდექსის დავალებით. შესაბამისად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) გამოცემის ნე-

ბა, მუნიციპალიტეტის მერის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. აგრეთვე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოწინააღმდეგე მხარე თ. ი-ი ...ის მუნიციპალიტეტის მერის მიერ არის დანიშნული და იმავე მერის ბრძანებით განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. მერის ...ე წარმოადგენდა მერიის თანამდებობის პირს, რომელსაც მერი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით, სწორედ ექსკლუზიური უფლებამოსილება წარმოადგენს სამართლებრივ დასაბუთებას ...ის მერის ...ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც არ შეიცავს დასაბუთებას გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძველთან დაკავშირებით, თუმცა სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი ნორმების გათვალისწინებით არ წარმოადგენს ბრძანების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველს. კასატორის მოსაზრებით, როდესაც სამართლის ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შედარებით განსხვავებულად განიხილება, მონესრიგების ლოგიკიდან გამომდინარე, ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება უნდა ამართლებდეს დადგენილ უთანასწორობას, კავშირი დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განიხილვას შორის უნდა იძლეოდეს რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციული უნდა იყოს. სადავო ბრძანების გამოცემისას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მერს თავისუფლებას ანიჭებს საკუთარი შეხედულებითა და პასუხისმგებლობით შეერჩია მერის ...ე/მოადგილეები, განესაზღვრა მისი კვალიფიციურობა, ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, უნარ-ჩვევები და ისე მიეღო გადაწყვეტილება მის შერჩევაში. მუნიციპალიტეტის მერის ...ის/მოადგილეების დანიშნულებიდან და არსიდან გამომდინარე მათი თანამდებობაზე დანიშნა და გათავისუფლება განსხვავებული რეგულაციაა. ასეთი მსჯელობა კი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით (59-ე მუხლი), მერის პირველ მოადგილეს უფლებამოსილება განესაზღვრა მერის უფლებამოსილების ვადით და ეს უფლებამოსილება, სხვა საფუძველთან ერთად, უწყდება მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესი მერს თავისუფლებას ანიჭებს საკუთარი პასუხისმგებლობით შეარჩიოს მერის ...ე/მოადგილეები და ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება მისი თანამდებობაზე დანიშნისა თუ გათავისუფლებაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით

დადგენილი წესისაგან დამოუკიდებლად. აღნიშნული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერ ვალდებულებას, ვინაიდან სახეზე გვაქვს მერისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება, რაც შეესაბამება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ობიექტურ მიზნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ...ის მუნიციპალიტეტის მერი გადანაცვლების მიღებისას მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მოწინააღმდეგე მხარის თ. ი-ის გათავისუფლებით არ დარღვეულა სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც მერის უფლებამოსილებას წარმოადგენდა თავისი შეხედულებით დაენიშნა და გაეთავისუფლებინა მერის ...ე/მოადგილეები, ამდენად ...ის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ...ს №... ბრძანება თ. ი-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, რის გამოც სახეზე არ გვაქვს აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის და თ. ი-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 სექტემბრის განჩინებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად. ამავე განჩინებით გადაწყდა საკასაციო საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება თ. ი-ის სარჩელის უარყოფის

შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ამავდროულად კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით (საქართველოს კონსტიტუციის 25.1 მუხ.). საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ნორმით გარანტირებული შრომის უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას, გააჩნდეს წვდომა საჯარო სამსახურზე და სახელმწიფოს ვალდებულებას არ დაუშვას პირის საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარება შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მნიშვნელოვანია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი უნდა იყოს დამაჯერებლად დასაბუთებული.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ...ის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 ნოემბრის №... ბრძანების შესაბამისად, თ. ი-ი დაინიშნა ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობაზე, ხოლო ამავდროულად მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ...ის №... სადავო ბრძანების საფუძველზე იგი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ...ის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ...ის №... ბრძანების კანონიერება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ თ. ი-ი სადავო ბრძანების უკანონობის საფუძველად მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს, ხოლო მოპასუხის – ...ის მუნიციპალიტეტის მერიის მტკიცებით, ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება მერის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას დასაბუთების ვალდებულება არ ეკისრებოდა.

ამდენად, სადავო საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობაზე დანიშვნასა და განთავისუფლებასთან მიმართებაში ...ის მუნიციპალიტეტის მერის დისკრეციული უფლებამოსილების

ფარგლები წარმოადგენს, რა დროსაც გადამწყვეტია დადგინდეს ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის სამსახურიდან გათავისუფლება აკისრებდა თუ არა მერს აქტის დასაბუთების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს იმგვარ უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს ალჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონის მიზნების შესაბამისად და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონზე, რომელსაც წარმოადგენს სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. იგი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა

და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლი განსაზღვრავს მერიის თანამდებობის პირებს, რომლის მიხედვით, მერიის თანამდებობის პირები არიან: ა) მერი; ბ) მერის ...; გ) მერის მოადგილე; დ) მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერიის მოსამსახურეებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გამოიწვეულია მერიის მიერ თანამდებობის პირთა და მერიის სხვა მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება; კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი ეხება მერის მიერ მერიის თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას, ხოლო „ა.დ“ ქვეპუნქტი – მერიის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში, ...ის მუნიციპალიტეტის მერის ... – თ. ი-ი თანამდებობაზე დაინიშნა ზემოაღნიშნული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც თანამდებობის პირი, ხოლო ამავე მუნიციპალიტეტის მერის ... ნლის ... №... ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკური თანამდებობის პირებს წარმოადგენენ სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერიის თანამდებობის პირს წარმოადგენს მერის ...ე. ამდენად, ვინაიდან თ. ი-ი იკავებდა ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის თანამდებობას, იგი წარმოადგენდა პოლიტიკური თანამდებობის პირს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირსა და პოლიტიკური თანამდებობის პირზე, შესაბამისად, აღნიშნული კანონით ვერ მოწესრიგდება სადავო ურთიერთობა.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მერს მისი ...ის დანიშვნა-გათავისუფ-

ლებაზე მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად (რომელიც არ ვრცელდებოდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობისა და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე), მხოლოდ მის უშუალო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, განსხვავებით სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა შრომითსამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი.

საკაცაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დანაწესი. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დამოკიდებულება, რომელიც უშუალოდ ადგენდა საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს და მიუთითებდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს, მერის პირველ მოადგილეზე არ ვრცელდებოდა. აღნიშნული ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი მმართველობის განხორციელება, რაც გულისხმობს რესურსების გონივრული გამოყენების გზით იმ შედეგის მიღებას, რომელიც პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, ...ის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ... წლის 27 ნოემბრიდან თ. ი. ი დაინიშნა ...ის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ. მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა სწორედ მერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ხოლო ...ის მუნიციპალიტეტის მერის ... წლის ... ბრძანებით თ. ი-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. როგორც უკვე აღინიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მოცემულ თანამდებობაზე არ ვრცელდება ამ კანონის სხვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რომელიც თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებასა და სხვა სამართლებრივი პროცედურების განხორციელებას არეგულირებდეს საქართველოს ზოგადი ადმი-

ნისტრაციული კოდექსის და საქართველოს შრომის კოდექსის დავალებით. შესაბამისად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) გამოცემის ნება, მუნიციპალიტეტის გამგებლის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი და 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ზაზგასამელია ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტის მერის ...ე წარმოადგენდა მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელსაც მერი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით. გასაჩივრებული ბრძანება მოტივირებულია სწორედ მერის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაზე მითითებით, რომელიც შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას ...ის მუნიციპალიტეტის მერის ...ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა არ შეიცავს დასაბუთებას გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, რაც განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი ნორმების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ბრძანების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მერს თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი შეხედულებითა და პასუხისმგებლობით შეერჩია მერის ...ე/მოადგილეები, განესაზღვრა მისი კვალიფიციურობა, ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, უნარ-ჩვევები და ისე მიეღო გადაწყვეტილება მის შერჩევაში. მუნიციპალიტეტის მერის ...ის/მოადგილეების დანიშნულებიდან და არსიდან გამომდინარეობდა მათი თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების განსხვავებული რეგულაცია. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით (59-ე მუხლი), მერის პირველ მოადგილეს უფლებამოსილება უწყდება ახალი მერის არჩევისას (უფლებამოსილების დაწყებისას).

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესი, მერს, სადავო ბრძანების გამოცემისას, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი პასუხისმგებლობით შეერჩია მერის ...ე და ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება მის თანამდებობაზე დანიშვნასა თუ გათავისუფლებაზე – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისგან დამოუკიდებლად. ამასთან, აღნიშნული მსჯელობა

არ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერ ვალდებულებას, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მერისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ობიექტურ მიზნებს (მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2017წ. №ბს-894-886(კ-16) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.09.2018წ. №ბს-237-237(კ-18) გადაწყვეტილება).

განსახილველ შემთხვევაში ...ის მუნიციპალიტეტის მერი გადანყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თ. ი-ის გათავისუფლებით არ დარღვეულა სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც მერის უფლებამოსილებას წარმოადგენდა თავისი შეხედულებით დაენიშნა და გაეთავისუფლებინა მერის ...ე. ამდენად, მერმა გადაწყვეტილება თ. ი-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიიღო მისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, რის გამოც სახეზე არ გვაქვს გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, სადავო აქტის კანონიერების პირობებში, არ არსებობს თ. ი-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ი-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ... წლის 17 ნოემბრის განჩინებით, საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოპასუხე ...ის მუნიციპალიტეტის მერიას აეკრძალა ...ის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნა, მოცემულ საქმეზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ...ის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს ...ის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოპასუხე ...ის მუნიციპალიტეტის მერიას აეკრძალა ...ის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნა;

5. ...ის მუნიციპალიტეტის მერიას დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე 07.07.2021წ. №02388 საგადახდო მოთხოვნით შეცდომით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იკულებითი განაცდური ხელშასის ანაზლაურების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ბს-106(2კ-22)

26 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუ-
ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის და-
ვალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 3 აგვისტოს თ.გ-მა სარჩელით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას,
მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინის-
ტროს მიმართ. სარჩელის დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელემ მო-
ითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების ბათილად ცნობა, საქარ-
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეცია-
ლისტთან – თ.გ-თან ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების
ნაწილში; მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, საქართველოს განათ-
ლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592
ბრძანების №1 დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2017
წლის პირველი ივლისიდან თ. გ-ის პროფესიულ საჯარო მოხელედ,
...ად მიჩნევის შესახებ; მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, 2017
წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნი-
ერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე თ. გ-ის და-
ნიშვნის შესახებ; მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გა-
ნაცდური ხელშასის ანაზლაურების დავალება, მისი თანამდებო-
ბაზე არყოფნის მთელი პერიოდისათვის, 2017 წლის პირველი ივ-
ლისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის – თ. გ-ის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების ნაწილში; მოპასუხეს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების №1 დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2017 წლის პირველი ივლისიდან თ. გ-ის პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად მიჩნევის შესახებ; მოპასუხეს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თ. გ-ის 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. გ-მა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინებით თ. გ-ისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 125-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებები და იერარქიულ რანგებში განაწილების წესი, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალი“.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციაში, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტსა და ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმებული პირები (თანაშემწეები) (ქ. ნ-ი, ნ. ქ-ა, ე. მ-ე, მ. მ-ე და მ. გ-ი) გარდაიქმნენ პროფესიულ საჯარო მოხელეებად, ხოლო ...ის სპეციალისტის თანამდებობაზე

დასაქმებულ პირთან (ასევე თანაშემწესთან – თ. გ-თან) გათვალისწინებულ იქნა შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამინისტროში ისე მოხდა დასაქმებული პირების გარდაქმნა პროფესიულ საჯარო მოხელეებად და იმ პირებად, რომლებთანაც უნდა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები, რომ არ განისაზღვრა შესაბამისი კრიტერიუმები და საფუძვლები, არ მიღებულა შესაბამისი დოკუმენტი რომელიც გასაგებს გახდიდა სამინისტროში დასაქმებული პირებისთვის, მათ მიერ დაკავებული თანამდებობის გარდაქმნის საფუძველს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის 30 ივნისის №1 ოქმით გაუგებარია, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისაგან მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები რა არგუმენტებზე და შეფასებებზე დაყრდნობით იქნა მიწოდებული. სამინისტროს მხრიდან შესაბამისი დასაბუთება წარმოდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის №548 ბრძანების №3 დანართით, სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტის, 2014 წლის 21 ივლისის №748 ბრძანების №3 დანართით, სამინისტროს ...ის სპეციალისტის, 2014 წლის 8 აპრილის №400 ბრძანების №2 დანართით, სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტის, 2014 წლის 18 ივნისის №571 ბრძანების №14 დანართით, სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტის, 2014 წლის 22 აპრილის №428 ბრძანების №3 დანართით, სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სპეციალისტის და №10 დანართით სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები მსგავსია. შესაბამისად, გაუგებარია, რა კრიტერიუმების საფუძველზე განახორციელა სამინისტრომ ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტის, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტის, ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტის, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სპეციალისტის და სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს სპეციალისტის პროფესიულ საჯარო მოხელედ გარდაქმნა, ხოლო ...ის სპეციალისტი მიიჩნია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მო-

საზრებით, უსაფუძვლოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი. საქალაქო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტთან – თ. გ-სთან ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების ნაწილში. ამასთანავე, მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების №1 დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2017 წლის პირველი ივლისიდან თ. გ-ის პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად მიჩნევის შესახებ, ასევე თ. გ-ის 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია თ. გ-ის სააპელაციო საჩივარი და მიუთითა, რომ 2017 წლის პირველი ივლისიდან მოსარჩელეზე ანაზღაურების გაუცემლობა განაპირობა მისივე ქმედებამ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანებით დადგინდა ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, ხოლო თ. გ-მა, შეთავაზების მიუხედავად, უარი განაცხადა ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობის გაგრძელებაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალი, რომ სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების თაობაზე, უსაფუძვლოა. მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გაეგრძელებინა მუშაობა და მიეღო შესაბამისი ანაზღაურება, რაც არ ართმევდა უფლებას, პარალელურად ედავა სასამართლოში, მისი დარღვეული უფლებების აღსადგენად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. გ-მა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. გ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

2022 წლის 13 ივლისს, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის სა-

კითხის განხილვის მიზნით, ჩატარდა სასამართლო სხდომა, კასატორთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ამავე თარიღის განჩინებით, ზეპირი მოსმენის გარეშე, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი. ამავე თარიღის განჩინებით თ. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

კასატორი – თ. გ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინების გაუქმებას, მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდება სარჩელი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული. სასამართლომ სრულყოფილად არ იმსჯელა იმ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას. სახეზეა კანონმდებლობით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლზე, რომლითაც აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. კასატორი ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილზე, 249-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება არასრულია და მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. მართალია, სასამართლომ სწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტი, თუმცა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიუთითა, რომ მოსარჩელის ქმედებით იყო გამოწვეული 2017 წლის პირველი ივლისიდან ანაზღაურების მიუღებლობა. თ. გ-ს გაეგზავნა, თუმცა არ ჩაბარებია წერილი, რომელიც შეიცავდა მითითებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანებისა და იმ გარემოების არსებობის თაობაზე, რომ სამინისტროს ...ის სპეციალისტის შტატის გარდაქმნის შემდეგ, იგი ჩაითვლებოდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ

პირად. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ 2017 წლის 4 ივლისიდან 2017 წლის 12 ივლისის ჩათვლით თ. გ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. 2017 წლის 13 ივლისს იგი გამოცხადდა სამსახურში და დადგენილი წესის შესაბამისად, წარადგინა საავადმყოფო ფურცელი, რა დროსაც, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამინისტროს მხრიდან თ. გ-სთან უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. თ. გ-ს აქვე სიტყვიერად განუცხადეს, რომ ხელშეკრულება იქნება გაფორმებული განსაზღვრული ვადით – 6 თვით. თ. გ-მა მოითხოვა ხელშეკრულების ნიმუში, ხელმოსაწერად, არ/ვერ გადასცეს, მისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო.

კასატორის განმარტებით, გარდა იმისა, რომ თ. გ-ს 2017 წლის არც 3 ივლისს და არც 4 ივლისს არ მიუღია არანაირი შეთავაზება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემდეგ, სამსახურში დაბრუნების შემდეგ, მას განუმარტეს, რომ ავტომატურად გათავისუფლებულია პირველი ივლისიდან. სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ თ. გ-ს 14 ივლისის განცხადებაზე (13 ივლისამდე იგი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე) სამინისტრომ პასუხი გასცა 2017 წლის 26 ივლისს, ანუ 2017 წლის 26 ივლისამდე, თ. გ-ი ითხოვდა იმ ხელშეკრულების წარდგენას, რაზეც ხელი უნდა მოეწერა, თუმცა ამაოდ. 2017 წლის 26 ივლისის წერილით კი, თ. გ-ს ეცნობა, რომ ავტომატურ რეჟიმში, პირველი ივლისიდან, გათავისუფლებულია სამსახურიდან. გაურკვეველია, თ. გ-ის რომელი და როდის განხორციელებული ქმედება გახდა იმის მიზეზი, რომ მოსარჩელე 2017 წლის პირველი ივლისიდან არ იღებდა ანაზღაურებას.

კასატორი მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, იმასთან დაკავშირებით, რომ თ. გ-ს საშუალება ჰქონდა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გაეგრძელებინა მუშაობა და მიეღო შესაბამისი ანაზღაურება, რაც არ ართმევდა მას უფლებას, პარალელურად ედავა სასამართლოში მისი დარღვეული უფლებების აღსადგენად, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. ასეც რომ იყოს, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულება იყო ვადიანი

– 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს უნდა ემსჯელა და მოთხოვნა უნდა დაექმაცოფილებინა მინიმუმ 2018 წლის პირველი იანვრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე პერიოდზე.

კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ 2017 წლის 14 ივლისს, ხოლო განმეორებით 20 ივლისს, თ. გ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მისთვის შრომითი ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი, როგორც სამინისტროში დასაქმებული პირი, ითხოვდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების გადაცემას, შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსის 2017 წლის 26 ივლისის MES 6 1700876756 წერილით თ. გ-ს ეცნობა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის თანახმად, 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი და მის საფუძველზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე აქტები. აღნიშნული კი, გულისხმობდა ...ის სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. რაც შეეხებოდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, 2017 წლის 4 ივლისს, MES 5 17 00783028 წერილით მას სთხოვეს პოზიციის დაფიქსირება შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, თუმცა თ. გ-მა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შესაბამისად, სამინისტროსთვის გაურკვეველია, მხარის მოთხოვნა. კასატორის განმარტებით, იგი 2017 წლის 26 ივლისამდე ითხოვდა ხელშეკრულების გადაცემას, ხელმოსაწერად, თუმცა ამაოდ. 2017 წლის 26 ივლისს კი, მას ეცნობა, რომ ავტომატურ რეჟიმში – პირველი ივლისიდან გათავისუფლებულია სამსახურიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ მისი საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, შესაბამისად, არსებობს საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს სააპელაციო პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება და ახალი გადანყვეტილებით სრულად დაქმაცოფილდეს სარჩელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო

პალატა თელის, რომ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს 2017 წლის 30 ივნისის №1 საოქმო გადაწყვეტილებით შეჯერდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისაგან და სამინისტროს ხელმძღვანელ პირთაგან მიღებული წინადადებები, რომლებიც ეფუძნებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტებს, 25-ე მუხლს, 125-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებას.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე, რეკომენდაციებსა და წინადადებებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად წარდგენოდა წინადადება იმ პირთა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად ჩათვლის თაობაზე, რომელთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების იდენტური არ იყო შინაარსობრივად (პირი საჯარო დაწესებულებაში ასრულებდა დამხმარე, ტექნიკურ ან დროებით ფუნქციებსა და მოვალეობებს).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივნისის №592 ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს 2017 წლის 30 ივნისის №1 ოქმის საფუძველზე, დადგინდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასაქმებულ პირებს უნდა მინიჭებოდათ პროფესიული საჯარო მოხელეების სტატუსი, ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად. ამასთანავე, ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებულ პირებთან უნდა დადებულიყო შრომითი ხელშეკრულებები. ბრძანების №1 დანართის მიხედვით, პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი მიენიჭათ ...ებს. ამავე ბრძანების №2 დანართში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად მითითებულ იქნა

...ის სპეციალისტი – თ. გ-ი (აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 ივლისის №602 ბრძანებით).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 4 ივლისის №598 ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე 2017 წლის პირველ ივლისამდე მიღებული, ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული პირები (რომელთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები შინაარსობრივად პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების იდენტურია), 2017 წლის პირველი ივლისიდან ჩაითვალინენ პროფესიულ საჯარო მოხელეებად, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად (აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 ივლისის №601 ბრძანებით).

2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა თ. გ-ის ...ის სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტთან – თ. გ-თან ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების ნაწილში; მოპასუხეს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების №1 დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2017 წლის პირველი ივლისიდან თ. გ-ის პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად მიჩნევის შესახებ; მოპასუხეს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თ. გ-ის 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ; სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომლითაც თ. გ-ი ითხოვდა მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალებას, მისი თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდისათვის, 2017 წლის პირველი ივლისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 20

მარტის განჩინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 20 მარტის განჩინება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ ნაწილში.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თ. გ-ის საკასაციო საჩივრის ფარგლები მოიცავს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 20 მარტის განჩინების იმ ნაწილში შეფასებას, რომლითაც უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების გამოცემა და ამ ბრძანების შესაბამისი დანართების დამტკიცება ემსახურებოდა ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობებთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასაქმებული პირების შესაბამისობაში მოყვანას. შედეგად, ბრძანების №1 დანართში მითითებულ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ... სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმებულ პირებს მიენიჭათ პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი. ამავდროულად თ. გ-ი არ ჩაითვალა პროფესიულ საჯარო მოხელედ და ... სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმებულ პირად, შესაბამისად, იგი მითითებულ იქნა ბრძანების №2 დანართში, როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ...ის სპეციალისტი.

ასევე უდავოა, რომ მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი წინადადება, თ. გ-ის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად ჩათვლის თაობაზე. დადგინდა, რომ რეალურად, თ. გ-ის ფუნქციები, უფლება-მოვალეობები, პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების იდენტურია. შესაბამისად, მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, თ. გ-ი უნდა ჩათვლილიყო პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად. სამინისტროს არ გააჩნდა საფუძველი, გადაეწყვიტა მასთან ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

ამდენად, საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით,

მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, მისი თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდისათვის (2017 წლის პირველი ივლისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე) განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების თაობაზე, წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ორგანოს მიერ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნას. მოსარჩელის ინტერესში შედის იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა 2017 წლის ივლისიდან, პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, შესაბამის პოზიციაზე დანიშნვით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს კონსტიტუციური რანგის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, კონსტიტუციის მითითებული მუხლის დანაწესის დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში. „...საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების ლეგიტიმაციის ხარისხიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების მექანიზმის არსებობა..“ (სუს 2021 წლის 27 მაისის №ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილება). სწორედ ამ სამართლებრივი ინტერესის დაცვას ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის დანაწესი, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სავალდებულობის თაობაზე, რომლის დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

ამასთან, 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი („ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული..“ (სუს 2014 წლის 10 აპრილის №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. „...ქონებრივ ზიანად მიიჩნევა ნეგატიური სხვაობა პირის არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა ზიანის გამომწვევი ქმედების გარეშე..“ (სუს 2021 წლის 21 ივნისის №ბს-1031(კ-20) განჩინება). ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. „...იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით ეჭვის საფუძველს..“.

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალ-

დებულია ანაზღაურის მიყენებული ზიანი. მნიშვნელოვანია, რომ „...ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახუროდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში..“ (სუს 2022 წლის 4 ივლისის №ბს-51(კ-22) განჩინება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დადასტურებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონსაწინააღმდეგო, ზიანის გამომწვევი ქმედების არსებობა მოსარჩელესთან მიმართებაში – ქვედა ინსტანციის სასამართლობმა დადასტურებულად მიიჩნია, რომ საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებული პროცედურის შესრულების პირობებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თ. გ-ი უნდა მიეჩნია არა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად, არამედ შესაბამისი რანგის მქონე პროფესიულ საჯარო მოხელედ. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსარჩელე უდავოდ იქნებოდა იმ ფაქტობრივ მდგომარეობაში, რომელიც მისთვის, როგორც პროფესიული საჯარო მოხელისათვის, შესაბამისი რანგისათვის განსაზღვრული სარგოს გაცემის წინაპირობა გახდებოდა. კანონიერ ძალაში არსებული და მოპასუხისათვის აღსასრულებლად სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებით, თ. გ-ი, 2017 წლის პირველი ივლისიდან მიჩნეულია პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად. მოპასუხეს დაევალებული აქვს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თ. გ-ის 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ. ამდენად, ეჭვქვეშ არ დგას 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სპეციალისტის პოზიციაზე თ. გ-ის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი და შესაბამისად, არ არსებობს 2017 წლის პირველი ივლისიდან მიუღებელი თანხის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, იმასთან დაკავშირებით, რომ 2017 წლის პირველი ივლისიდან მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების შესახებ მოთხოვნის უსაფუძვლობას ადასტურებს თ. გ-ის ქმედება – შეთავაზების მიუხედავად, თ. გ-მა უარი განაცხადა ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობის გაგრძელებაზე, თუმცა მას ჰქონდა შესაძლებლობა, შრომითი ხელშეკრულების საფუძ-

ველზე, გაეგრძელებინა მუშაობა და მიეღო შესაბამისი ანაზღაურება. აღნიშნული მას არ ართმევდა უფლებას, პარალელურად ედავა სასამართლოში, დარღვეული უფლებების აღსადგენად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით განმტკიცებული შრომის თავისუფლება მოიცავს ინდივიდის არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ამ სამუშაოს განხორციელების, შენარჩუნებისა და დათმობის უფლებასაც. შრომის თავისუფლების აღიარებას შეეხებოდა ასევე 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებამდე მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 28 თებერვლის №2/4-24 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „...საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, შრომა თავისუფალია. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო..“.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომის თავისუფლება შრომითი უფლებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მოიაზრებს იძულებითი შრომის განხორციელების აკრძალვას. პირს გააჩნია შრომითი საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომითი საქმიანობის არჩეულ სფეროში იძულების გარეშე ჩაბმის უფლება. „...კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, რა თქმა უნდა, იცავს ნებისმიერ ადამიანს იძულებითი შრომისაგან, რაც ადამიანის ღირსების ხელყოფას წარმოადგენს. კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება).

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს სრული უფლება გააჩნდა, უარი განეცხადებინა შრომითი ხელშეკრულებით სამინისტროში დასაქმებაზე, იმ პირობებში, როდესაც არ დაეთანხმა შეთავაზებული ფორმით დასაქმებას და ისარგებლა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით. თ. გ-თან ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადების ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №592 ბრძანების სასამართლოში გასაჩივრებამ დაადასტურა მოსარჩელის სურვილი – დადგენილიყო სამინისტროში მისი დასაქმების რეალური სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და შრომითი ხელშეკრულების ფორმით დასაქ-

მეზის შეთავაზების ნაცვლად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილება, მისი პროფესიულ საჯარო მოხელედ მიჩნევის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მისთვის, როგორც შესაბამისი რანგის სპეციალისტად დანიშნული პირისათვის, ყოველთვიური სარგოს განსაზღვრა. უპირატესი ინტერესი, რაც მოცემულ დავასთან მიმართებაში მოსარჩელეს, როგორც შრომითი თავისუფლების მქონე პირს გააჩნია, მდგომარეობს არა ნებისმიერ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის სტატუსის შენარჩუნებაში, არამედ, სამინისტროში დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით, მისთვის პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭებაში. მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება წარმოადგენს ამ სტატუსის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტის აუცილებელ თანმდევ მოვლენას.

რაც შეეხება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელესთან მიმართებაში თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ აქტის არარსებობა გამოორციხავს მისთვის განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, თავისი არსით, გულისხმობს შრომის ანაზღაურებას, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, მოხელის სამსახურში აღდგენისა და მისთვის განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ორგანო ან სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტები).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე შეფასდა არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერების საკითხი, არამედ საკანონმდებლო სიახლეებიდან გამომდინარე, საჯარო სამსახურში მისი დასაქმების ფორმის შერჩევის სისწორე (მოსარჩელესთან მიმართებაში არ გამოცემულა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად გამოაცხადა თ. გ-ის ...ის სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნის შესახებ ბრძანება და ამავდროულად, მიიღო გადაწყვეტილება, მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თ. გ-თან მიმართებაში სამსახურიდან დათხოვნის შესახებ აქტის არარსებობა და მისი უკანონოდ ცნობის შეუძლებლობა, არსებული ფაქტობრივი გარემოე-

ბებიდან გამომდინარე, არ გამოირიცხავს მოსარჩელის უფლებას – მოითხოვოს შემოსავალი, რომელსაც შესაბამის თანამდებობაზე 2017 წლიდან დანიშვნის შემთხვევაში მიიღებდა. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებით სამინისტროს დაევალა არა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა, არამედ მისი შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, არ გამოირიცხება საჯარო მოხელის უფლება, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა კანონიერია, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საქმეზე შეფასდა არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერების საკითხი, არამედ საკანონმდებლო სიახლეებიდან გამომდინარე, საჯარო სამსახურში მისი დასაქმების ფორმის შერჩევის სისწორე. სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელესთან მიმართებაში, იგივე სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა, რაც მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის უკანონოდ ცნობისა და შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის შემთხვევაში წარმოიშობოდა. მოსარჩელეს გააჩნდა გონივრული მოლოდინი, რომ მისთვის პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭებისა და შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის პირობებში, უზრუნველყოფილი იქნებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. ამდენად, კანონიერ ძალაში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებით 2017 წლის პირველი ივლისიდან თ. გ-ის, პროფესიულ საჯარო მოხელედ, ...ად მიჩნევისა და მოპასუხისათვის მისი სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემის დავალების პირობებში, დაკმაყოფილებას ექვემდებარება სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების თაობაზე, თ. გ-ის თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდის გათვალისწინებით, 2017 წლის პირველი ივლისიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნამდე.

რაც შეეხება ასანაზღაურებელი თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრას: საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული დამოკიდებულია როგორც საჯარო დაწესებულების მიერ შესაბამისი თანამდებობისათვის განსაზღვრული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობაზე, ისე თანხის ანაზღაურების ვალდებულებისათვის განსაზღვრული დროის სრული მონაკვეთის დასრულებაზე. ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს ყოველთვიუ-

რი თანამდებობრივი სარგოს ოდენობების ჯამი, 2017 წლის პირველი ივლისიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე თ. გ-ის დანიშვნამდე პერიოდის გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები არ საჭიროებენ დამატებით გამოკვლევას. თ. გ-ის საკასაციო საჩივრის გადაწყვეტა დაკავშირებულია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამართალშეფასების გადასინჯვასთან. ამდენად, სრული საკასაციო კონტროლის ფარგლებში, შესაძლებელია თ. გ-ის საკასაციო საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; თ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება თ. გ-ის სარჩელი, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების ნაწილში, მისი თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდის გათვალისწინებით, 2017 წლის პირველი ივლისიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნამდე; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე, მხარეები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება, თ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დაკმაყოფილდეს სარჩელი, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების ნაწილში, თ. გ-ის თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდის გათვალისწინებით, 2017 წლის პირველი ივლისიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ...ის სპეციალისტის პოზიციაზე დანიშვნამდე;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-832(2კ-22)

27 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ღ-მა 2018 წლის 13 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ მოპასუხეთა წრისა და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შედეგად, მოპასუხეებად დაასახელა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობა. მოსარჩელემ აღნიშნული სარჩელით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის 2018 წლის 27 ივლისის №ბ... ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მ. ლ-ი მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლდება დისციპლინური პასუხისმგებლობისგან, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გამო დაკავებული თანხის – 6000 ლარის მოსარჩელისთვის ანაზღაურება მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, მ. ლ-ი 2016 წლის 10 ივნისიდან დაინიშნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...ის რაიონის გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგებელმა 2018 წლის 1 ივნისს მოხსენებითი ბარათით მიმართა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. მოსარჩელის მითითებით, სავარაუდო გადაცდომის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ შპს „ფ...ისთვის“, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრებისას მ. ლ-მა დაუშვა შეცდომა, რომელიც შემდეგ თავად გამოასწორა. ამასთან, გადაცდომა გამოიხატა დოკუმენტის შედგენისას ხელშეკრულების მუხლის არასწორად მითითებაში, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, მსუბუქ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის.

ამავე სარჩელით მოსარჩელემ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, იშუამდგომლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის 2018 წლის 27 ივლისის №ბ... ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ნოემბრის განჩინებით მ. ლ-ის შუამდგომლობა – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-

ნების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის 2018 წლის 27 ივლისის №... და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანებები; მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მ. ლ-ი მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლდება დისციპლინური პასუხისმგებლობისგან; მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობას ასევე დაევალა მ. ლ-ის სასარგებლოდ მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების ფართელებში დაკავებული თანხის – 6000 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...ის რაიონის გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – მ. ლ-ი ამავე გამგეობის 2016 წლის 10 ივნისის №103 ბრძანებით დაინიშნა გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სამი თვის გამოსაცდელი ვადით.

2. 2016 წლის 1 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობასა და შპს „ფ...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის 2.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში, ...ის რაიონში სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები; 2.4 პუნქტის მიხედვით კი, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 351 762.56 ლარს. ამავე ხელშეკრულების მე-9 პუნქტით რეგულირდებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული საკითხები (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები). კერძოდ, 9.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, მომსახურების განეცის საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაეხადა პირგასამტეხლო შემსყიდველისთვის ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.5%-ის ოდენობით; 9.3 პუნქტის მიხედვით, წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მომსახურების საბოლოო ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდებოდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ით; 9.4 პუნქტის შესაბამისად კი, საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადანაცვებების (წერილი დაჯარიმების დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. ამასთან, მითითებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტი ადგენდა, რომ ხელშეკრულების 9.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა ანგარიშსწორებაზე (თანხის ჩათვლაზე). ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება (თანხის ჩათვლა) განხორციელდებოდა მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ; 8.3 პუნქტის თანახმად კი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენებოდა ნებისმიერი ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგებოდა „შემსყიდველს“ ან მესამე პირს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო, ასევე 9.4 პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის სრული ოდენობით გადასახდელად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის...ის რაიონის გამგებელმა 2018 წლის 1 ივნისს მოხსენებითი ბარათით მიმართა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს და აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის...ის რაიონის 2016 წლის 16 დეკემბრის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს „ფ...ს“ ეცნობა პირგასამტეხლოს – 15 488.59 ლარის დაკისრების შესახებ. მითითებული სანქცია მის მიერ არ იქნა გადახდილი, რის გამოც გამგეობის მიერ მზადდებოდა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარსადგენად. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას, გამოვლინდა ფაქტი, რომ პირგასამტეხლოს თანხის გამოთვლა 2016 წლის 16 დეკემბერს მოხდა არასწორად. კერძოდ, ხელშეკრულების 9.2 პუნქტის ნაცვლად, პირგასამტეხლო უნდა გამოთვლილიყო 9.3 პუნქტის თანახმად, საერთო თანხიდან – 35 176.26 ლარიდან. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცნობილ იქნა ბათილად, პირგასამტეხლოს გაანგარიშებისათვის არასწორი სამართლებრივი საფუძვლების მითითების გამო. აღნიშნულის შე-

სახებ ეცნობა შპს „ფ...ს“ და ეთხოვა ეხელმძღვანელა №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოხსენებით ბარათში ასევე მიეთითა, რომ №... და №... წერილები მოამზადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის ...ი განყოფილების უფროსმა მ. ლ-მა. პირველი კორესპონდენციის შემთხვევაში, არასწორად იქნა გამოანგარიშებული პირგასამეტებლოს თანხის ოდენობა, ხოლო მეორე წერილი მომზადდა 17 თვის გასვლის შემდეგ. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული შეცდომა აღმოაჩინა თავად შემსრულებელმა და მანვე გამოასწორა №... ხელშეკრულების მოქმედების ვადებში, თუმცა დარღვევის სიმძიმიდან (თანხის ოდენობიდან) და დროის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია მ. ლ-ის მიმართ დისციპლინური გადაცდომის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №ბ... ბრძანებით დაიწყო დისციპლინური წარმოება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის – მ. ლ-ის მიმართ. ამავე ბრძანების თანახმად, დისციპლინური წარმოების განხორციელება დაევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს. აღნიშნული წარმოების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 29 ივნისს შედგა დასკვნა, რომლის თანახმად, ჩატარებული დისციპლინური წარმოების შედეგად, სამსახურმა დაადგინა მ. ლ-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა და დაუდევარი დამოკიდებულება, რაც გამოიხატა შემდეგში: ა) მ. ლ-ის მიერ შპს „ფ...ს“ მიმართ დაკისრებული საჯარიმო სანქცია მნიშვნელოვნად ნაკლებია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციაზე; ბ) მ. ლ-ის მიერ არ მოხდა სათანადო წესით (ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით) ინფორმაციის მიწოდება საფინანსო და საბიუჯეტო განყოფილებისათვის, რათა არ მომხდარიყო შპს „ფ...ს“ მხრიდან საჯარიმო სანქციის გადახდამდე მასთან ანგარიშსწორება, რამაც გამოიწვია ...ის რაიონის გამგეობისათვის ზიანის მიყენება; გ) მ. ლ-ის მიერ არ მოხდა კონტრაქტორი კომპანიის მხრიდან წარმოდგენილი სს „სადაზღვევო კომპანია ა...ის“ 2016 წლის 1 ნოემბრის №... საბანკო გარანტიის გამოყენება დარიცხული საჯარიმო სანქციის უზრუნველსაყოფად, რამაც გამოიწვია ...ის გამგეობისთვის ზიანის მიყენება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუ-

დიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობამ 2018 წლის 27 ივლისს მიიღო №ბ... ბრძანება, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (...ი განყოფილების უფროსს) – მ. ღ.-ს, დისციპლინური გადაცდომისთვის შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტის დაკავება 6 თვის ვადით. აღნიშნული ბრძანება ძალაში დარჩა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანებით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე, 88-ე, 94-ე მუხლებზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 63-ე, მე-80 მუხლებზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის აპარატისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების – ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ (ძალადაკარგულია 2018 წლის 22 თებერვლიდან „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებით) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 მაისის №12-47 დადგენილებაზე, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებაზე.

დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ შპს „ფ...მა“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 1 მარტის №... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, თუმცა არაჯეროვნად, ვადის გადაცილებით, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა დასახე-

ლებული ხელშეკრულების 8.3 პუნქტის შინაარსთან, კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი საბანკო გარანტია ნებისმიერი ზიანის ასანაზღაურებლად გამოიყენებოდა, რომელიც მიაღებოდა შემსყიდველს ან მესამე პირს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მ. ლ-მა ჩაიდინა მსუბუქი სახის დისციპლინური გადაცდომა და მისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი არ წარმოადგენდა ჩადენილი გადაცდომის პროპორციულ და თანაზომიერ სახდელს. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ მ. ლ-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით და დაუდევარი დამოკიდებულებით ...ის რაიონის გამგეობას მიაღდა მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატა შპს „ფ...ისთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლოს არასწორ გაანგარიშებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში დაცულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, სასამართლომ შეამცირა შპს „ფ...ისთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლო და მას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 2040 ლარის გადახდა. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმის მასალებში წარმოდგენილ მ. ლ-ის დახასიათებასა და მოხელის შეფასების ფორმას, რომელთა თანახმადაც, იგი ხასიათდებოდა დადებითად და „საუკეთესო“ შეფასებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლომ შეაფასა მ. ლ-ის მიერ განხორციელებული მოქმედებები, გაითვალისწინა დამდგარი ზიანი, რაც უშუალოდ მისი მოქმედებით მიაღდა ან, შესაძლოა, მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და მესამე პირს, მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომისადმი და ბრალეულობის ხარისხი, ასევე, მიზეზ-შედეგობრივ კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა დარღვევით და არსებობდა მათი ბათილად ცნობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, რომლითაც მ. ლ-

მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა მოპასუხისთვის ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე მათი თანმდევი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობამ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტებმა თავის სააპელაციო საჩივრებში ვერ გააქარწყლეს საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითეს და ვერ წარმოადგინეს ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

მ. ლ-მა 2022 წლის 20 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა. განმცხადებელმა მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობას მ. ლ-ის სასარგებლოდ დაევალა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების ფარგლებში დაკავებული თანხის – 6000 ლარის ანაზღაურება, რაც მ. ლ-ის მითითებით, წარმოადგენს მისივე თანამდებობრივი სარგოს სამი თვის ჯამს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინებით, მ. ლ-ის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობამ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები მიუთითებენ იმავე ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებებზე, რაზეც მიუთითებდნენ სააპელაციო სასამართლოში და დამატებით აღნიშნავენ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ საკითხს. სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ მ. ლ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არა უკიდურესი ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება, არამედ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – თანამდებობრივი სარგოს 50%-ის დაკავება 6 თვის ვადით.

კასატორების მითითებით, მართალია, დადგენილია, რომ შპს „ფ...ისთვის“ პირგასამტეხლოს დაკისრებისას, დოკუმენტის მომზადებაზე უფლებამოსილ პირს არ უნდა ეხელმძღვანელა ხელშეკრულების 9.2 პუნქტით, მაგრამ ვინაიდან ადგილი ჰქონდა ზემოხსენებული შეცდომის დაშვებას, გამგეობა მიიჩნევს, რომ ...ი განყოფილების უფროსი, რომელმაც შეადგინა შპს „ფ...ისთვის“ პირგასამტეხლოს დაკისრების წერილი, ვალდებული იყო მოეხდინა საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ინფორმირება ხელშეკრულების 7.3. პუნქტის გამოყენების შესაძლებლობაზე. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 16 დეკემბრის წერილი ბათილად იქნა ცნობილი მხოლოდ 2018 წლის 1 ივნისს, მანამდე კი ითვლებოდა ...ი ძალის მქონე დოკუმენტად. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, მითითებული წერილის ბათილად ცნობა, არა თუ ამსუბუქებს, არამედ ამძიმებს მ. ლ-ის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხზე, რომ შპს „ფ...მა“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 1 მარტის №... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შე-

ასრულა, თუმცა არაჯეროვნად, ვადის გადაცილებით, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო. კასატორების მოსაზრებით, შპს „ფ...ის“ მხრიდან ვალდებულების დარღვევის გამო უნდა მომხდარიყო მოთხოვნის გარანტიით დაკმაყოფილება, რადგან სწორედ ვადაში სამუშაოს შესრულება წარმოადგენს მხარის ძირითად ვალდებულებას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაა საბანკო გარანტია. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, გარანტია გამოიყენებოდა ნებისმიერი ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგებოდა შემსყიდველს ან მესამე პირს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

კასატორები ასევე ყურადღებას ამახვილებენ სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგად მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ფ...ისთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლო შემცირდა 2040 ლარამდე, წარმოადგენს მ.ღ-ის უპასუხისმგებლო ქმედების შედეგს, ვინაიდან მან ადმინისტრაციული წარმოების მასალები სასამართლოში არასრულად წარადგინა. სრულყოფილად არ იქნა წარდგენილი მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტები, რომლებიც ადასტურებდა შპს „ფ...ის“ მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების მნიშვნელოვნად დარღვევის ფაქტს. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალა სააპელაციო წარმოების ეტაპზე და დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გაიზარდა 4179.39 ლარამდე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ...ის გამგეობის მიერ.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, კასატორები მიიჩნევენ, რომ სადავო აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუ-

ნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მ. ლ-ისთვის დისციპლინური გადაცდომისთვის შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება, დაკისრებული სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობის საკითხის შეფასების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მ. ლ-ი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...ის რაიონის გამგეობის 2016 წლის 10 ივნისის №103 ბრძანებით დაინიშნა ამავე გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სამი თვის გამოსაცდელი ვადით.

2016 წლის 1 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობასა და შპს „ფ...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის 2.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში, ...ის რაიონში სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები; 2.4 პუნქტის მიხედვით კი, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 351 762.56 ლარს. ამავე ხელშეკრულების მე-9 პუნქტით რეგულირდებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული საკითხები (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები), კერძოდ: 9.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას მომსახურების განევის საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაეხადა პირგასამტეხლო შემსყიდველისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.5%-ის ოდენობით; 9.3 პუნქტის მიხედვით, წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მომსახურების საბოლოო ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდებოდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ით; 9.4 პუნქტის შესაბამისად კი, საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადამწყვეტილების (წერილი დაჯარიმების დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. ამასთან, მითითებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტი ადგენდა, რომ ხელშეკრულების 9.2 პუნ-

ქტის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა ანგარიშსწორებაზე (თანხის ჩათვლაზე). ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება (თანხის ჩათვლა) განხორციელდებოდა მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ; 8.3 პუნქტის თანახმად კი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენებოდა ნებისმიერი ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგებოდა „შემსყიდველს“ ან მესამე პირს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო, გარანტია ასევე გამოიყენებოდა 9.4 პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის სრული ოდენობით გადასახდელად.

საქმის მასალებში წარმოდგენილია სს „სადაზღვევო კომპანია ა...ის“ მიერ 2016 წლის 1 ნოემბერს გაცემული საბანკო გარანტია №..., რომლის თანახმად, გარანტს წარმოადგენდა სს „სადაზღვევო კომპანია ა...ი“, პრინციპალს – შპს „ფ...ი“, ხოლო ბენეფიციარს – ქალაქ თბილისის ...ის რაიონის გამგეობა. საბანკო გარანტიაში აღინიშნა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2016 წლის 1 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ...ის რაიონში სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვას. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, გარანტი იღებდა ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, გადაეხადა ბენეფიციარისთვის თანხა 17 588.15 ლარის ფარგლებში, თუ პრინციპალი არ შეასრულებდა ბენეფიციართან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. მითითებული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №ბ... ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის ...ი განყოფილების უფროსის – მ. ლ-ის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება. ამავე ბრძანების თანახმად, დისციპლინური წარმოების განხორციელება დაევალა მერიის სისტემაში სამსახურებრივი ინსპექტირების განხორციელებაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს. აღნიშნული წარმოების შედეგად, 2018 წლის 29 ივნისს იმავე სამსახურის მიერ შედგენილ იქნა დასკვნა, რომლის თანახმად, სამ-

სახურმა დაადგინა მ. ლ-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა და დაუდევარი დამოკიდებულება, რაც გამოიხატა შემდეგში: 1. მ. ლ-ის მიერ შპს „ფ...ის“ მიმართ დაკისრებული საჯარიმო სანქცია მნიშვნელოვნად ნაკლებია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციაზე; 2. მ. ლ-ის მიერ არ მოხდა სათანადო წესით (ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით) ინფორმაციის მიწოდება საფინანსო და საბიუჯეტო განყოფილებით, რათა არ მომხდარიყო შპს „ფ...ის“ მხრიდან საჯარიმო სანქციის გადახდამდე მასთან ანგარიშსწორება, რამაც გამოიწვია ...ის რაიონის გამგეობისათვის ზიანის მიყენება; 3. მ. ლ-ის მიერ არ მოხდა კონტრაქტორი კომპანიის – სს „სადაზღვევო კომპანია ა...ის“ მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 1 ნოემბრის №... საბანკო გარანტიის გამოყენება დარიცხული საჯარიმო სანქციის უზრუნველსაყოფად, რამაც გამოიწვია ...ის გამგეობისთვის ზიანის მიყენება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 27 ივლისს მიღებულ იქნა №ბ... ბრძანება, რომლის თანახმად, მ. ლ-ს, დისციპლინური გადაცდომისთვის შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – თანამდებობრივი სარგოს 50%-ის დაკავება 6 თვის ვადით. სახედელის დაკისრების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული ბრძანება ძალაში დარჩა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მოხელის დისციპლინური გადაცდომებია: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა; ბ) საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა; გ) ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულვებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, დისციპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე ან მსუბუქი. დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ: ა) დისციპლინურმა

გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას; გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას; დ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს; ე) მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე; ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა. დასახელებული კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს საჯარო დაწესებულების სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. ამავე კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ა) გაფრთხილება, ბ) საყვედური, გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკლება 1-დან 6 თვემდე ვადით, დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულება“. დასახელებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით, კანონშესაბამისი რეაგირება და გადაცდომების პრევენცია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში დისციპლინური წარმოების განხორციელება, ხოლო მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ადგენს სამსახურის უფლებამოსილებას დისციპლინური წარმოებისას მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადასტუროს დისციპლინური გადაცდომის არსებობა ან არარსებობა და შეადგინოს შესაბამისი დასკვნა.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების

პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიკვლიოს და გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. საჯარო მოხელის მიერ ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინურ გადაცდომას; 2. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში დარღვევა წარმოადგენდა მსუბუქ თუ მძიმე გადაცდომას; 3. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს დამდგარი ზიანი, რაც უშუალოდ მოხელის მოქმედებით მიადგა ან შესაძლოა მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და მესამე პირს; 4. მოსარჩელის სუბიექტურ დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომისადმი და ბრალეულობის ხარისხი; 5. ასევე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინსპექტირების სამსახურმა დაიწყო დისციპლინური წარმოება. მ. ლ-ის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებას საფუძვლად დაედო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 29 ივნისს მიღებული დასკვნა, რომელშიც მ. ლ-ის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომად მითითებულია მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა და დაუდევარი დამოკიდებულება, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიხატა მ. ლ-ის მხრიდან შპს „ფ...ის“ მიმართ დაკისრებული საჯარიმო სანქციის არასწორად განსაზღვრაში. აღნიშნული საჯარიმო სანქცია მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციაზე; მის მიერ ასევე არ განხორციელდა სათანადო წესით (ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით) ინფორმაციის მიწოდება საფინანსო და საბიუჯეტო განყოფილებისათვის, რათა არ მომხდარიყო შპს „ფ...ის“ მხრიდან საჯარიმო სანქციის გადახდამდე მასთან ანგარიშსწორება, რამაც გამოიწვია ...ის რაიონის გამგეობისათვის ზიანის მიყენება; მ. ლ-ის მიერ არ მოხდა კონტრაქტორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი, სს „სადაზღვევო კომპანია ა...ის“ 2016 წლის 1 ნოემბრის №... საბანკო გარანტიის გამოყენება დარიცხული საჯარიმო სანქციის უზრუნველსაყოფად. მითითებულმა გარემოებამ გამოიწვია ...ის გამგეობისთვის ზიანის მიყენება.

საკასაციო სასამართლო, ზემოთ დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის კანონიერების შეფასებისას, მიუთითებს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრუ-

ლი მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ა) გაფრთხილება, ბ) საყვედური, გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით, დ) სამსახურიდან გათავისუფლება. თავის მხრივ, დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია მითითებული კანონის 97-ე მუხლით, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს: ა) დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით; ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე; გ) მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობა; დ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები; ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი; ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა; ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მცდელობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი; თ) სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე. ამრიგად, მოსარჩელისთვის თანამდებობრივი სარგოს 50 %-ის დაკავე-

ბა 6 თვის ვადით, როგორც ერთ-ერთი მძიმე ღონისძიება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოქმედებით მატერიალური ზიანი მიაღდა ...ის რაიონის გამგეობას, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოხელის გადაცდომა მსუბუქად მიიჩნიეს და მოსარჩელე საერთოდ გაათავისუფლეს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან. საკასაციო პალატა კი, მოსარჩელის პასუხისმგებლობისაგან არც სრულად გაათავისუფლებას იზიარებს და არც გამოყენებულ სახდელს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მოსარჩელისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ცალსახად არაპროპორციულია ჩადენილ გადაცდომასთან. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია და არ დაუსაბუთებია გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის/გადაცდომების სიმძიმესთან. ამრიგად, ადმინისტრაციული წარმოების ხელახლა ჩატარების ფარგლებში, გამოკვლეული გარემოებები, შესაძლოა, უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნიდეს.

საკასაციო სასამართლო ამასთანავე აღნიშნავს, რომ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მ. ლ-ის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო

და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის თანახმად, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის 2018 წლის 27 ივლისის №ბ... ბრძანება და დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმავე კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანება, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს/თანამდებობის პირს წარმოეშევა საკითხის კიდევ უფრო სრულად და დეტალურად შესწავლის ვალდებულება, რაც განსახილველ შემთხვევაში ჯეროვნად არ შესრულებულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობის 2018 წლის 27 ივლისის №ბ... ბრძანება და დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის რაიონის გამგეობას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №492 ბრძანება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების აღსრულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1181(2კ-21)

16 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სააღსრულებო წარმოების გა-
ნახლება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. ბ-მა მოპასუხეების – სსიპ
აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სს „ს...ის“ მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართვე-
ლოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს
2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება; ბ) მოპასუხეს დაევალოს
სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფასი თა-
ნამდებობაზე აღდგენის თაობაზე; გ) დაეკისროს სს „ს...ის“ იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება აღდგენილი ტოლფასი სამუ-
შაოს ანაზღაურების მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულებამ-
დე.

1.1. სარჩელის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვე-
ტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილე-
ბის 1.2 და მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გა-
დაწყვეტილება: მოსარჩელე აღდგენილ იქნა სს „ს...ის“ ფილიალ
„...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე; სს
„ს...ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ნოემბრიდან გა-
დაწყვეტილების აღსრულებამდე (თანამდებობაზე აღდგენის ნა-
წილში) განაცდურის სახით დაეკისრა ყოველთვიურად 1250 ლარის
ანაზღაურება. ასევე, სს „ს...ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაე-
კისრა სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის
150 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული

გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რაც აღსასრულებლად გადაეცა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს. სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდა მხოლოდ განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება სააღსრულებო ფურცლის სრულად აღსრულების გარეშე მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. აღნიშნულის საფუძველი გახდა სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ბ-ის 2017 წლის 22 მაისის №2861 წერილი, რომლის თანახმად აღარ არსებობს მოსარჩელის თანამდებობა, რომელსაც იგი გათავისუფლებამდე იკავებდა. 2017 წლის 19 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოთხოვნით, რომ აღსრულება განხორციელებულიყო ტოლფას თანამდებობაზე, რაზეც სასამართლოზეც იყო მსჯელობა, როცა მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ცნობა, რომ იმ დროისთვის არ არსებობდა მოსარჩელის თანამდებობის ვაკანსია. თბილისის სააღსრულებო ბიუროდან 2017 წლის 20 ივნისს წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას არ ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცელი, რის გამოც ვერ დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნას.

1.2. მოპასუხე სს „ს...იმ“ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2017 წლის 16 მაისს „ს...ის“ ჩაბარდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე. „ს...იმ“ სისრულეში მოიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, იძულებითი აღსრულების პროცედურის წამოწყების გარეშე, კრედიტორ გ. ბ-ს 2017 წლის 19 მაისს ნებაყოფლობით გადაურიცხა სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან მის აღსრულებამდე (18.05.2017 წლის მდგომარეობით – ჯამში 37625 ლარის ოდენობით სამემოსავლო გადასახადის ჩათვლით). რაც შეეხება სასამართლოს დავალებას გ. ბ-ის ტექნიკური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, აღნიშნულის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ასეთი თანამდებობა გადაწყვეტილების აღსრულების დროისთვის აღარ არსებობდა.

სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №19/13 დადგენილების საფუძველზე სს „ს...ის“ ფილიალ „...ს“ სტრუქტურასა და სამტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებების შე-

დეგად გაუქმდა ინფრასტრუქტურის სამსახური და შეიქმნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგის ტექნიკური დეპარტამენტის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, რომელმაც შეითავსა ადმინისტრაციული სამსახურის ქონებრივი და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფის სექტორის ქონებრივ საკითხებში კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყევითების გამოტანამდე – 22.06.2016 წლამდე, უკვე განხორციელებული იყო სტრუქტურული ცვლილებები და შექმნილი იყო ფუნქციურად და დანიშნულებით ახალი სამსახური, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია შესაბამისი მტკიცებულებებით წარდგენილ იქნა სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, 22.06.2016 წლის სამოქალაქო საქმეთა პალატის გადანყევითებით მოსარჩელე მაინც აღდგენილ იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განხორციელდა რეორგანიზაცია და შეიქმნა ახალი სტრუქტურა, კერძოდ, 01.03.2017 წ. №14/11 დადგენილებისა და მისი დანართი №1-ის შესაბამისად ფილიალის სამტატო განრიგიდან ამოღებულ იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში ფილიალის დირექტორის მოადგილის საკუთრებო სფეროში შემავალი ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და ახალ სამტატო განრიგში ოპერაციათა მართვის დეპარტამენტში შევიდა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური 4-კაციანი შემადგენლობით (უფროსის მოადგილე და ორი წამყვანი სპეციალისტით). ამჟამად კი აღნიშნულ სამსახურში სულ 3 თანამშრომელია (უფროსი, მოადგილე და 1 წამყვანი სპეციალისტი). ამასთან, წამყვანი სპეციალისტის თანამდებობა ფუნქციონალური თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდება იმ პოზიციისგან, რასაც გ. ბ-ი იკავებდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე, შესაბამისად, განსხვავებულია შრომის ანაზღაურების ოდენობაც.

მოსარჩელე ითხოვს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანების ბათილად ცნობას და სააღსრულებო წარმოების გაგრძელებას მისი სამსახურის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, რადგან გარდა იმისა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანყევითება არ ითვალისწინებს აღდგენას ტოლფას თანამდებობაზე, ასეთი ტოლფასი თანამდებობა საერთოდ არ არსებობს სს „ს...ში“.

მოპასუხის განმარტებით, სს „ს...ის“ ფილიალ „...ში“ 2016 და 2017 წლებში ჩატარებული რეორგანიზაცია არის ის ფაქტობრივი გარემოება, რაც შეუძლებელს ხდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას აღდგენის ნაწილში, შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

1.3. მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სააღსრულებო წარმოების მასალების მიხედვით მოვალის, სს „ს...ის“, მიერ კრედიტორისათვის გადახდილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული, განაცდურის სახით დაკისრებული თანხა, ჯამში 30 100 ლარის ოდენობით. რაც შეეხება კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, მოვალის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებებით სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც „ს...ის“ ფილიალ „...ში“ არ არსებობს ...ის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. ამდენად, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კრედიტორის, გ. ბ-ის, აღდგენა. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული №... სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოების განხორციელება და სააღსრულებო ფურცლის სრულად აღსრულება მასში განსაზღვრული ფორმის მიხედვით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის (საქმე №28/5997-15) გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების 1.2. და 2 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება: გ. ბ-ი აღდგენილ იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში,

უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე; სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში) განაცდურის სახით დაეკისრა ყოველთვიურად – 1 250 ლარის ანაზღაურება. სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, 2017 წლის 11 აპრილს გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი; ბ) 2017 წლის 24 აპრილს, გ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის №... სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; გ) თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა, 2017 წლის 29 აპრილს, მოვალეს – სს „ს...ის“ გაუგზავნა №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ხოლო შემდგომ, 2017 წლის 11 მაისს გაუგზავნა №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ; დ) წინადადების პასუხად სს „ს...ის“ 2017 წლის 22 მაისის წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ „ს...იმ“ სისრულეში მოიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, იძულებითი აღსრულების პროცედურის წამოწყების გარეშე, კრედიტორ – გ. ბ-ს ა.ნ. 19 მაისს ნებაცდურით გადაუხადა სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან მის აღსრულებამდე (18.05.2017 წლის მდგომარეობით – ჯამში 37 625 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). რაც შეეხებოდა სასამართლოს დავალებას გ. ბ-ის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, მიუთითა, რომ აღნიშნულის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმ მიზეზით, რომ სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილების საფუძველზე სს „ს...ის“ ფილიალ „...ას“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ცვლილებები, რის შედეგადაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული პოზიცია, რომელიც სამუშაოდან გათავისუფლებამდე ეკავა აპელანტს, დღეის მდგომარეობით არ არსებობდა. ასევე, არ არსებობდა მისი ტოლფასი თანამდებობა, რამეთუ ამჟამად არსებულ ფილიალ „...ას“ ...ის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაც კი ფუნქციონალური თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდებოდა იმ პოზიციისგან, რასაც გ. ბ-ი იკავებდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე, შესაბამისად, განსხვავებული იყო შრომის ანაზღაურების ოდენობაც. ამავე განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივი გა-

რემოების გამო თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იყო, მოვალემ მოითხოვა გადაწყვეტილების მიღება კრედიტორისათვის სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების შესახებ; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანებით, კრედიტორ – გ. ბ-ს დაუბრუნდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელის არსებული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით (სააღსრულებო საქმე №..). გადაწყვეტილებაში მითითებული იქნა, რომ შეუძლებელი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული №... სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოების განხორციელება და სააღსრულებო ფურცლის სრულად აღსრულება მასში განსაზღვრული ფორმის მიხედვით, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების მასალებით დგინდებოდა, რომ მოვალის – „ს...ის“ მიერ კრედიტორისათვის გადახდილი იქნა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული, განაცდურის სახით დაკისრებული თანხა, ჯამში – 30 100 ლარის ოდენობით. რაც შეეხებოდა კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, მოვალის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით დგინდებოდა, რომ „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც „ს...ის“ ფილიალ – „...ში“ არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კრედიტორის – გ. ბ-ის აღდგენა; ე) ზემოაღნიშნული ბრძანების თაობაზე გ. ბ-ს ეცნობა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 23 ივნისის №... წერილით და განემარტა, რომ ვინაიდან შეუძლებელი იყო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი უბრუნდებოდა ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით; ზ) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15 დადგენილებით დამტკიცდა სს „ს...ის“ ფილიალ – „...ას“ სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დანართები №1 და №2-ის შესაბამისად. და-

ნართის შესაბამისად საშტატო განრიგით გათვალისწინებულ იქნა ინფრასტრუქტურის სამსახური; თ) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №19/13 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება სს „ს...ის“ ფილიალ „...ას“ სტრუქტურისა და საშტატო განრიგში დანართი №1-ის შესაბამისად. დანართით დგინდება, რომ ამოღებული იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში ინფრასტრუქტურის სამსახური და ტექნიკური დანადგარების ექსპლუატაციის სექტორი. ასევე დგინდება, რომ საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ტექნიკური დეპარტამენტი და ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ი) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით ცნობად იქნა მიღებული სს „ს...ის“ ფილიალ – „...ას“ და მართვის ცენტრალური აპარატის ოპერაციითა მართვის დეპარტამენტის 2017 წლის 1 მარტის №9250 ერთობლივი მოხსენებითი ბარათი; საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სს „ს...ის“ მართვის ცენტრალური აპარატის და ფილიალ – „...ას“ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია და სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელშეკრულებო ფონდში ცვლილებების შეტანა დანართები №1 და №2-ის შესაბამისად. დანართით ამოღებული იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში შემავალი ტექნიკური დეპარტამენტი; კ) 23.03.2018 წლის მდგომარეობით სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ საშტატო განრიგით გათვალისწინებული იქნა ოპერაციითა მართვის დეპარტამენტში ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, მე-20 მუხლზე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, 25-ე მუხლზე, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე (სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ ...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე) აღდგენა, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღარ არსებობდა, აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას აღსრულება გაეგრძელებინა გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტობრივად შეუძლებლობის საფუძველით. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მომხდარა მოსარჩელის გათავისუფლებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის დავალება. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება ვერ იქნებოდა სააღსრულებო ფურცელში მითითებული და აღსრულების ეროვნული ბიურო ვერ გასცდებოდა აღსასრულებელი გადაწყვე-

ტილების მოთხოვნის ფარგლებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება კანონიერია და განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევას, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათვის სააღსრულებო წარმოების გაგრძელების დავალების (მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და სს „ს...ისთვის“ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება აღდგენილ ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულებამდე) სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-მა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (მოპასუხეები სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სს „ს...“, მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანების ბათილად ცნობა) მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დავის საგნის არ არსებობის გამო.

ამავე განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (მოპასუხეები სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სს „ს...“, მოთხოვნა – დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე) მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დავის საგნის არ არსებობის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილზე, მესამე მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე, 378-ე მუხლზე, 272-ე მუხლის ა¹ პუნქტზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2020 წლის 30 სექტემბერს მოწინააღმდეგე მხარის სს „ს...ის“ წარმომადგენელმა წარმოადგინა განცხადება, რომლის თანახმად სს „ს...ის“ „...ის“ დირექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანებით გ. ბ-ი დაინიშნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე; მისი თვითი სასარგო

შეადგენს 1255 ლარს. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე აპელანტმა განაცხადა, რომ პირველ და მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, კერძოდ, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება და მოპასუხეს დაევადლოს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, უარს ამბობს და იშუამდგომლა აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. ბ-ის სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება გ. ბ-ის სასარგებლოდ სს „ს...ისათვის“ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით დაბრუნების ნაწილში; დაევადლა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გააგრძელოს ამ ნაწილში სააღსრულებო წარმოება, რათა სს „ს...ის“ დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ 2017 წლის 19 მაისიდან 2020 წლის 25 აგვისტომდე განაცდურის სახით ყოველთვიურად 1250 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, სს „ს...ის“ 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანებით გ. ბ-ი მიღებულ იქნა სამსახურში 2020 წლის 24 აგვისტოდან განუსაზღვრელი ვადით სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და მისი თვითური სარგოა 1255 ლარი. საქმეში წარმოდგენილია სს „თ...ის“ მიერ 2017 წლის 19 მაისს გაცემული საგადასახადო დავალება, რომლითაც დგინდება, რომ სს „ს...ის“ ანგარიშიდან გ. ბ-ს დაერიცხა 30 100 ლარი, გადახდის დანიშნულება: იძულებითი განაცდურის თანხა 2014 წლის 17 ნოემბრიდან 2017 წლის 18 მაისის ჩათვლით, დამატებითი ინფორმაცია: №... ბიუროს წერილი №... 11.05.2017წ. სს „ს...ის“ 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანების პირობებში, რამდენადაც სახეზეა სს „ს...ის“ მხრიდან მოსარჩელის – გ. ბ-ის სამსახურში მიღება, აღნიშნული მოცემულობა წარმოადგენს სს „ს...ის“ მიერ მოსარჩელისათვის მის სამსახურში აღდგენამდე არსებული პერიოდით მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და შესაბამისად სააღსრულებო ბიუროს მხრი-

დან ამ ნაწილში სააღსრულებო წარმოების გაგრძელების ფაქტობრივ საფუძველს.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და სს „ს...ი“.

6.1. კასატორის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, სს „ს...ის“ მიერ გ. ბ-ის სამსახურში აღდგენა განხორციელდა მას შემდეგ, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაბრუნებული იყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. ანუ, აღდგენა მოხდა არა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე, არამედ საკუთარი ნებით. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ეს გარემოება ჩათვალა გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილად და დაავალა აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2017 წლის 19 მაისიდან 2020 წლის 25 აგვისტომდე განაცდურის სახით ყოველთვიურად 1250 ლარის ანაზღაურება.

6.2. კასატორის – სს „ს...ის“ განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა იყო სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მისი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი სს „ს...ის“ არ დაკისრებია მოსარჩელის არც ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და არც აღდგენილი ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით განაცდურის ანაზღაურება. შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო ვერ გასცდებოდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების მოთხოვნის ფარგლებს.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მხარეთა მორიგების მიზნებისთვის სასამართლოს შემოთავაზების შედეგად მოხერხდა გ. ბ-ის „ს...ში“ დასაქმება. ის სს „ს...ის“ „...ის“ დირექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანებით დაინიშნა სს „ს...ის“ ფილიალის „...“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე თვიური თანამდებობრივი სარგოთი 1255 ლარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე გ. ბ-მა პირველ და მეორე სასარჩელო მოთხოვნებზე უარი განაცხადა და იმუამდგომლა აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.10.2020 წლის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ მიმართ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის

21 ივნისის №2691 ბრძანების ბათილად ცნობასთან მიმართებით მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დავის საგნის არარსებობის გამო; ასევე შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით – დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. შესაბამისად, დარჩა მხოლოდ ერთი სასარჩელო მოთხოვნა, ანუ მესამე მოთხოვნა, რომელიც მიმართული იყო სს „ს...ის“ მიმართ და არა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, რომ სს „ს...ის“ დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება აღდგენილი ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით გადაწყვეტილების აღსრულებამდე, თუმცა, რამდენი იყო ეს ანაზღაურების ოდენობა, არ ყოფილა მის მიერ დაზუსტებული. იმ მოცემულობაში, როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება კრედიტორისთვის სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების თაობაზე კანონიერად იქნა მიჩნეული, აპელანტს ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ ჰქონდა, ამ ბრძანების ბათილობას აღარ ითხოვდა და დავის საგნის არარსებობის გამო 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოება შეწყვეტილი იყო, სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული ბრძანება და ამასთან, სრულიად უსაფუძვლოდ სასარჩელო მოთხოვნის გვერდის ავლით, სააღსრულებო ბიუროს დაევალა სააღსრულებო წარმოების გაგრძელება, რათა სს „ს...ის“ დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ 2017 წლის 19 მაისიდან 2020 წლის 25 აგვისტომდე ყოველთვიურად 1250 ლარის ანაზღაურება, რასაც აპელანტი არ ითხოვს. აპელანტის მოთხოვნა იყო ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით განაცდურის ანაზღაურება, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით არ ჰქონდა დაკისრებული სს „ს...ის“.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „ს...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება გ. ბ-ის სარჩელის უარყოფის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, რაც საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის (საქმე №23/5997-15) გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების 1.2. და მე-2 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: გ. ბ-ი აღდგენილი იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში, უფრო-

სი სპეციალისტის თანამდებობაზე; სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში) განაცდურის სახით დაეკისრა ყოველთვიურად – 1 250 ლარის ანაზღაურება; სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 11 აპრილს გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი; ბ) 2017 წლის 24 აპრილს, გ. ბ-მა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის №... სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; გ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა, 2017 წლის 29 აპრილს, მოვალეს – სს „ს...ის“ გაუგზავნა №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ხოლო შემდგომ, 2017 წლის 11 მაისს გაუგზავნა №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ; დ) წინადადების პასუხად სს „ს...ის“ 2017 წლის 22 მაისის წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ „ს...იმ“ სისრულეში მოიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, იძულებითი აღსრულების პროცედურის წამოწყების გარეშე, კრედიტორ – გ. ბ-ს ა.წ. 19 მაისს ნებაცდულობით გადაუხადა სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან მის აღსრულებამდე (18.05.2017 წლის მდგომარეობით – ჯამში 37 625 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). რაც შეეხებოდა სასამართლოს დავალებას გ. ბ-ის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, მიუთითა, რომ აღნიშნულის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმ მიზეზით, რომ სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილების საფუძველზე სს „ს...ის“ ფილიალ „...ას“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ცვლილებები, რის შედეგადაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული პოზიცია, რომელიც სამუშაოდან გათავისუფლებამდე ეკავა აპელანტს, არ არსებობდა. ასევე არ არსებობდა მისი ტოლფასი თანამდებობა, რამეთუ ამჟამად არსებულ ფილიალ „...ას“ ...ის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაც კი ფუნქციონალური თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდებოდა იმ პოზიციისგან, რასაც გ. ბ-ი იკავებდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე, შესაბამისად, განსხვავებული იყო შრომის ანაზღაურების ოდენობაც. ამავე განცხადებით,

იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივი გარემოების გამო თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იყო, მოვალემ მოითხოვა კრედიტორისათვის სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანებით, კრედიტორ – გ. ბ-ს დაუბრუნდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით (სააღსრულებო საქმე №...), გადაწყვეტილებაში მითითებული იქნა, რომ შეუძლებელი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული №... სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოების განხორციელება და სააღსრულებო ფურცლის სრულად აღსრულება მასში განსაზღვრული ფორმის მიხედვით, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების მასალებით დგინდებოდა, რომ მოვალის – სს „ს...ის“ მიერ კრედიტორისათვის გადახდილი იქნა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული, განაცდურის სახით დაკისრებული თანხა, ჯამში – 30 100 ლარის ოდენობით. რაც შეეხებოდა კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, მოვალის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით დგინდებოდა, რომ სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც „ს...ის“ ფილიალ – „...ში“ არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილებით და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კრედიტორის – გ. ბ-ის აღდგენა; ე) ზემოაღნიშნული ბრძანების თაობაზე გ. ბ-ს ეცნობა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 23 ივნისის №...წერილით და განემარტა, რომ ვინაიდან შეუძლებელი იყო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი უბრუნდებოდა ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით; ზ) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15 დადგენილებით დამტკიცდა სს „ს...ის“ ფილიალ – „...ს“ სტრუქტურა და საშტატო განრიგი, დანართები №1 და №2-ის შესაბამისად.

დანართის შესაბამისად საშტატო განრიგით გათვალისწინებულ იქნა ინფრასტრუქტურის სამსახური; თ) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №19/13 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება სს „ს...ის“ ფილიალ „...ას“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში დანართი №1-ის შესაბამისად. დანართით დგინდება, რომ ამოღებული იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში ინფრასტრუქტურის სამსახური და ტექნიკური დანადგარების ექსპლუატაციის სექტორი. ასევე დგინდება, რომ საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ტექნიკური დეპარტამენტი და ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ი) სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით ცნობად იქნა მიღებული სს „ს...ის“ ფილიალ – „...ას“ და მართვის ცენტრალური აპარატის ოპერაციითა მართვის დეპარტამენტის 2017 წლის 1 მარტის №9250 ერთობლივი მოხსენებითი ბარათი; საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სს „ს...ის“ მართვის ცენტრალური აპარატის და ფილიალ – „...ას“ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია და სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელშეკრულებო ფონდში ცვლილებების შეტანა დანართები №1 და №2-ის შესაბამისად. დანართით ამოღებული იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში შემავალი ტექნიკური დეპარტამენტი; კ) 23.03.2018 წლის მდგომარეობით სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ საშტატო განრიგით გათვალისწინებული იქნა ოპერაციითა მართვის დეპარტამენტში ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ლ) სს „ს...ის“ 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანებით გ. ბ-ი მიღებულ იქნა სამსახურში 2020 წლის 24 აგვისტოდან განუსაზღვრელი ვადით სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და მისი თვიური სარგოა 1255 ლარი.

ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (მოპასუხეები სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სს „ს...“, მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანების ბათილად ცნობა) მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დავის საგნის არ არსებობის გამო. ამავე განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ბ-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (მოპასუხეები სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სს „ს...“, მოთხოვნა – დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის

ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე) მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დავის საგნის არ არსებობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის განჩინების მიღების საფუძველი გახდა სს „ს...ის“ „...ის“ დირექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანება, რომლითაც გ. ბ-ი დაინიშნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე აპელანტმა განაცხადა, რომ პირველი და მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, კერძოდ, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანება და მოპასუხეს დაევალოს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, უარს ამბობს და იშუამდგომლა აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა, ცხადია, რომ მხარის ინტერესს არ წარმოადგენს მხოლოდ სასურველი გადაწყვეტილების მიღება, არამედ გადამწყვეტია იმ მიზნის მიღწევა, რამაც სასამართლოსადმი მიმართვა განაპირობა. ბუნებრივია, რომ მხარის მიზანი მიღწეული ვერ იქნება გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. სასამართლო აქტების ეფექტური აღსრულების განხორციელების აუცილებლობა დადგენილია როგორც ეროვნული, ისე ევროპული სასამართლო პრაქტიკით. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება კონსტიტუციური პრინციპია და მის აღსრულებას სავალდებულო, იმპერატიული ბუნება აქვს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა სა-

ქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების დროული, ეფექტიანი და ჯეროვანი აღსრულება. სააღსრულებო ორგანოებს აღსრულების პროცესში ევალებათ სამართლიანი ბალანსის დაცვა კრედიტორის მოთხოვნებსა და მოვალის, ასევე სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებო ბიუროს მიერ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას. შესაბამისად, თუ პირი, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაეკისრა გარკვეული ვალდებულების შესრულება თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს; ხოლო მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება. ამავე კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ცალკე მითითებული არ არის, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა აღნიშნული უფლება, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის გაგე-

ბით, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა სასამართლოს საბოლოო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ერთი მხარის საზიანოდ. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 მუხლით დაცული უფლების არსს (Hornsby c. Grèce, 19 mars 1997, §40, Recueil 1997-II; „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, №40765/02, §37, 28 ნოემბერი, 2006 წელი; დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ, №8252/08, §43, 12 ივნისი, 2012 წელი; შპს „ამატ.ჯი“ და მეტალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №2507/03, §47, 27 სექტემბერი, 2005 წელი). საქმეზე შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, (№28537/02, §42, 27 სექტემბერი, 2005 წელი) სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით გამოწვეულ მძიმე შედეგზე – მართლმსაჯულების აღუსრულებლობაზე. „...ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით.“ (სუს 07.03.2013წ. №ბს-727-711(კ-12) განჩინება). „...სააღსრულებო სისტემის არსებობის მიზანი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული, აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების სისრულეში მოყვანაა. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპს კი სწრაფი, ეფექტიანი და რაც უმთავრესია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყენება ეფექტიანი აღსრულების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა ისედაც დიდი დრო დაკარგა უფლების აღსადგენად

და მოთხოვნის აღსასრულებლად... აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში..“ (სუს 24.04.2014წ. №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილება).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2017 წლის 24 აპრილს, გ. ბ-მა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, რომლის თანახმად გ. ბ-ი აღდგენილი იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში, უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში) განაცდურის სახით დაეკისრა ყოველთვიურად – 1 250 ლარის ანაზღაურება.

ასევე დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვინაიდან სააღსრულებო ბიუროში მოვალის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის „ს...ის“ ფილიალ – „...აში“ არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილებით და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კრედიტორის – გ. ბ-ის აღდგენა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანებით, კრედიტორ – გ. ბ-ს დაუბრუნდა სააღსრულებო ფურცელი ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით.

საყურადღებოა, რომ გ. ბ-ის მიერ სადავო არ გამხდარა მოვალე კომპანიაში აღსრულების დროისათვის სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობის არ არსებობა და მის მიერ სარჩელიც კი სასამართლოში აღძრული იქნა მოთხოვნებით – მოპასუხეს დაევალოს სააღსრულებო წარმოების გაგრძელება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე და დაეკისროს სს „ს...ის“ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება აღდგენილი ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში განმარტავს, რომ როდესაც დამსაქმებელი კანონსაწინააღმდეგოდ ათავისუფლებს დასაქმებულს სამსახურიდან, ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგია დასაქმებულის იძულებითი მოცდენა. შესაბამისად, იძულებითი განაცდურის სამართლებრივი ბუნება უკავშირდება უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლებული მუშაკის ანაზღაურებას და წარმოადგენს მუშაკის თანამდებობაზე აღდგენამდე პე-

რიოდულად (ყოველთვიურად) გადასახდელი ხელფასის ჯამს, რომელიც იძულებითი აღსრულების შედეგად ანაზღაურდება ერთიანად, მაშინვე როგორც კი, თანამდებობაზე აღდგენის პროცესი წარმატებით დასრულდება (თუ მხარეები სააღსრულებო წარმოების პროცესში სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან).

მოცემულ შემთხვევაში დავას არ ინვესტის გარემოება, რომ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის (საქმე №28/5997-15) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რომლითაც გ. ბ-ი აღდგენილი იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში, უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და სს „ს...ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში) განაცდურის სახით დაეკისრა ყოველთვიურად – 1250 ლარის ანაზღაურება. ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დამსაქმებელს დაეკისრა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 32.1 მუხლის (თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.), ამავე კოდექსის 44-ე მუხლის (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) და სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 412-ე მუხლის (ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) საფუძველზე.

სააღსრულებო წარმოების ფარგლებში გ. ბ-ის სამსახურში აღდგენა არ განხორციელებულა და სააღსრულებო ფურცელი კრედიტორს დაუბრუნდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოვალე დამსაქმებელ კომპანიაში აღარ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული თანამდებობა, რაც შეუძლებელს ხდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას. ასევე დადგენილია, რომ 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანებით გ. ბ-ი მიღებული იქნა „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ანუ განხორციელდა არა სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მიმდინარე იძულებითი აღსრულების გზით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, არამედ მოხდა მხარეთა შეთანხმება ახალი

შრომითი ურთიერთობის დაწყების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სს „ს...ის“ 2020 წლის 25 აგვისტოს №3204 ბრძანების პირობებში, რამდენადაც სახეზეა სს „ს...ის“ მხრიდან მოსარჩელის – გ. ბ-ის სამსახურში მიღება, აღნიშნული მოცემულობა წარმოადგენს სს „ს...ის“ მიერ მოსარჩელისათვის მის სამსახურში აღდგენამდე არსებული პერიოდით მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს მხრიდან ამ ნაწილში სააღსრულებო წარმოების გაგრძელების ფაქტობრივ საფუძველს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივნისის №2691 ბრძანებით, კრედიტორ – გ. ბ-ს დაუბრუნდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი ნაწილობრივ შეუსრულებელი სახით (სააღსრულებო საქმე №..). გადაწყვეტილებაში მითითებული იქნა, რომ შეუძლებელი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული №... სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოების განხორციელება და სააღსრულებო ფურცლის სრულად აღსრულება მასში განსაზღვრული ფორმის მიხედვით, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების მასალებით დგინდებოდა, რომ მოვალის – სს „ს...ის“ მიერ კრედიტორისათვის გადახდილი იქნა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული, განაცდურის სახით დაკისრებული თანხა, ჯამში – 30 100 ლარის ოდენობით, ხოლო რაც შეეხებოდა კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, მოვალის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით დგინდებოდა, რომ სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №43/15, 2016 წლის 27 აპრილის №19/13 და 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით სს „ს...ის“ ფილიალ

– „...ის“ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც „ს...ის“ ფილიალ – „...აში“ არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო კრედიტორის – გ. ბ-ის აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ბ-ი აღდგენილი იქნა სს „ს...ის“ ფილიალ „...ის“ ...ის სამსახურში, უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ასევე დადგენილია, რომ სს „ს...ის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 1 მარტის №24/11 დადგენილებით ცნობად იქნა მიღებული სს „ს...ის“ ფილიალ – „...ას“ და მართვის ცენტრალური აპარატის ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის 2017 წლის 1 მარტის №9250 ერთობლივი მოხსენებითი ბარათი. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სს „ს...ის“ მართვის ცენტრალური აპარატის და ფილიალ – „...ას“ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია და სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელშეკრულებო ფონდში ცვლილებების შეტანა დანართები №1 და №2-ის შესაბამისად. დანართით ამოღებული იქნა მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში შემავალი ტექნიკური დეპარტამენტი და 23.03.2018 წლის მდგომარეობით სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ საშტატო განრიგით გათვალისწინებული იქნა ოპერაციათა მართვის დეპარტამენტში ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

შესაბამისად, ვინაიდან აღსასრულებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე (სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ ...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე) აღდგენა იყო გათვალისწინებული, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღარ არსებობდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე აღსრულების ეროვნული ბიურო მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, ვინაიდან აღსრულების პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოების გამო შეუძლებელი იყო გადაწყვეტილების აღსრულება. საყურადღებოა, რომ გ. ბ-ი არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში არ ასახულებდა იმ ფაქტს, რომ დამსაქმებელ კომპანიაში კიდევ არსებობდა აღსასრულებელ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული თანამდებობა – სს „ს...ის“ ფილიალ – „...ის“ ...ის სამსახურში უფროსი სპეციალისტი. მოსარჩელე აღსრულების გაგრძელებას უკავ-

შირებდა ტოლფასი თანამდებობის არსებობას, რასაც გარდა სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში გადმოცემული მოსარჩელის პოზიციისა, ასევე მოწმობს საალსრულებო ბიუროს წარმოების მასალები, რომელთა თანახმად კრედიტორი (მოსარჩელე) ითხოვდა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. საყურადღებოა, რომ მოსარჩელე მე-3 სასარჩელო მოთხოვნით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრებას ითხოვდა ტოლფასი სამუშაოს ანაზღაურების მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ მიერ საკასაციო საჩივრებზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300-300 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვინაიდან საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს გ. ბ-ს უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება კასატორების სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და სს „ს...ის“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ბ-ს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
5. გ. ბ-ს სს „ს...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შტატების შემცირების საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

გ ა ნ ჩ ი ნ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ

№ბს-838(კ-21)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ქ-მა და მ. ლ-მა 2020 წლის 25 მაისს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ და მოითხოვეს მათი

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ამავე სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... და №... ბრძანებების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის მ. ლ-ისა და გ. ქ-ის სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და მათ სასარგებლოდ სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება, შესაბამისი თანამდებობებისთვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

სარჩელის მიხედვით, გ. ქ-ი – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმი და მ. ლ-ი – ამავე საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექთანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... და №... ბრძანებების შესაბამისად, 2020 წლის პირველი მაისიდან გათავისუფლდნენ სამსახურიდან. მოსარჩელეთა მითითებით, მართალია, მათ გათავისუფლებას საფუძვლად დაედო სამსახურში გამოცხადებული რეორგანიზაცია, თუმცა თანამდებობები, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ რეორგანიზაციის შედეგად არ გაუქმებულა და არც სხვა სამსახურს შერწყმია. თანამდებობები რეორგანიზაციამდე არსებული სახით დარჩა. მოსარჩელები დამატებით აღნიშნავენ, რომ ისინი მუშაობის პერიოდში არაერთგზის იყვნენ ნახალისებული, ასევე გამოირჩეოდნენ საქმის კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესრულებით. შესაბამისად, მათ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე, 31-ე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-9, 118-ე და „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ კანონის 36-ე, 37-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვეს გათავისუფლების შესახებ სადავო აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 2019 წლის 7 ნოემბრის №19307 ბრძანების შესაბამისად, დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა სტრუქტურული ცვლილებები ან/და შემცირება და ამის საფუძველზე მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება.

დეპარტამენტში სამსახურის გასაგრძელებლად გადასანიშნი მოსამსახურეების იდენტიფიცირების კრიტერიუმებად განისაზღვრა დაკავებულ/დასაკავებელ პოზიციასთან მათი კომპეტენციის შესაბამისობის შემოწმების საშუალებები: ა) ზოგადი უნარები; ბ) პროფესიული ტესტირება; გ) გასაუბრება.

2019 წლის 8 ნოემბერს მოსარჩელებს – გ. ქ-სა და მ. ლ-ს წერილობით ეცნობათ რეორგანიზაციის შედეგად, შესაბამისი სამტაქტო ერთეულის შემცირების გამო, თანამდებობიდან მათი შესაძლო გათავისუფლების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის №6425 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუნცებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამტაქტო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 16 თებერვლის №457 ბრძანებაში და დამტკიცდა ახალი სამტაქტო ნუსხა, რომლითაც გაუქმდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში სამტაქტო ერთეულები და განისაზღვრა 62 სამტაქტო ერთეული: სამედიცინო პუნქტის უფროსის 1 სამტაქტო ერთეული, თანამდებობრივი სარგო – 3500 ლარი; ექიმის 19 შტატი, თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე – 1600 ლარი; ექთნის 40 შტატი, თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე – 1260 ლარი; წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირის 2 სამტაქტო ერთეული, თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე – 1260 ლარი.

საბოლოოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... და №... ბრძანებების შესაბამისად, შტატების შემცირების საფუძვლით, გ. ქ-ი და მ. ლ-ი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, ამავე ბრძანებებით მათ მიეცათ კომპენსაცია 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის №143298/01 წერილით მ. ლ-ს ეცნობა, რომ მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტში მისი შედეგი იყო 10 ქულა (მაქსიმალური ქულა – 80), პროფესიულ ტესტში – 21 ქულა (მაქსიმალური ქულა – 50), ხოლო გასაუბრებაში – 6 ქულა (მაქსიმალური ქულა – 30). ასევე ეცნობა, რომ ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არც ერთ ექთანს არ ჰქონდა მასზე ნაკლები

ქულა, ხოლო მეტი ქულა ჰქონდა 38 ექთანს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის №143297/01 წერილით გ. ქ-ს ეცნობა, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტში მისი შედეგი იყო 39 ქულა (მაქსიმალური ქულა – 80), პროფესიულ ტესტში – 37 ქულა (მაქსიმალური ქულა – 50), ხოლო გასაუბრებაში – 7 ქულა (მაქსიმალური ქულა – 30). ასევე ეცნობა, რომ ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში 13 ექიმს ჰქონდა ტესტირებაში გ. ქ-ზე ნაკლები ქულა, ხოლო მეტი ქულა ჰქონდა 9 ექიმს. გასაუბრების შედეგების მიხედვით კი, მასზე ნაკლები ქულა არ ჰქონდა არც ერთ ექიმს, ხოლო მეტი – 20 ექიმს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით განმტკიცებულ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. დასახელებული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად კი, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამდენად, რეორგანიზაციის შედეგად, შტატების შემცირების პირობებში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა დარჩენილ საშტატო ერთეულებზე ექიმებისა და ექთნების დანიშვნა, ხოლო შემცირებული საშტატო ერთეულების შესაბამისად, ცალკეულ მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნა. ამასთან, აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერ საშუალებას არსებითად თანაბარ პირობებში მყოფი ექიმებისა და ექთნების უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შემოწმება, მათი შედარება და მიღებული შედეგების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა.

სასამართლომ მიუთითა ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა. განსახილველ შემთხვევაში, სამედიცინო დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში საშტატო ცვლილებებიდან გამომდინარე სამსახურის გაგრძელე-

ბის მიზნით, მოსამსახურეების კვალიფიკაციის იდენტიფიცირების კრიტერიუმებად განისაზღვრა ტესტირებისა და გასაუბრების, პირადი უნარ-ჩვევების, პიროვნული მახასიათებლების, პროფესიული უნარების შეფასების, დასაკავებელ საშტატო თანამდებობასთან მათი უფლებამოსილების შესაბამისობის შემოწმების საკითხები. აღნიშნულის განხორციელების მიზნით შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომლის შექმნის მიზანი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების – შტატების შემცირების გამო მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნის ჯეროვნად განხორციელება იყო.

საქალაქო სასამართლომ დასახელებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები ჯეროვნად განხორციელდა. ამდენად, მოსარჩელეები – მ. ლ-ი და გ. ქ-ი სამსახურიდან გათავისუფლდნენ, როდესაც შესაბამისი საშტატო ერთეულები შემცირდა, ხოლო დარჩენილ საშტატო ერთეულებზე დანიშვნის მიზნით კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ შერჩევის პროცედურებში მათ დაბალი შეფასებები მიიღეს. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებდა მათი დათხოვნის/გათავისუფლების თაობაზე სადავო აქტების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ასევე არ არსებობდა მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენისა და მათთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ. ლ-მა და გ. ქ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ლ-ისა და გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ლ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „გ. ქ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... ბრძანება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში გ. ქ-ის ექიმის თა-

ნამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გ. ქ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით; ბათილად იქნა ცნობილი „მ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... ბრძანება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო სამსახურში მ. ლ-ის ექთნის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და მ. ლ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, დასაქმებული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმებაა (შემცირება), თუმცა საშტატო ერთეულის გაუქმება თავის თავში გულისხმობს იმავე ფუნქციური დატვირთვის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე საშტატო ერთეულის საშტატო ნუსხიდან ამოღებას. მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შესაბამისი საშტატო ერთეულის შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, კერძოდ, 2015 წლის 8 ივლისის №ბს-449-442 (კ-15) გადაწყვეტილებაზე).

სააპელაციო პალატამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის №6425 ბრძანებით განხორციელებულ საშტატო ცვლილებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული თანამდებობების მხოლოდ რაოდენობის შემცირება იმგვარად, რომ ახალ საშტატო ნუსხაში კვლავ არსებობდა როგორც ექიმის, ასევე ექთნის თანამდებობები, იმავე იერარქიული საფეხურით, იმავე ფუნქციური დატვირთვით და არ ყოფილა გათვალისწინებული ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამდენად, სააპე-

ლაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობები კვლავ არსებობდა, აღნიშნული მიუთითებდა დამსაქმებელი ორგანიზაციის ვალდებულებაზე – საქმის გარემოებათა არსებითი გამოკვლევის შემდეგ გამოეცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო მხოლოდ იმ გარემოებას, რომ შემცირდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა რიცხოვნობა. მის მიერ არ იქნა შეფასებული ის გარემოება, რომ რეორგანიზაციის განხორციელებამდე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ექთნის 43 საშტატო ერთეულზე დასაქმებული იყო მხოლოდ 39 ექთანი, რის შედეგადაც რეორგანიზაციის შემდგომ 40 საშტატო ერთეულამდე თანამდებობათა შემცირების მიუხედავად კვლავ რჩებოდა ექთნის ვაკანტური თანამდებობა. ამასთანავე, ისეთ პირობებში, როდესაც ექიმის საშტატო ერთეულები მხოლოდ რაოდენობრივად შემცირდა, დამსაქმებელი ვალდებული იყო გამოეკვლია, შეეფასებინა და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გადმოეცა მოტივაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის დროს კონკრეტული პირებისათვის უპირატესობის მინიჭებისას, რამდენადაც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რომ კონკრეტულად მოსარჩელე გ. ქ-ის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული გაუქმდა. შესაბამისად, რეორგანიზაციამდე არსებულ ექიმის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს, მათი კვალიფიკაციის და სამსახურებრივი დამსახურების გათვალისწინებით და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, თანაბარი უფლება ჰქონდათ დანიშნულიყვნენ რეორგანიზაციის შედეგად განსაზღვრულ ექიმის საშტატო ერთეულებზე.

სააპელაციო პალატამ რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ტესტირების შედეგსა და სპეციალური კომისიის გასაუბრების ოქმთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი აღნიშნული გარემოება გახდა, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება წინასწარ განესაზღვრა, თუ რა კრიტერიუმებით მოხდებოდა ამ პირთა შეფასება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება მასზედ, რომ მოსამსახურეებს, როგორც ტესტირების, ასევე გასაუბრების ეტაპზე ევალებოდათ გარკვეული ოდენობით ქულათა დაგროვება და არსებობდა სავალდებულო მინიმუმის გადალახვის საჭიროება რეორგანიზაციის შემდგომ საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების დასაკავებლად. საქმეში წარმოდგენილი საქართვე-

ლოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №19307 ბრძანებიდან, რომლითაც განისაზღვრა, დეპარტამენტში სამსახურის გასაგრძელებლად გადასანიშნი მოსამსახურეების იდენტიფიცირების კრიტერიუმებად დაკავებულ/დასაკავებელ პოზიციასთან მათი კომპეტენციის შესაბამისობის შემოწმების საშუალებები, მათ შორის, გასაუბრება, ირკვევა, რომ გასაუბრებისას კანდიდატები შეფასდებოდნენ ქულათა სისტემით, ხოლო ის კანდიდატი, რომელიც გასაუბრების ეტაპზე კომისიის მიერ შეფასდებოდა 1 (ერთი) არაღმამაკაცოფილებელი ქულით, შესაძლოა გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გ. ქ-მა გასაუბრებაზე მიიღო 7 ქულა, ხოლო მ. ლ-ის გასაუბრების შედეგი იყო 6 ქულა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის №143297/01 წერილზე, რომლითაც დგინდება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტში გ. ქ-ის შედეგი იყო 39 ქულა (მაქსიმალური ქულა – 80), ხოლო პროფესიულ ტესტში – 37 ქულა (მაქსიმალური ქულა – 50), რის მიხედვითაც, ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში 13 ექიმს ჰქონდა ტესტირებაში მასზე ნაკლები ქულა, ხოლო მეტი – 9 ექიმს. ასევე დადგენილია, რომ გასაუბრების შედეგების მიხედვით, გ. ქ-ზე ნაკლები ქულა არ ჰქონდა არც ერთ ექიმს, ხოლო მეტი – 20 ექიმს. პალატამ მიიჩნია, რომ თუ მოსამსახურეთა მიმართ უპირატესობის მინიჭება ეფუძნებოდა გასაუბრებაზე დაგროვილ ქულათა რაოდენობას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო დასაქმებული პირების შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა და გასაუბრების პროცესის ობიექტურად წარმართვის დამადასტურებელი დოკუმენტის შექმნა, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია, ხოლო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, გ. ქ-ის მონაცემები უდავოდ აღემატებოდა სხვა ექიმთა უმეტესობის შედეგებს.

რაც შეეხებოდა მ. ლ-ს, რომელიც დასაქმებული იყო ექთნის პოზიციაზე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე იმ პირობებში იქნა გათავისუფლებული მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან, როდესაც ტესტირება გაიარა სულ 39 ექთანმა, ხოლო ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრული იყო ექთნის 40 საშტატო ერთეული. ამდენად, იმ გარემოების გათვა-

ლისწინებითაც, რომლის მიხედვით, მ. ლ-ს ტესტირებასა და გასაუბრებაზე ყველაზე დაბალი ქულა ჰქონდა, არ არსებობდა შტატების შემცირების საფუძვლით მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ექთნის საშტატო ერთეულთა რაოდენობა (40) უდავოდ აღემატებოდა რეორგანიზაციამდე ამავე დეპარტამენტში დასაქმებულ ექთანთა (39) საერთო რაოდენობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გ. ქ-ისა და მ. ლ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობები, აღნიშნული აქტების ბათილად ცნობის პირობებში კი, მათი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საკითხის გადაწყვეტისას უგულებელყოფილ იქნა მთელი რიგი გარემოებები, მათ შორის ის ფაქტები, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია არის შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციური გარდაქმნა, რასაც, შესაძლოა, მოსდევდეს დაწესებულების მთლიანი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, აგრეთვე, შტატების რაოდენობის ცვლილება. კასატორი აღნიშნავს, რომ 2020 წლის 29 აპრილის №6425 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური პენიტენციური დაწესებულების საშტატო ნუსხის თანახმად, ... პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში შემცირდა ექიმისა და ექთნის საშტატო ერთეულები. ამდენად, ამავე დაწესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, აღნიშნული საშტატო ერ-

თეულების შემცირების საფუძვლით, გ. ქ-ი და მ. ლ-ი გათავისუფლდნენ სამსახურიდან. დასახელებულ გარემოებებზე დაყრდნობით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება გ. ქ-ის ექიმის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, ხოლო მ. ლ-ის ექთნის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-ი 2011 წლიდან მუშაობდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმად, ხოლო 2018 წლიდან მ. ლ-ი – ამავე საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექთნად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 16 თებერვლის №457 ბრძანებით სპეციალური პენიტენ-

ციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 76 საშტატო ერთეულით, მათ შორის, ექიმის 26 და ექთნის 43 საშტატო ერთეულით.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 8 ნოემბრის გაფრთხილების წერილებით დგინდება, რომ გ. ქ-ი და მ. ლ-ი გაფრთხილებულ იქნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2019 წლის 7 ნოემბერს გამოცემული №19307 ბრძანებით დაწყებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, გ. ქ-ი და მ. ლ-ი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... და №... ბრძანებების შესაბამისად, 2020 წლის პირველი მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან შტატების შემცირების გამო. გათავისუფლების კანონისმიერ საფუძვლებად მიეთითა პატიმრობის კოდექსის 7¹ მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილები, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №52 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 52-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში შესაძლო სტრუქტურულ ცვლილებებთან და/ან შტატების მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით რეორგანიზაციის დაწყებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 7 ნოემბრის №19307 ბრძანება.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს გ. ქ-ისა და მ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, სამსახურში ჩატარებული რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირების საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მიითითებულ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს სამ-

სახურის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის, პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, დასაქმებული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმებაა (შემცირება), თუმცა საშტატო ერთეულის გაუქმება თავის თავში გულისხმობს იმავე ფუნქციური დატვირთვის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე საშტატო ერთეულის საშტატო ნუსხიდან ამოღებას. ამდენად, მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შესაბამისი საშტატო ერთეულის შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი. პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებაში განსაზღვრული თითოეული საშტატო ერთეული დატვირთულია კონკრეტული საჯარო ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით, რაც მის ინდივიდუალურ ადგილს განაპირობებს საჯარო სამსახურის სისტემაში. შესაბამისად, სამართლებრივ ურთიერთობებში, მათ შორის, რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების პროცესში თითოეული საშტატო ერთეულის შეფასება ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს და საშტატო ერთეულის შემცირების საფუძველით მხოლოდ იმ საჯარო მოსამსახურის გათავისუფლება უნდა მოხდეს, რომლის საშტატო ერთეულიც გაუქმდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, წარმოადგენს რეორგანიზაციას. ამავე გადანაცვებების თანახმად, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხე-

ლის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია, რომ კონკრეტული თანამდებობების იდენტიურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წრე, ამასთან, ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება (იხ. №ბს-449-442 (კ-15) საქმეზე სუს 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 2019 წლის 7 ნოემბერს გამოსცა №19307 ბრძანება, რომლითაც დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რომელსაც, შესაძლოა, მოჰყოლოდა სტრუქტურული ცვლილებები და/ან შემცირება და ამის საფუძველზე მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება. დეპარტამენტში სამსახურის გასაგრძელებლად გადასანიშნო მოსამსახურეების იდენტიფიცირების კრიტერიუმებად განისაზღვრა დაკავებულ/დასაკავებელ პოზიციასთან მათი კომპეტენციის შესაბამისობის შემოწმების შემდეგი საშუალებები: ა) ზოგადი უნარები; ბ) პროფესიული ტესტირება; გ) გასაუბრება. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის №6425 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ... დანესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის საშტატო ნუსხაში და ექიმის შტატი ნაცვლად 26-ისა განისაზღვრა 20 საშტატო ერთეულით, ხოლო ექთნის – ნაცვლად 43-ისა განისაზღვრა 40 საშტატო ერთეულით. ამრიგად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სამსახურში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და ამ პროცესში თითოეული საშტატო ერთეულის შეფასება ინდივიდუალურად უნდა განხორციელებულიყო დაკავებული ან დასაკავებელი პოზიციებისთვის განსაზღვრული იდენტიფიცირების კრიტერიუმების შესაბამისად, რაც ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, განსაზღვრული იყო ზოგადი უნარების, პროფესიული ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით.

ნებით.

საქმის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ექიმმა – გ. ქ-მა და ექთანმა – მ. ლ-მა გაიარეს ზემოთ მითითებული ეტაპები. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის №143297/01 წერილი, რომლითაც გ. ქ-ს ეცნობა, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტში მისი შედეგი იყო 39 ქულა (მაქსიმალური ქულა – 80), პროფესიულ ტესტში – 37 ქულა (მაქსიმალური ქულა – 50), ხოლო გასაუბრებაში – 7 ქულა (მაქსიმალური ქულა – 30). ასევე ეცნობა, რომ ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში 13 ექიმს ჰქონდა ტესტირებაში გ. ქ-ზე ნაკლები ქულა, ხოლო მეტი – 9 ექიმს. გასაუბრების შედეგების მიხედვით კი, გ. ქ-ზე ნაკლები ქულა არ ჰქონდა არც ერთ ექიმს, ხოლო მეტი ქულა ჰქონდა 20 ექიმს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 15 ივნისის №143298/01 წერილის თანახმად კი, მ. ლ-ს ეცნობა, რომ მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტში მისი შედეგი იყო 10 ქულა (მაქსიმალური ქულა – 80), პროფესიულ ტესტში – 21 ქულა (მაქსიმალური ქულა – 50), ხოლო გასაუბრებაში – 6 ქულა (მაქსიმალური ქულა – 30). ასევე ეცნობა, რომ ... პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არც ერთ ექთანს არ ჰქონდა მ. ლ-ზე ნაკლები ქულა, ხოლო მეტი – 38 ექთანს.

საკასაციო პალატა ექთნის – მ. ლ-ის საკითხთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ საფუძვლიანად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ იმ გარემოებას, რომ შემცირდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა რიცხოვნობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული ის გარემოება, რომ რეორგანიზაციის განხორციელებამდე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ექთნის 43 საშტატო ერთეულზე დასაქმებული იყო მხოლოდ 39 ექთანი, რის გამოც რეორგანიზაციის შემდგომ 40 საშტატო ერთეულამდე თანამდებობათა შემცირების მიუხედავად კვლავ რჩებოდა ექთნის ვაკანტური თანამდებობა. რაც შეეხება რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ტესტირების შედეგსა და სპეციალური კომისიის გასაუბრების ოქმს, საკასაციო პალატის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება მასზედ, რომ მოსამსახურეებს, როგორც ტესტირების, ასევე გასაუბრების ეტაპზე ევალებოდათ გარკვეული ოდე-

ნობით ქულათა დაგროვება და არსებობდა სავალდებულო მინიმუმის გადალახვის საჭიროება რეორგანიზაციის შემდგომ საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების დასაკავებლად. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №19307 ბრძანებიდან, რომლითაც განისაზღვრა, დეპარტამენტში სამსახურის გასაგრძელებლად გადასანიშნო მოსამსახურეების იდენტიფიცირების კრიტერიუმებად დაკავებულ/დასაკავებელ პოზიციასთან მათი კომპეტენციის შესაბამისობის შემოწმების საშუალებები, მათ შორის, გასაუბრება, ირკვევა, რომ გასაუბრებისას კანდიდატები შეფასდებოდნენ ქულათა სისტემით, ხოლო ის კანდიდატი, რომელიც გასაუბრების ეტაპზე კომისიის მიერ შეფასდებოდა 1 არადამაკმაყოფილებელი ქულით, შესაძლოა გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მ. ლ-ის გასაუბრების შედეგი იყო 6 ქულა. ამდენად, მ. ლ-ის საკითხთან დაკავშირებით, მართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ჩატარებული ტესტირება და გასაუბრება ვერ ამართლებდა იმ მიზანს, რომ დამსაქმებელს დასაქმებული 43 ექთნიდან შეერჩია 40 საუკეთესო ექთანი მათი პიროვნების, დამსახურების, კვალიფიკაციის გათვალისწინებით და ამით გამართლებულიყო ის გარემოება, თუ რატომ მიენიჭათ უპირატესობა სხვა კანდიდატებს მოსარჩელესთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადასტურებულია, რომ მ. ლ-ი იმ პირობებში იქნა გათავისუფლებული მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან, როდესაც ტესტირება გაიარა სულ 39 ექთანმა, ხოლო ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრული იყო ექთნის 40 საშტატო ერთეული. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, თუ მ. ლ-ი ტესტირებასა და გასაუბრებაზე ყველაზე დაბალ ქულს მიიღებდა, არ არსებობდა შტატების შემცირების გამო მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ექთნის საშტატო ერთეულთა რაოდენობა (40) უდავოდ აღემატებოდა რეორგანიზაციამდე ამავე დეპარტამენტში დასაქმებულ ექთანთა (39) საერთო რაოდენობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად ცნო მ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... ბრძანება. აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის პირობებში კი, ასევე მართებუ-

ლია სააპელაციო პალატის დასკვნა მოსარჩელის მოთხოვნების და-
ნარჩენი ნაწილის – სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაც-
დურის ანაზღაურების დაკმაყოფილების თაობაზე.

რაც შეეხება გ. ქ-ის ექიმის თანამდებობიდან გათავისუფლების
საკითხს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში და-
უსაბუთებელია სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადანყვე-
ტილება, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტი-
ციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020
წლის 15 ივნისის №143297/01 წერილით დგინდება მხოლოდ თითო-
ეულ ეტაპზე მიღებულ ქულათა ოდენობები, თუმცა გაურკვევე-
ლია ქულათა ჯამის გამოთვლა რა პრინციპით განხორციელდა, რის
გამოც გ. ქ-ს სხვა კანდიდატებთან შედარებით უფრო მაღალი შე-
დეგი მიენიჭა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სპეცია-
ლური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში
მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული ზოგადი
უნარების ტესტში გ. ქ-ის შედეგი იყო 39 ქულა (მაქსიმალური ქულა
– 80), ხოლო პროფესიულ ტესტში – 37 ქულა (მაქსიმალური ქულა –
50), რის თანახმადაც, ... პენიტენციური დაწესებულების სამედი-
ცინო პუნქტში 13 ექიმს ჰქონდა ტესტირებაში მასზე ნაკლები ქუ-
ლა, ხოლო მეტი – 9 ექიმს. ასევე დადგენილია, რომ გასაუბრების
შედეგების მიხედვით, გ. ქ-ზე ნაკლები ქულა არ ჰქონდა არც ერთ
ექიმს, ხოლო მეტი – 20 ექიმს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ
თუ მოსამსახურეთა მიმართ უპირატესობის მინიჭება ეფუძნებო-
და გასაუბრებაზე დაგროვილ ქულათა რაოდენობას, ზემოაღნიშ-
ნული წერილის შესაბამისად, მოსარჩელეზე მეტი ქულა ჰქონდა 20
ექიმს. ამასთან, საგულისხმოა, რომ საშტატო ერთეულიც მხოლოდ
20 იყო, ხოლო თუ გასაუბრების შედეგთან ერთად გასათვალისწი-
ნებელი იყო ტესტირების შედეგებიც, გასაჩივრებული გადანყვე-
ტილებით არ არის დასაბუთებული ის გარემოება, რომ გ. ქ-ის მონა-
ცემები – ტესტირებისა და გასაუბრების ქულათა ჯამი, უდავოდ
აღემატებოდა სხვა ექიმთა უმეტესობის შედეგებს და იყო თუნ-
დაც მეოცე ადგილზე. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასა-
მართლოს მიერ არ არის გამოკვლეული და შესაბამისად, გ. ქ-ის აღ-
დგენის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გა-
დანყვეტილება დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში
საქმის წარმოების დროს სასამართლო მოკლებულია ახალი მტკი-
ცებულებების მოპოვების და შეფასების შესაძლებლობას, იგი არ
არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო.
საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასა-
მართლოში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებუ-

ლებების მიღების შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, ვინაიდან საკასაციო სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას გ. ქ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხზე ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელის – გ. ქ-ის ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გ. ქ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება „გ. ქ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №... ბრძანების ბათილად ცნობის, მისი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა

განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსპა სოციალური დავები

დავნილთა ბრძოლვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-899(კ-22)

15 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ქმედების უკანო-
ნოდ ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელე-
ბის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 17 თებერვალს გ. ც-ემ, გი. ც-ემ, გვ. ც-ემ და ნ. ო-მა
სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-
როს მიმართ და მოითხოვეს მოსარჩელების ნაწილში „დევნილი
ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ“
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 02 სექტემ-
ბრის №04-1512/ო ბრძანების ბათილად ცნობა; სსიპ დევნილთა,
ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენ-
ტოსათვის მოსარჩელეთა ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი
ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გა-
დაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სა-
მართლებრივი აქტის გამოცემის დავალება; აღსრულების დასრუ-
ლების შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის
16 იანვრის №A19173034-009/001 წერილის უკანონოდ ცნობა და
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის №3/4699-17 სააღსრუ-
ლებლო ფურცლის მოთხოვნის აღსრულების დავალება.

სარჩელის მიხედვით, 2020 წლის 18 იანვარს მოსარჩელებს ჩაპ-
ბარდათ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 იან-

ვრის №A19173034–009/001 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 02 სექტემბრის №04-1512/ო ბრძანება, რომლითაც ეცნობათ, რომ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა – ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ, აღსრულებული იყო, რადგანაც სააგენტომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2019 წლის 02 სექტემბერს გამოსცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება №04-1512/ო. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 22 ნოემბრის №04/60881 წერილით ირკვევა, რომ მოსარჩელებთან მიმართებაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა განხორციელდა კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის ღონისძიების ფარგლებში, რაც არ წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივრით, სარჩელით, გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით და საქმის სასამართლო განხილვით უტყუარად იყო დადგენილი და დადასტურებული, რომ მოსარჩელების მოთხოვნას შეადგენდა მხოლოდ და მხოლოდ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (რაც სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული) და არა სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის, თუნდაც საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელების მიმართ საჯარო უფლებამოსილება განხორციელდა კანონდარღვევით, რის გამოც უხეშად დაირღვა მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 06 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგინდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ტერმინი „დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა“ გულისხმობდა არა მხოლოდ დევნილი ოჯახისათ-

ვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას, არამედ, მათი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას, მათ შორის, დევნილისათვის კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარე არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სწორედ ის განსაზღვრავდა, თუ რა ფორმით სურდა მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა. უდავო იყო, რომ ნ. ო-ის ოთხშულიან ოჯახს 2015 წლის 31 მარტს შევსებული ჰქონდა განაცხადი კერძო სახლის/ბინის შესყიდვის თაობაზე. ამასთან, გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ 2017 წლის 24 მარტს №13973/01 განცხადებით კვლავ მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სადაც მიუთითეს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ნორმები და მოითხოვეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-12, მე-13, მე-17, მე-19 მუხლების დაცვით მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია 2017 წლის 24 მარტს წარდგენილი №13973/01 განცხადების საცხოვრებელი ფართის გადაცემის მოთხოვნად მიჩნევის შესახებ და აღნიშნა, რომ მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები კონკრეტულად განსაზღვრავდა განცხადების ფორმებს, იმის მიხედვით, თუ რა სახის მოთხოვნა ჰქონდა დევნილ ოჯახს. ამასთან, შევსებული განცხადებების შესაბამისად, ინდივიდუალურად ხდებოდა განცხადებაში მოთხოვნილი პირობების შესწავლა და შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ არ იყო წარდგენილი განცხადება, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის გადაცემას, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას თვითნებურად, კანონით დადგენილი წესით შევსებული განცხადების არარსებობის პირობებში, ემსჯელა მოსარჩელებისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე, მაშინ, როდესაც, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელეთა მიერ შედგენილი, 2015 წლის 31 მარტის განცხადება, შესაბამისი ფორმის დაცვით, რომლითაც ისინი ითხოვდნენ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება მოსარჩელე-

ებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინებით გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სწორედ განმცხადებელი განსაზღვრავდა, თუ რა ფორმით სურდა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამასთან, წინამდებარე შემთხვევაში უდავოდ დადგენილი იყო, რომ ნ. ო-ის ოთხსულიანმა ოჯახმა 2015 წლის 31 მარტს შეავსო განაცხადი კერძო სახლის/ბინის შესყიდვის თაობაზე. ამასთან, გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ 2017 წლის 24 მარტს №13973/01 განცხადებით, კვლავ, მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სადაც მიუთითეს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ნორმები და მოითხოვეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-12, მე-13, მე-17, მე-19 მუხლების დაცვით მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ 2017 წლის 19 მაისს №22511/01 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და აღნიშნეს, რომ რეაგირების გარეშე დარჩა 2017 წლის 24 მარტის მოთხოვნა მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ. შესაბამისად, განმცხადებლებმა მოითხოვეს ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. ვირტუალური უარის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე. სწორედ აღნიშნული საჩივრის საფუძველზე იქნა მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს უარი მათი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობდა, 2015 წლის 31 მარტს წარდგენილ განცხადებაზე რეაგირებას და შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარს. სააპელაციო პალატამ

საქალაქო სასამართლოს მსგავსად არ გაიზიარა აპელანტთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 2017 წლის 24 მარტს წარდგენილი №13973/01 განცხადება წარმოადგენდა ახალ მოთხოვნას მათთვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ამომწურავად იყო დადგენილი განცხადების ფორმები იმის მიხედვით, თუ რა სახის მოთხოვნა ჰქონდა დევნილ ოჯახს. ამასთან, შევსებული განცხადებების შესაბამისად, ინდივიდუალურად ხდებოდა განცხადებაში მოთხოვნილი პირობების შესწავლა და შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტთა მიერ არ იყო წარდგენილი განცხადება, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის გადაცემას, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას თვითნებურად, კანონით დადგენილი წესით შევსებული განცხადების არარსებობის პირობებში, ემსჯელა მოსარჩელებისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე, მაშინ, როდესაც, საქმეში წარმოდგენილი იყო მოსარჩელეთა მიერ შედგენილი 2015 წლის 31 მარტის განცხადება, შესაბამისი ფორმის დაცვით, რომლითაც ისინი ითხოვდნენ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ც-ემ, გი. ც-ემ, გვ. ც-ემ და ნ. ო-მა, რომლებმაც ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა არა განმცხადებლების 2017 წლის 24 მარტის, არამედ 2015 წლის 31 მარტის განცხადებასთან მიმართებით, რომელთან დაკავშირებით 2015 წელს გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განმცხადებლებს უარი ეთქვათ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვაზე. კასატორთა მითითებით, საგულისხმოა, რომ განმცხადებლებს იმ დროისათვის შერჩეული ჰქონდათ კერძო საკუთრების საცხოვრებელი სახლი, და თანხა (ოცი ათასი ლარი), რომელსაც მოითხოვდნენ, იმ დროისათვის საკმარისი იყო მის შესაძენად, თუმცა ხუთი წლის შემდეგ არსებითად შეიცვალა როგორც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ისე გ. ც-ის და ნ. ო-ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მათი ოთხსულიანი

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. ამდენად, ახალი ფართის მოძიება ოცი ათასი ლარის ფარგლებში 2017 წელს და მის შემდეგ შეუძლებელი იყო. აღნიშნული გარემოება როგორც პირველი ინსტანციის, ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა.

განსახილველ საქმეზე მოსარჩელეთა ინტერესი უკავშირდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულებას. მოცემული გადაწყვეტილებით დამთავრებულ ადმინისტრაციულ საქმეში გამოკვეთილი იყო სარჩელის მიზანი – გ. ც-ის, ნ. ო-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (რაც სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული) და არა სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა. საცხოვრებელი ფართის შესყიდვასთან დაკავშირებით ფულადი დახმარების შესახებ მოთხოვნა ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელების მიერ წარდგენილი იყო 2015 წლის 31 მარტის განცხადებით, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ, რაც მათ მიერ არ გასაჩივრებულა ანუ 2015 წლის 31 მარტის განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა. რაც შეეხება განმცხადებლების მიერ წარდგენილ 2017 წლის 24 მარტის განცხადებას, აღნიშნული განცხადებით მოსარჩელების მიერ მოთხოვნილი იქნა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და არა საცხოვრებელი ბინის შესყიდვასთან დაკავშირებით ფულადი დახმარება. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება არა 2015 წლის 31 მარტის, არამედ 2017 წლის 24 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ორგანო მიიჩნევდა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება არ იყო შევსებული კანონით დადგენილი წესით, მას უნდა შეესრულებინა სზაკ-ის 85-ე მუხლით დადგენილი სამართლებრივი დახმარების ვალდებულება და ამავე კოდექსის 83.1 მუხლის თანახმად დაედგინა ხარვეზი, განემარტა განმცხადებლებისათვის ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება, გამოერკვია და დაეზუსტებინა, თუ რას შეადგენდა განმცხადებლების მოთხოვნა, მიეცა განმცხადებლებისათვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მიეღო გადაწყვეტილება. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განიხილა მოსარჩელების მიერ 2017

ნლის 24 მარტს წარდგენილი განცხადების მოთხოვნა, თუმცა კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა მოსარჩელების მიერ მიჩნეულ იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემაზე უარის თქმად, რაც გასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში, რომლის მიერ 2017 წლის 15 ივნისს გამოცემული №05-01/06/15723 გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

კასატორთა მითითებით, თავდაპირველ სარჩელში გამოკვეთილი იყო მოსარჩელების კანონიერი ინტერესი – საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (რაც სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული) და არა სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა. სააპელაციო პალატაში საქმის განხილვით, მათ შორის, სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვებით და მოწინააღმდეგე მხარის პასუხებით ცალსახად დადასტურდა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ გაართვა თავი მტკიცების ტვირთს, ვერ დაასაბუთა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით რატომ დაიწყო განმცხადებლების მიერ 2015 წლის 31 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება ხელახლა მაშინ, როდესაც ამ განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება იმავე წელს დასრულდა და მხარის მიერ არც გასაჩივრებულა.

კასატორთა მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნათლად დასტურდება, რომ საქმის განმხილველი სასამართლოები ვერ ან/და არ გაერკვნენ საქმის არსში, ვერ გამოკვეთეს და ვერ დაადგინეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც საქმეზე გამოტანილია არასწორი, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატამ დაადასტურა, რომ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სწორედ განმცხადებელი განსაზღვრავს, თუ რა ფორმით სურს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამასთან, წინამდებარე შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ ნ. ო-ის ოთხსულიანმა ოჯახმა 2015 წლის 31 მარტს შეავსო განაცხადი კერძო სახლის/ბინის შესყიდვის თაობაზე, თუმცა ამ განცხადების განხილვის შედეგების შესახებ მსჯელობას სადავო გადაწყვეტილება არ შეიცავს; კერძოდ: სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა და არ დაადგინა წარმოადგენდა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებულ ადმინისტრაციულ საქმეში დავის საგანს განმცხადებლების მიერ 2015 წლის 31 მარტს წარდგენილი განცხადების განხილვის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტები. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა და არ დაადგინა ის გარემოება, რომ 2015 წლის 31 მარტის განცხადების მოთხოვნაზე განმცხადებლებს უარი ეთქვათ, რაც განმცხადებლების მიერ არ გასაჩივრებულა და აქედან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 2015 წლის 31 მარტის განცხადების საფუძველზე ვერ დაევალებოდა.

კასატორთა მოსაზრებით, გაუგებარი და დაუსაბუთებელია პალატის დასკვნა იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს განმცხადებლების 2017 წლის 24 მარტის განცხადება ახალ მოთხოვნას იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ საერთოდ არც განიხილა 2017 წლის 24 მარტის განცხადება და ვირტუალურ უართან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს უარი მათი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, რატომ გულისხმობდა სწორედ 2015 წლის 31 მარტს წარდგენილ განცხადებაზე რეაგირებას და შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 01 ნოემბრის განჩინებით გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. 2022 წლის 24 ნოემბერს, მორიგების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ მოწვეულმა მხარეებმა მორიგებას ვერ მიაღწიეს, შესაბამისად, საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე 2022 წლის 15 დეკემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-

დეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ნ. ო-ის ოთხსულიანმა ოჯახმა 2015 წლის 31 მარტს შეავსო განაცხადი კერძო სახლის/ბინის შესყიდვის თაობაზე. 2015 წლის 27 მაისს წინასწარი შეფასებით ოჯახს მიენიჭა 1 ქულა კრიტერიუმში: ცხოვრობს ნათესავთან/ახლობელთან ქირის გარეშე, თუმცა, 2017 წლის 01 ივნისის მდგომარეობით, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, განხორციელდა ნ. ო-ის განაცხადის გადაფასება და ოჯახს წინასწარი შეფასებით მიენიჭა 4 ქულა შემდეგ კრიტერიუმებში: ცხოვრობს ნათესავთან/ახლობელთან ქირის გარეშე – 1,5 ქულა და დამისამართება თბილისში – 2,5 ქულა. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეთა მიერ 2015 წლის 31 მარტს შევსებულ განაცხადთან (კერძო სახლის/ბინის შესყიდვის შესახებ) დაკავშირებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა ასეთ შემთხვევაში უტოლდება ე.წ. ვირტუალურ უარს, რაც საჩივრდება კანონით დადგენილი წესით (სზაკ-ის 177.2 მუხ.). საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2015 წლის 31 მარტის განცხადების უარყოფის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების (ვირტუალური უარი) გაუსაჩივრებლობით ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა და მასზე წარმოების განახლება მოსარჩელეთა მიზანს არ წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ 2017 წლის 24 მარტს №13973/01 განცხადებით კვლავ მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელშიც მიუთითეს, რომ მათი ოჯახი რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, ... გამზ. №84-ში მდებარე ..., თუმცა, იმის გამო, რომ ამ მისამართზე მათთვის საცხოვრებელი ფართი ვერ იქნა მოძიებული, პერიოდულად ცხოვრობდნენ ხან ნაქირავებ ბინაში, ხანაც ნათესავებთან. განმცხადებელთა მითითებით, ოჯახის წევრთა რიცხოვნების გაზრდის გამო აღარ ჰქონდათ ნათესავთან ცხოვრების შესაძლებლობა და არც ბინის ქირაობის საშუალება. ამასთან, გ. ც-ემ, გაჭირვებისა და გაუსაძლისი ყოფით გამოწვევული ნერვიულობის გამო, გადაიტანა ინსულტი, რის გამოც, სიცოცხლის შენარჩუნების

სათვის ესაჭიროებოდა საცხოვრებელი ფართი და შესაბამისი მკურნალობა. შესაბამისად, განმცხადებლებმა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნითა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-12, მე-13, მე-17, მე-19 მუხლების საფუძველზე მოითხოვეს მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. აღნიშნული განცხადება ადმინისტრაციულმა ორგანომ კვლავ რეაგირების გარეშე დატოვა, რის გამოც 2017 წლის 19 მაისს გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ №22511/01 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომლითაც მოითხოვეს ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. ვირტუალური უარის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მათი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის თაობაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 15 ივნისის №05-01/06/15723 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. ც-ის, ნ. ო-ის, გი. ც-ისა და გვ. ც-ის 2017 წლის 19 მაისის №22511/01 ადმინისტრაციული საჩივარი, იმ მოტივით, რომ ნ. ო-ის და გ. ც-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონებით, გასხვისების მიუხედავად, მათი ოჯახი ფაქტობრივად შეუზღუდავად სარგებლობდა და მათი განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

2017 წლის 05 ივლისს გ. ც-ემ, ნ. ო-მა, გი. ც-ემ და გვ. ც-ემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მოსარჩევეების გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, გ. ც-ის, ნ. ო-ის, გი. ც-ის და გვ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 15 ივნისის №05-01/06/15723 გადაწყვეტილება და მოპასუხეს გ. ც-ის, ნ. ო-ის, გი. ც-ისა და გვ. ც-ის ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ

ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. ამასთან ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩეელების სასარგებლოდ დაეკისრა საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 600 ლარის ოდენობით.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ პირის კერძო ინტერესი – დევნილის მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელსაც მოუწია იმ მძიმე ვითარების საკუთარ თავზე გადატანა, რაც ცნობილ მოვლენებს მოჰყვა, არის უპირატესი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია, რამეთუ არ მოხდეს მისი უფლებების დარღვევა და არ გულისხმობდეს მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური კანონმდებლობის ფორმალურ დაცვას. ყოველივე აღნიშნული სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას მოსარჩეელების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საჭიროების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე №3/4699-17) აღსრულების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 30 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2019 წლის 02 სექტემბერს გამოსცა №04-1512/ო ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე №3/4699-17) აღსრულების მიზნით და მოსარჩელის ოჯახი უზრუნველყო გრძელვადიანი საცხოვრებლით, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მეოთხე მუხლში გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მეოთხე მუხლი ითვალისწინებდა ერთ საცხოვრებელ ფართზე დევნილი ოჯახისათვის ფართის შესყიდვას (ოჯახის წევრების რაოდენობის გათვალისწინებით ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას). სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 იანვრის №A19173034-009/001 წერილით მოსარჩეეებს ეცნობათ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის

გადაწყვეტილების (საქმე №3/4699-17) აღსასრულებლად გამოცემული სააღსრულებო ფურცელი აღსრულდა ახალი აქტის გამოცემის ნაწილში.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება გულისხმობდა არა ფართის შესყიდვის მიზნით თანხის გადაცემას, არამედ – საცხოვრებელი ფართის მიღებას. ამდენად, წინამდებარე დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მითითებული გარემოების დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია შექმნილი იყოს მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. სახელმწიფო მუდმივად შეიმუშავებს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას, რათა შეძლებისდაგვარად ეფექტურად იქნეს უზრუნველყოფილი მათი საჭიროებები. სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მთავარი მიზანი დევნილებთან მიმართებით მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. სახელმწიფოს აქვს კანონით ნაკისრი ვალდებულება, დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობა. ამავდროულად, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფომ დევნილი უნდა დააკმაყოფილოს ადეკვატური საცხოვრებელი ნებისმიერ ვითარებაში და რაც მთავარია ეს პროცესი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული უფლება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლით, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას „მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით“ მოახდინონ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზება.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებულთა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესი“ (ძალადაკარგულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 04/08/2021 №01-30/ნ ბრძანებით) ითვალისწინებდა დევნილთა საცხოვრებელი დაკმაყოფილების რამდენიმე შესაძლებლობას. წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ითვალისწინებდა ხსენებული წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები იყო მათი ერთადერთი საკუთრება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი იყო დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელიც ამ წესის შესაბამისად, ანაწილებდა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსათვის გადმოცემულ ან სააგენტოს მიერ შესყიდულ/რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფართებს და არსებული რესურსის გათვალისწინებით, განსაზღვრავდა იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებოდათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები. ხოლო წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილი ოჯახის მიერ შევსებული „კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განაცხადის ფორმისა“ და „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმის“ საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის საკითხი განიხილებოდა კრიტერიუმებისა და წესის მე-6 მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით და მე-8-მე-12 პუნქტებით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. კონკრეტული დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვაზე მიღებული განაცხადების განხილვასა და გადაწყვე-

ტილების მიღებაზე პასუხისმგებელი იყო კომისია. კომისია განსაზღვრავდა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას ერთ საცხოვრებელ ფართზე (სახლი/ბინა) და შესაბამისად შესასყიდი ფართების (სახლი/ბინა) მაქსიმალურ რაოდენობას. ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალური ოდენობა ერთ საცხოვრებელ ფართზე (სახლი/ბინა) განისაზღვრებოდა არა უმეტეს 21000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგებოდა 3 წევრისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელებმა 2015 წლის 31 მარტს შეავსეს განაცხადი კერძო სახლის/ბინის შესყიდვის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა. 2017 წელს მოსარჩელებმა ახალი განცხადებით მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ მოსარჩელეთა მიერ 2017 წლის 24 მარტს წარდგენილი №13973/01 განცხადება არ წარმოადგენდა ახალ მოთხოვნას მათთვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ამომწურავად იყო დადგენილი განცხადების ფორმები იმის მიხედვით, თუ რა სახის მოთხოვნა ჰქონდა დევნილ ოჯახს. ამასთან, შევსებული განცხადებების შესაბამისად, ინდივიდუალურად ხდებოდა განცხადებაში მოთხოვნილი პირობების შესწავლა და შეფასება. სასამართლოების მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არ იყო წარდგენილი განცხადება, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის გადაცემას, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, თვითნებურად, კანონით დადგენილი წესით შევსებული განცხადების არარსებობის პირობებში ემსჯელა ფართის გადაცემის საკითზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა მიერ 2017 წლის 24 მარტს წარდგენილი №13973/01 განცხადებაში მოსარჩელები ნათლად მიუთითებდნენ, რომ ითხოვდნენ ოჯახის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფას და მათი ინტერესი არა ფართის შესყიდვას, არამედ ფართის გადაცემას წარმოადგენდა. სწორედ ამ ფარგლებში იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში და მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას არც განცხადების ფორ-

მის დაუცველობაზე და არც საცხოვრებელი ფართის შესყიდვის პროცედურასთან დაკავშირებით. მეტიც, საჩივრის განხილვისას მოსარჩელებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ არა 2017 წლის 24 მარტს წარდგენილი №13973/01 განცხადების ფორმის დაუცველობით, არამედ საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო. ამდენად, გაუგებარია რატომ დაუკავშირეს ადმინისტრაციულმა ორგანომ და ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულება მოსარჩელეთა მიერ 2015 წლის 31 მარტს შევსებულ განაცხადს, მაშინ როდესაც, ადმინისტრაციულ ორგანოში 2017 წელს წარდგენილი იყო ახალი განცხადება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ.

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლო აქტის დასკვნითი ნაწილია, რომელშიც საბოლოო სახით არის წარმოდგენილი სასამართლო განხილვის შედეგები და შესაბამისად იგი ლოგიკურად გამომდინარეობს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეფასებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, სარეზოლუციო ნაწილთან ერთად, წარმოადგენს გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგან სწორედ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ხდება გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთება.

მოცემულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით ნათლად შეიცავდა მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მითითებას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის და არა საცხოვრებელი ბინის შესყიდვასთან დაკავშირებით თანხის გაცემის შესახებ, რა გარემოებაც არ გაითვალისწინა არა მარტო ადმინისტრაციულმა ორგანომ, არამედ ამ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომაც, რომელმაც 2020 წლის 16 იანვარს №A19173034-009/001 წერილით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 02 სექტემბრის №04-1512/ო ბრძანებაზე მითითებით, უკანონოდ აცნობა მოსარჩელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე №3/4699-17) აღსრულების შესახებ (მოსარჩელეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნაწილში),

რითაც შეცვალა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული აღსრულებადი მოთხოვნის ფარგლები.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას სავალდებულო, იმპერატიული ბუნება აქვს. სასამართლო აქტების შესრულების სავალდებულობა კონსტიტუციური პრინციპია (საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 62.1 მუხ.). საქართველოს კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების დროული, ეფექტიანი და ჯეროვანი აღსრულება. „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა. „...ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით...“ (სუს 07.03.20136. №ბს-727-711(კ-12) განჩინება).

ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არ აღსრულებულა (მოსარჩელეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნაწილში), შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „დევენილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 02 სექტემბრის №04-1512/ო ბრძანება და აღსრულების დასრულების შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 იანვრის №A19173034-009/001 წერილი, და ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა დაევალოთ მოსარჩელეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების აღსასრულებლად შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ც-ის, გი. ც-ის, გვ. ც-ისა და ნ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი „დევენილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 02 სექტემბრის №04-1512/ო ბრძანება და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 იანვრის №A19173034-009/001 წერილი (მოსარჩელეთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის აღსრულების ნაწილში);

5. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოსარჩელეთა ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

6. მხარეები გათავისუფლებულები არიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დეჰნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით
უზრუნველყოფა**

**გადანყვებითება
საქართველოს სახელით**

№ბს-849(პ-22)

12 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 18 თებერვალს თ. ო-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დეჰნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს ცხინვალის იძულებით გადაადგილებულ პირს. მოსარჩელე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ა-ასთან, რომელთანაც ჰყავს ქალიშვილი – დ. ო-ე. თ. ო-ე ზემოაღნიშნულ პირებთან ერთად ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... მკ/რ, ...ს ქ. №4, ბინა №23-ში. 2015 წელს მოსარჩელე დაშორდა მ. ა-ას. მოსარჩელის მიმართ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესაბამისად, თ. ო-ეს ეკრძალებოდა მ. ა-ასთან მიახლოება საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილას. მ. ა-ამ მიიღო მათ მფლობელობაში არსებული ბინა, ხოლო თ. ო-ე საცხოვრებლის არარსებობის გამო შესახლდა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში მდებარე: ქ. თბილისი, ...ას ქ. №10, რომელიც წარმოადგენდა დეჰნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო ზემოაღნიშნულ ობიექტში მ. ხ-ას ცხოვრების ფაქტი, რამეთუ ამ პიროვნებას პირადი ნივთებიც არ ჰქონდა დატოვებული. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტზე რამდენჯერმე განხორციელებული მონიტორინგის დროს ის იმყოფებოდა ადგილზე, რაც დადასტურებულია ოქმებით. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მ. ხ-ამ უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ საც-

ხოვრებელი ფართიდან გამოუყარა ნივთები, რის გამოც იძულებული გახდა შენობის წინ გაეშალა კარავი და იქ დასახლებულიყო. თ. ო-ის მითითებით სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტიდან გამოძევების ფაქტი ასევე დაფიქსირებულია საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი ოქმებით. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამავე შენობაში მობინადრე სხვა პირები დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართებით. მოსარჩელე ითხოვს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2357/ო ბრძანების ბათილად ცნობასა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2357/ო ბრძანება; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მოსარჩელე თ. ო-ის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 ოქმი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ქ. თბილისი ...ას ქუ-

ჩა №10-ში მდებარე №... ბაგა-ბაღის შენობა განხილულ იქნა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტი და იქ მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლების საკითხი განხილულ იქნა კრიტერიუმების გარეშე. ამავე ოქმის თანახმად, მოსარჩელე – თ. ო-ეს უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფაზე, ქ. თბილისში, ...ას ქუჩა №10 „...“-ში ფაქტობრივად არ ცხოვრების გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის (დანართი №1) მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახისთვის პრიორიტეტის მინიჭების პირობებს ითვალისწინებს, კერძოდ აღნიშნული წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად ან/და საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად დასახლების ობიექტში).

პალატამ ყურადღება გაამახვილა 2019 წლის 13 ივნისის ადგილზე გამოცხადების ოქმზე, რომლითაც დასტურდება, რომ პირველი მონიტორინგის განხორციელებისას სააგენტოს წარმომადგენლებს თ. ო-ე დახვდათ ადგილზე, რომელმაც განმარტა, რომ ცხოვრობს მარტო, 2008 წლიდან. საქმეში წარმოდგენილი 2019 წლის 8 აგვისტოს ადგილზე გამოცხადების ოქმით, თ. ო-ის რეგისტრაციის მისამართზე ქ. თბილისი, ...ს ქ. №4, კორპ. 4. ბ. 23, მეზობელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მოსარჩელე არ ცხოვრობს. 2019 წლის 23 აგვისტოს მონიტორინგის ოქმით მისამართი – ქ. თბილისი, ...ას ქ. №10, ირკვევა, რომ თ. ო-ე სადავო ფართში ქირით საცხოვრებლად შეუშვა ამავე შენობის მამასახლისმა – მ. ტ-ემ. აღნიშნული ფართიდან მოსარჩელე გამოიყვანეს 16.08.2019-ში, მისი განმარტებით კუთვნილი ნივთები გამოუყარეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, რაც ასევე დაფიქსირებულია პოლიციის ოქმში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტიდან დევნილი ოჯახების გამოყვანის მომენტისთვის, თ. ო-ე არ ცხოვრობდა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში, რაც აუცილებელი წინაპირობა იყო იმისთვის, რომ დევნილი კრიტერიუმე-

ბის გარეშე, დაუყოვნებლად უზრუნველყოთ საცხოვრებელი ფართით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის დროებით სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში ქირით და შემდგომ მოცემული შენობის ეზოში გაშლილ კარავში ცხოვრება, არ ქმნიდა იმ მოცემულობას, რომ სააგენტოს დაუყოვნებლად განეხორციელებინა თ. ო-ის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილება არ განხორციელებულა კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რა მიზნითაც მინიჭებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. სამინისტროს შეფასება სრულად შეესაბამებოდა ზემოხსენებული ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, პალატამ დამატებით განმარტა, რომ დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ ეტაპობრივად სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, შესაბამისად, იმ დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები იმ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ დადგენილი წესით, უფლებამოსილნი არიან კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემდეგ ეტაპზე და დაიკმაყოფილონ მათი მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ო-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2337 ბრძანების პირველ პუნქტში ასახულ მოსაზრებას, მისი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრებასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ საქმეში დაცული მონიტორინგის 2019 წლის 13 ივნისის მობინადრეთა აღწერის ფორმის მიხედვით დგინდება მისი ქ. თბილისში, ...ას ქ. №10-ში პირველი სართულის პირველ ოთახში ცხოვრების ფაქტი. 2019 წლის 8 აგვისტოს თ. ო-ის ყოფილი მეუღლის – მ. ა-ას საცხოვრებელ ადგილზე გამოცხადების ოქმიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მასთან ერთად აღარ ცხოვრობდა. მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის 23 აგვისტოს დათვალიერების და ადგილზე გასაუბრების ოქმის თანახმად, თ. ო-ე ძალის გამოყენებით იქნა გამოგდებული სადავო ფართიდან, რის შემდეგაც იმავე შენობის ეზოში გაშალა კარავი. საქმე-

ზე მოწმის სახით დაკითხულმა კ. ბ-ემ (მცხოვრები ქ. თბილისი, ...ას ქ. №10) ასევე დაადასტურა, რომ შენობის სათავსოში დღემდე ინახება თ. ო-ის პირადი ნივთები.

კასატორი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო სადავო ფართში მის შესახლებამდე, მ. ხ-ას ცხოვრების ფაქტი. კასატორი მიუთითებს, რომ მ. ხ-ა სადავო ფართში თვითნებურად შესახლდა, თუმცა შემდეგ მიატოვა. კასატორი მიუთითებს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 12 ოქტომბრის წერილზე, საიდანაც ირკვევა, რომ მ. ხ-ა 2013 წლიდან რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ...ას გამზ. 64-ში, ბინა 36-ში. კასატორი მიიჩნევს, რომ მ. ხ-ას არ გააჩნდა სამართლებრივი უპირატესობა თ. ო-ესთან მიმართებით, შესაბამისად, მ. ხ-აც ვერ იქნებოდა უფლებამოსილი გაექირავებინა ოდესლაც მის მფლობელობაში არსებული ფართი. კასატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მ. ხ-ას ის სადავო ფართში არ შეუშვია. თ. ო-ე აღნიშნავს, რომ ფართში შეუშვა მ. ტ-ემ, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში უხდიდა ქირას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ო-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თ. ო-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივარს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ თ. ო-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამ-

ტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. საქართველო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტილად იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-17 მუხლი ითვალისწინებს პირის უფლებას, არ იქნეს იძულებით გამოსახლებული ადეკვატური დაცვის გარეშე. ეს დებულება აღიარებს პირის უფლებას, დაცული იყოს „თვითნებური და არამართლზომიერი ჩარევისაგან“ პირის საცხოვრისში. საცხოვრისი ავტონომიური ცნებაა, რომლის განმარტებისას ევროპული სასამართლო არ შემოიფარგლება საცხოვრისის კლასიფიკაციით შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. შესაბამისად, ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს, არის თუ არა „საცხოვრისი“ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული, კერძოდ, იმაზე – აქვს თუ არა პირს „საკმარისი“ უწყვეტი კავშირი კონკრეტულ ადგილთან. (ევგენი ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Evgeni Zakharov v Russia), განაცხადი No. 66620/20, 14.03.2017, 30-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს როგორც პირის უფლების აღიარება, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით. საცხოვრებელი არის ადგილი, ფიზიკურად შემოსაზღვრული ფართი, სადაც ინდივიდის პირადი და ოჯახური ცხოვრება რეალიზდება. პირის უფლება თავისი საცხოვრისის, ფიზიკური ადგილის დაცულობას გულისხმობს (ჩეპმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Chapman v The United Kingdom, No. 27138/95, 18.01.2001, 99-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მარტოოდენ

არ აიძულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს უფლებაში ჩარევისგან, რაც მის ნეგატიურ ვალდებულებას შეადგენს. სახელმწიფოს შეიძლება ასევე ეკისრებოდეს პოზიტიური ვალდებულება – ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს პირადი და ოჯახური ცხოვრების დასაცავად. კონვენციის მე-8 მუხლის ძალით სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის გამყოფი ზღვარი სათუთი დასადგენია. ორივე შემთხვევაში უნდა დამყარდეს სამართლიანი წონასწორობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის (უდოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, (Udoviciic v Croatia), განაცხადი No. 27310/09, 24.04.2014, 138-ე პარაგრაფი). კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ისე საპროცესო-სამართლებრივი კუთხით. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს ცხადი, წინასწარგანჭვრეტადი და სათანადოდ ხელმისაწვდომი. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გონივრული სიცხადით უნდა მიუთითებდეს იმ ფარგლებსა და გზებზე, რომლითაც უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლების დელეგირებული დისკრეცია ისე, რომ პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ დაცვის მინიმალური ხარისხით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად უნდა მიიღოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბ-

რუნება. იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, იძულებითი გადაადგილებისას უსახლკაროდ დარჩენილ დევნილ სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2357/ო ბრძანების კანონიერება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) სადავო პერიოდში მოქმედი (15.04.2019 წ. რედაქციით) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა გულისხმობს ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს: ა) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შე-

საბამისი საექსპერტო დასკვნით; ბ) კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; გ) იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ; დ) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან მათ ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ ფართობში და ამ ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია შესაბამისი მომართვა; ე) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო ახორციელებს დროებითი განსახლების ღონისძიებებს. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მე-10 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ობიექტებში დევნილი ოჯახების ცხოვრების ფაქტი დგინდება, სააგენტოს მიერ განხორციელებული აღწერის შედეგების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თ. ო-ე წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე იმ საფუძველით, რომ იგი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში ფაქტობრივად არ ცხოვრობდა.

საქმეში დაცული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 ოქმით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ...ას ქუჩა №10-ში მდებარე №... ბაგა-ბაღის შენობა განხილული იქნა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტი და იქ მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლების საკითხი განხილულ იქნა კრიტერიუმების გარეშე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახ-

მად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე და არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქმეში დაცული მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის 13 ივნისის ადგილზე გამოცხადების ოქმის თანახმად, სააგენტოს თანამშრომლებს მონიტორინგის განხორციელების დროს ადგილზე დახვდათ თ. ო-ე, რომელმაც განმარტა, რომ ცხოვრობს მართო, განქორწინებულია მეუღლესთან – მ. ა-ასთან, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან დღემდე. 2019 წლის 8 აგვისტოს ადგილზე გამოცხადების ოქმით დასტურდება, რომ მონიტორინგის ჯგუფი იმყოფებოდა მოსარჩელის ყოფილი (არარეგისტრირებულ ქორწინებაში) მეუღლის- მ. ა-ას სახლში, მდებარე: თბილისი, ...ს ქ. №4. ბ.23, ყოფილი №... ბაგა-ბაღი. ზემოაღნიშნულ მისამართზე ბინა დაკეტილი იყო. მეზობელთან, თ. გ-ან გასაუბრებით დადგინდა, რომ თ. ო-ე იქ არ ცხოვრობდა.

დადგენილია, რომ 2019 წლის 23 აგვისტოს ადგილზე გამოცხადების ოქმით, მონიტორინგის ჯგუფს, მისამართზე – ქ. თბილისი, ...ს ქ. №10, დახვდათ მ. ხ-ა, რომლის განცხადებითაც, მისი დროებით უკრაინაში ყოფნის პერიოდში ზემოაღნიშნულ ბინაში ქირით შესახლდა თ. ო-ე. ამავე ოქმში აღნიშნულია, რომ თ. ო-ე სადავო ფართიდან ძალის გამოყენებით გამოიყვანეს 16.08.2019 წელს, რის შემდეგაც ცხოვრობს ამავე შენობის ეზოში არსებულ კარავში. ამასთან, საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ქ. თბილისში, ...ს ქ. №10-ში მცხოვრებმა – კ. ბ-ემ ასევე დაადასტურა თ. ო-ის სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ზემოაღნიშნულ ობიექტში ცხოვრების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე, კერძოდ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სა-

აპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სადავო აქტის გამოცემისას არ წარმოადგენდა სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დანესებულებაში მცხოვრებ პირს, რის გამოც მის მიმართ არ არსებობდა დაუყოვნებლივ, კრიტერიუმების გარეშე განსახლების აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დროებით სადავო ფართში ქირით, ხოლო შემდგომ ამავე შენობის ეზოში ცხოვრება არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ზემოაღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პირს აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილია – სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ კანონის შესაბამისად, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება (იხ.სუსგ №ბს-1896-1849(კ-10), 9.07.2011; №ბს-215-213(კ-17), 20.07.2017).

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე – თ. ო-ე რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ... მკ/რ, ...ს ქუჩა №4-ში. საქმეში დაცული დევ-

ნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 11 მაისის №03-2435 წერილით ირკვევა, რომ 2018 წლის 17 ივლისს №31894/01 განცხადებით თ. ო-ემ მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და უარი განაცხადა მ. ა-სა და დ. ო-ესთან ერთად საცხოვრებელი ფართის დაკანონებაზე. ზემოაღნიშნულ წერილში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 ნოემბრის №2367 განკარგულების საფუძველზე, მ. ა-სა და დ. ო-ეს თანასაკუთრებაში გადაეცათ ქ. თბილისში, ...ს ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი, რასაც ადასტურებს საქმეში დაცული საჯარო რეესტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ამონაწერი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტიურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ის გამოიყენა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციული აქტით მიყენებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. პალატა განმარტავს, რომ არსებითია, მმართველობითი საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფუძნებოდეს თითოეული პირის რეალურ, ინდივიდუალურ ინტერესს. დაუშვებელია მმართველობითი ორგანოები ხელოვნური, უსაფუძვლო ბარიერების შექმნის გზით აფერხებდნენ ან ხელს უშლიდნენ კონსტიტუციით გარანტირებული უფ-

ლებების წარმოშობასა და რეალიზაციას.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლის მიზანია დევნილობის პერიოდში დევნილის უფლებების დაცვა, დევნილის პრობლემების გადაჭრა. ამავდროულად კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ისეთი ვითარების ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირის იძულებით გადაადგილება, ამავდროულად მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებისას დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების დაცვას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იძულებითი გადაადგილება განპირობებულია გარდაუვალი აუცილებლობით; ამავდროულად მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს გარდაუვალი აუცილებლობით განპირობებული იძულებითი გადაადგილება და ამით გამოწვეული ზიანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევნილის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უტყუარად არ დგინდება თ. ო-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას სადავო ფართში ფაქტობრივად არ ცხოვრების საფუძველით თ. ო-ეს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუმცა არ გაითვალისწინა მონიტორინგის წინა ოქმებში ასახული ინფორმაცია. 2019 წლის 23 აგვისტოს მონიტორინგის ოქმით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ძალის გამოყენებით გამოასახლეს სადავო ფართიდან და ცხოვრობდა ამავდროულად ეზოში გაშლილ კარავში. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში დაცული 2019 წლის 16 აგვისტოს პოლიციის რეაგირების ოქმით დგინდება, რომ ქ. თბილისი, ...ას ქ. №10-იდან თ. ო-ე გამოასახლა მ. ხ-ამ, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 18 ოქტომბრის №41 სხდომის ოქმით, მ. ხ-ას უარი ეთქვა საცხოვრისით უზრუნველყოფაზე ზემოაღნიშნულ ფართში ფაქტობრივად არცხოვრების საფუძველით. საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ სადავო აქტის გამოცემის დროს თ. ო-ის მიერ ქ.

თბილისში, ...ას ქ. №10-ში მდებარე საცხოვრებელზე ფაქტობრივი მფლობელობის არქონა იმთავითვე სადავო აქტის კანონიერებაზე მიუთითებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე დაკითხული მოწმის ჩვენებით, წერილობით მტკიცებულებებით (მონიტორინგის ოქმი, პოლიციის ოქმი) დასტურდება მოსარჩელის ქ. თბილისში ...ას ქ. №10-ში განსაზღვრული პერიოდით ცხოვრების ფაქტი. ამასთან, თ. ო-ის რეგისტრაციის მისამართზე – ქ. თბილისში, ...ას ქ. №4-ში მდებარე ბინა საკუთრების უფლებით თანასაკუთრებაში (დ. ო-ესთან ერთად) აღრიცხულია მ. ა-აზე, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც თ. ო-ის მიმართ გამოცემულია შემაკავებელი და დამცავი ორდერები. საქმეში დაცული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ფარგლებში თ. ო-ის რეგისტრაციის მისამართზე ცხოვრება კანონდარღვევა იქნებოდა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ თ. ო-ე სწორედ ალტერნატიული საცხოვრისის არქონის გამო, შესახლდა ქ. თბილისში, ...ას ქ. №10-ში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტიდან მისი ნების გარეშე, ძალისმიერად გამოყვანა მისთვის უარყოფითი შედეგის მომტანი არ უნდა იყოს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესაბამისად, დევნილები ხშირად თვითნებურად იკავებდნენ საცხოვრებელ ფართებს. სადავო აქტის გამოცემის დროისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტში პირის ცხოვრების ფაქტის გამორიცხვა იმ პირობებში, როდესაც წინა მონიტორინგის ოქმებით დასტურდებოდა ზემოაღნიშნული, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას საჭიროებდა. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასებას საჭიროებდა წარმოადგენდა თუ არა თ. ო-ე სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში მცხოვრებ პირს „ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტის გამოცემის დროისთვის თ. ო-ის ტენტში, მისი ნების გარეშე ცხოვრება, იმთავითვე არ ქმნიდა საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო გადანაცვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად უნდა გამოეკვლია თ. ო-ის მდგომარეობის ამსახველი ფაქტობრივი გარემოებები, საცხოვრებელი პირობები, სოციალური მდგომარეობა და გადანაცვეტილე-

ბა მიედო წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემის მომენტში უნდა შეფასდეს მოსარჩელის სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში გარკვეული პერიოდით ცხოვრება, ხოლო შემდეგ მისი ნების გარეშე დატოვება ხომ არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც თ. ო-ის სახელმწიფო მნიშვნელობის ფართში ცხოვრებად. ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის თავისუფლება აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი ყველანაირ მნიშვნელობას იქნებოდა მოკლებული, რომ არ ავალდებულებდეს სახელმწიფოს ამ საკითხთან დაკავშირებით გაითვალისწინოს ინდივიდის სურვილი. შესაბამისად ამ პრინციპიდან ნებისმიერი გამოწვევის დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესით უნდა იყოს ნაკარნახევი (გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v Netherlands*), განაცხადი No. 43494/09, 6.11.2017, 141-ე პარაგრაფი). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, გამოსახლების პროცესი მოსარჩელეს სადავოდ არ აქვს გამხდარი, თუმცა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში ცხოვრების გაგრძელება, დიდი ალბათობით, მას საცხოვრებელი უზრუნველყოფდა. მოსარჩელის მიმართ საცხოვრის მფლობელობის უფლების შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს საჯარო ინტერესებით. ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფოს არგუმენტი, რომ კარმიდამო არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო განმცხადებლის და საცხოვრისად, იქედან გამომდინარე, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახი ორი წელი უკვე სხვაგან ცხოვრობდნენ, როცა იქ პოლიცია შესახლდა. ამასთან განმცხადებელი და მისი ძმა მოცემულ ადგილას მუდმივ მაცხოვრებლად არ იყვნენ დარეგისტრირებულნი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლებმა სადავო ადგილას საკმარისი კავშირი შეინარჩუნეს, იქედან გამომდინარე, რომ შესატყვის პერიოდში ეს მათი ერთადერთი საცხოვრებელი ადგილი იყო. მას სხვაგან საცხოვრისი არ ჰქონდა და განზრახული ჰქონდა იქ ცხოვრება (ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ, *Khamidov v Russia*, განაცხადი No. 72118/01, 15.11.2007, 127-პარაგრაფი).

საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, 97-ე მუხლებით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი მოთხოვნები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყო-

ფილად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამდენად, სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები, შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „დევენილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2357/ო ბრძანება და სსიპ დევენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს უნდა დაევალოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „დევენილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №04-2357/ო ბრძანება და მოპასუხეს – სსიპ დევენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge